კრისტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

www.ir.crystal.ge

სააქციო საზოგადოება
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
კრისტალი

წლიური ანგარიშგება

2017 წელი

სარჩევი

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება

01 პასუხისმგებლობა

02 პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები

2017 წლის მთავარი მიღწევები და აღსანიშნავი მოვლენები 9

2018 წლის I ნახევრის მთავარი მიღწევები და აღსანიშნავი მოვლენები 12

ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულების განახლებული სტრუქტურა და სტრატეგია_2018 17

ორგანიზაციული სტრუქტურა 18

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ინტერესთა კონფლიქტი 20

თანამშრომლების პერსონალის შერჩევა და ადაპტაცია 20

ადამიანის უფლებები, შრომის უსაფრთხოებები და შრომითი პირობები 22

შესაბამისობა გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან 2017 წლისთვის 22

შვილობილი კომპანია 25

დამოუკიდებელი მარწმუნებელი - ანგარიში 26

03 საქმიანობის მიმოხილვა

სუბიექტის განვითარების გეგმები 29

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ 34

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 35

აქციონერთა წილობრივი ფლობის სტრუქტურა 39

საზოგადოების მართვა 40

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 41

04 კორპორაციული მართვა

აქციონერთა საერთო კრება 42

სამეთვალყურეო საბჭო 44

მმართველი გუნდი, უფროსი ოფიცრები, დირექტორი 52

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა 57

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა 58

05 არაფინანსური ანგარიშგება

სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობა 61

ადამიანური რესურსები და ორგანიზაციული განვითარება 70

თანამშრომელთა პრივილეგიები და ბენეფიტები 70

ანაზღაურების სისტემა და სტრუქტურა 71

დისციპლინარული პასუხისმგებლობა 72

სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა 74

სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი 75

კრისტალი
სათავო ოფისი

ნიკეას ქ. // #22.
თბილისი // საქართველო

ტელ +(032) 2 02 20 20
+(032) 2 02 22 44

ელ. ფოსტა: contact@crystal.ge
ვებ. გვერდი: https://www.crystal.ge

„კომპანიის მმართველობის ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი წლიური ანგარიშის მომზადებასა და პრეზენტაციაზე“

პასუხისმგებლობა

კომპანიის მმართველობის ორგანოსა (დირექტორთა საბჭო - „მმართველი გუნდი“) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი წლიური ანგარიშგების მომზადებასა და კომპანიის ფინანსური და არაფინანსური შედეგების, ასევე, სტრატეგიის, საოპერაციო გარემოსა და არსებული რისკების სამართლიან შეფასებასა და პრეზენტაციაზე.

ანგარიშგება ასახავს კომპანიის შედეგებსა და მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, ითვალისწინებს 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის მომხდარ არსებით სიახლეებს.

ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და კომპანიის შიდა პოლიტიკების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებულია 2018 წლის 15 ოქტომბერს



არჩილ ბაკურაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით ბენდელიანი

აღმასრულებელი დირექტორი

მთავარი მიღწევები და აღსანიშნავი მოვლენები

პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენები

2017 წლის მთავარი მიღწევები და აღსანიშნავი მოვლენები

- 2017 წელს საქართველომ აჩვენა რეალური მშპ-ს შთამბეჭდავი, 5%-იანი ზრდა (საქსტატის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით; 2016: 2.8%), ამასთან, ინფლაციის მაჩვენებელი მოსალოდნელზე მაღალი იყო – 6% (2016 წ. – 2.1%), რაც დარეგულირდა წლის ბოლოსთვის, ფასების სტაბილურობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მონეტალური პოლიტიკის მეშვეობით;
- ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, რასაც დედოლარიზაცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაცია მოჰყვა, „კრისტალი“ დარჩა თავის ასპარეზზე;
- „კრისტალმა“ აჩვენა მთლიანი პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდა 36.10% (2016 წ. – 38.42%) აქტივების მაღალი ხარისხის შენარჩუნებასთან ერთად (Par>30[1] 0.73%; 2016 წ. - 0.77%). კომპანიის მომგებიანობა კარგი გახლდათ, 4.08%-იანი ROA[2]--სა (2016 წ. - 4.99%) და 19.06%-იანი ROE[3]-თი (2016 წ. - 24.19%). მომგებიანობის მცირე კლება გასულ პერიოდთან შედარებით აიხსნება ფასს 9-ის მიხედვით აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კორექტირებით 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით[4];
- „კრისტალი“ მიჰყვა თავის სტრატეგიულ გეგმას და პორტფელის მომგებიანობის (yield) შემცირების საპირწონედ (2017 წ. - 32.35%; 2016 წ. - 36.38%), შეამცირა საოპერაციო ხარჯები (2017 წ - 14.60%; 2016 წ. - 16.22%) და სტაბილურად შეინარჩუნა დაფინანსების ღირებულება[5] funding cost) (2017 წ. – 9.00%; 2016 წ. - 8.97%);

[1] Par > 30 – პორტფელის ის ნაწილი, რომლის მიმდინარე ნაშთი ჩამორჩება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკს 30-ზე მეტი დღით, ანუ მსესხებელი 30-ზე მეტ დღიან ვადაგადაცილებაშია.

[2] ROA = Return On Assets – უკუგება აქტივებზე. გამოიანგარიშება წლის წმინდა მოგების შეფარდებით მთლიანი აქტივების საშუალო წლიურ მონაცემთან.

[3] ROE = Return On Equity- უკუგება კაპიტალზე. გამოიანგარიშება წლის წმინდა მოგების შეფარდებით მთლიანი კაპიტალის საშუალო წლიურ მონაცემთან.

[4] კომპანიამ წინსწრებით დანერგა ფასს 9 2016 წლის 1 იანვრით დაწყებული ფინანსური წლისათვის, ხოლო 2017 წლის ჭრილში უფრო განავრცო და დეტალური გახადა (უფრო მეტი დისაგრეგაცია გააკეთა არსებული სესხების პორტფელის და განსხვავებული, სპეციფიკური მიდგომა გააკეთა სხვადასხვა ნიშან-თვისებების მქონე სესხებზე, მაგ. სეზონური სესხები) სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მოდელი, რამაც გაზარდა რეზერვი და მასთან დაკავშირებული გაუფასურების ხარჯი და შესაბამისად, შეამცირა მომგებიანობა.

[5] ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ სახსრებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი

- წლის ბოლოსათვის Par > 30 გახლდათ 0.73% (2016 წ. - 0.77%), რესტრუქტურიზაციის მაჩვენებელი[1] – 1.20% (2016 წ. - 1.51%). წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხების კოეფიციენტმა[2] 1.59% (2016 წ.- 1.93%) შეადგინა;
- „კრისტალმა“ შეძლო თავისი სესხების ოფიცრებისა და ფილიალების პროდუქტიულობის გაუმჯობესება. პორტფელი 1 ოფიცერზე გაიზარდა 14.06%-ით და მიაღწია გელ 617.0 ათასს (2016: ₾ 540.9 ათასი), ხოლო პორტფელი 1 ფილიალზე/სერვის ცენტრზე გათვლით 19.09%-ით გაიზარდა და ₾ 3.54 მილიონი შეადგინა (2016: ₾ 2.97 მილიონი);
- „კრისტალმა“ განაგრძო მიკრო და მცირე მეწარმეებისა და აგრო სექტორში მოღვაწეთათვის ყოფილიყო დაფინანსების მთავარი წყარო. 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით, პორტფელის გადანაწილება პროდუქტების მიხედვით შემდეგია:



- პორტფელის 89.95% დენომინირებული იყო ლარში (2016 წ. - 72.88%). მომხმარებელთა 30.48% ქალაქის მაცხოვრებელია (2016 წ. - 32.16%), დანარჩენი კი ცხოვრობს და საქმიანობს სოფლად. მდედრობითი სქესის მომხმარებელთა პროცენტული წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობაში 50.85%-ია (2016 წ. - 50.64%) და მთლიანი პორტფელის 39.47% უჭირავს (2016 წ. - 38.86%);
- 2017 წელს კომპანიამ გახსნა 2 ახალი ფილიალი და 6 ბუტიკი[3] (დახურა 1) და მათი საერთო რაოდენობა 49-იდან 56-მდე გაზარდა. ფილიალების მზარდი პროდუქტიულობითა და მიმზიდველი საკრედიტო პროდუქტებით, „კრისტალმა“ შეძლო თავისი საბაზრო წილის 16.75%-იდან 19.15%-მდე გაზრდა, რითაც ზრდის კარგი სიჩქარე აჩვენა თავის უშუალო კონკურენტებთან შედარებით[4];
- „კრისტალის“ თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 146-ით[5] და 877-ს მიაღწია; გადინების კოეფიციენტი კი 18.74% -ს შეადგენს;
- კომპანიამ განაგრძო ინვესტიციის განხორციელება საფილიალო ქსელის გაფართოებასა და ორგანიზაციული სისტემების მოწყობაში, IFRS 9-ის შესაბამისად შექმნილი მოდელის დახვეწასა და Fitch-ის რეიტინგის მიღებაში (2017 წლის აგვისტო: B), ციფრული პროდუქტებისა და არხების პილოტირებაში, რაც საერთო ჯამში მიმართულია სააქციო ღირებულების მაქსიმიზაციისკენ;
- გასული 3 წლის მანძილზე, „კრისტალის“ გარე აუდიტს აწარმოებდა საკონსულტაციო კომპანია შპს „KPMG Georgia“. 2017 წლის აუდიტისთვის ახალი კომპანიის შესარჩევად გამოცხადდა ტენდერი. სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, აქციონერებმა შპს „დელოიტი და ტუში“ დანიშნეს კომპანიის გარე აუდიტორად მომდევნო 2 წლის განმავლობაში (2017-2018 წწ.). 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება უკვე ახალი აუდიტორების მიერ შემოწმდა;
- აღსანიშნავია ორი სტრატეგიული პროექტის განხორციელება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსების მართვის მხრივ. შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორივე მიმართულებით კომპანიის დირექტორთა საბჭოს გაძლიერებისა და მნიშვნელოვანი ინვესტიციის გაკეთების შესახებ, როგორც ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების სისტემებსა და პროცესებში, ასევე სტ არქიტექტურასა და საინფორმაციო უსაფრთხოებაში.
- „კრისტალმა“ წარმატებით განათავსა კორპორაციული ობლიგაცია (₾ 10 მილიონის მცოცავ-განაკვეთიანი 2 წლიანი ობლი-

[1] მთლიან პორტფელში რესტრუქტურიზებული სესხების (როგორც მიმდინარე, ასევე ვადაგადაცილებაში მყოფი) წილი.

[2] ჩამოწერილი სესხების შეფარდება მთლიანი პორტფელის საშუალო წლიურ მონაცემთან.

[3] სერვის ცენტრი. ასევე იხილეთ „ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ“

[4] ასევე იხილეთ „საბაზრო წილი“

[5] ნეტო ზრდა: სხვაობა წლის მანძილზე ახალ-დასაქმებულ და წასულ თანამშრომელთა შორის

გაცია) და დაშვებულ იქნა საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ. შედეგად, „კრისტალი“ ობლიგაციის გამომშვები პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა რეგიონში.

- კომპანიამ წარმატებით დაიწყო ურთიერთობა ჰოლანდიური განვითარების ბანკთან (FMO), რაც რესურსების წყაროს დივერსიფიკაციასა და გაუმჯობესებულ დაფინანსების შესაძლებლობებზე მიუთითებს.
- შეიქმნა ინვესტორებთან კომუნიკაციის ახალი არხი, ვებ-პლატფორმა: **https://ir.crystal.ge/**, რომელიც გააადვილებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გაზიარებას აქციონერებთან, დამფინანსებლებთან, ობლიგაციის მფლობელებსა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
- „კრისტალმა“ FMO-სთან თანამშრომლობით განავითარა მწვანე მიმართულება[6] და აფინანსებს განახლებადი ენერგიისა და ენერგო ეფექტურ გადაწყვეტებს მიკრო და აგრო ბიზნესებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.
- კომპანიამ დაასრულა ინიციატივის „YES-Georgia[7]“ პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა მეწარმეთა ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

[6] ასევე იხილეთ „მწვანე დაფინანსება“

[7] ასევე იხილეთ „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“

2018 წლის I ნახევრის მთავარი მიღწევები და აღსანიშნავი მოვლენები

2018 წლის პირველი 6 თვის აღსანიშნავი თემები შემდეგია:

- „კრისტალის“პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა: 28.22% (2017 წ - 36.10%), ამასთან, აღსანიშნავია აქტივების მაღალი ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება (Par>30 0.59%; 2017 წ. - 0.73%). კომპანიის მომგებიანობა კარგი დარჩა, თუმცა, ROA მცირედით შემცირდა 2017 წლის ბოლოსთან შედარებით: 3.92% (2017: 4.08%), მაშინ როცა ROE-მ 20.36% შეადგინა (2017: 19.06%). მომგებიანობის მცირე კლება კვლავაც ფასს 9-ით აიხსნება, რომლის გამოყვანის მოდელიც კიდევ უფრო დახვეწა კომპანიამ 2017 წლის ბოლოს[1], შესაბამისად - უფრო მეტი კონკრეტიკითა და კონსერვატიულობით განისაზღვრება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი;
- „კრისტალი“ მიჰყვა თავის სტრატეგიულ გეგმას და პორტფელის მომგებიანობის (yield) შემცირების საპირწონედ (2018 წ. - 31.27%; 2017: 32.35%) შეამცირა საოპერაციო ხარჯები (2018 წ. - 12.26%; 2017 წ. -14.60%) და სტაბილურად შეინარჩუნა დაფინანსების ღირებულება (funding cost) (2018 წ. - 8.66%; 2017: 9%); მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია საერთაშორისო ბაზარზე დოლარში დენომინირებულ რესურსზე გაზრდილი ფასი. ამასთან, ისევ მაღალია აღნიშნული რესურსების ჰეჯირების ხარჯებიც.
- პერიოდის ბოლოსათვის Par > 30 გახლდათ 0.59% (2017 წ. - 0.73%), რესტრუქტურიზაციის მაჩვენებელი - 1.17% (2017 წ. - 1.20%), ხოლო პერიოდის მანძილზე ჩამოწერილი სესხების კოეფიციენტმა 1.90% (2017 წ. -1.59%) შეადგინა;
- „კრისტალმა“ შეძლო თავისი სესხის ოფიცრებისა და ფილიალების პროდუქტიულობის გაუმჯობესება: პორტფელი 1 ოფიცერზე გაიზარდა 29.84%-ით და მიაღწია ₾ 801.0 ათასს (2017: ₾ 617.0 ათასი), ხოლო პორტფელი 1 ფილიალზე/სერვის ცენტრზე გათვლით 19.67%-ით გაიზარდა და ₾ 4.23 მილიონი შეადგინა (2017: ₾ 3.54 მილიონი); „კრისტალმა“ განაგრძო მიკრო და მცირე მეწარმეებისა და აგრო სექტორში მოღვაწეთათვის ყოფილიყო დაფინანსების მთავარი წყარო. 2018 წლის I ნახევრის მდგომარეობით, პორტფელის გადანაწილება პროდუქტების მიხედვით შემდეგია:



- პორტფელის 94.85% დენომინირებული იყო ლარში (2017 წ. - 89.95%). მომხმარებელთა 28.41% ქალაქის მაცხოვრებელია (2017 წ. - 30.47%), დანარჩენი კი ცხოვრობს და საქმიანობს სოფლად. ქალ მომხმარებელთა პროცენტული წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობაში 49.68%-ია (2017 წ. - 50.85%) და მათ მთლიანი პორტფელის 38.06% უჭირავთ (2017 წ. - 39.47%);
- 2018 წლის I ნახევარში კომპანიამ გახსნა 2 ახალი ბუტიკი, რითაც კლიენტთა მომსახურების ოფისების რაოდენობა 56-იდან 60-მდე გაზარდა. ფილიალების მზარდი პროდუქტიულობითა და მიმზიდველი საკრედიტო პროდუქტებით „კრისტალმა“ შეძ-

[1] კომპანიის მიდგომით, მოდელის გადახედვა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მდგომარეობით ხორციელდება

ლო თავისი საბაზრო წილის 19.15%-იდან 21.69%-მდე გაზრდა, რითაც ზრდის კარგი მაჩვენებელი დააფიქსირა უშუალო კონკურენტებთან შედარებით;

- და 1,027-ს მიაღწია; გადინების კოეფიციენტი კი 7.53% გახლდათ;
- 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარებული ინტენსიური განმეორებითი შემოწმების შედეგად, კომპანიამ შეინარჩუნა 2017 წელს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch Rating"-ის მიერ მინიჭებული რეიტინგი;
- 2018 წლის I ნახევრის მანძილზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაკომპლექტდა ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულება, ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მმართველ

ბოა პროექტების მენეჯერთა სამსახურის შექმნა, რის შედეგადაც, ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი პროექტის სახით განიხილება, შესაბამისად, ჰყავს ერთი კონკრეტული მენეჯერი, რომელიც პროცესის კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი, თავად პროექტი კი , უფრო მეტი დეტალიზაციით, ადამიანური და დროითი რესურსის სწორი ინვესტიციითა და ვადებად გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმის სახით წარიმართება;

- 2018 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საკანონმდებლო კუთხით (ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობის მიმართულებით, კოვენანტების დაწესება, სასესხო და არასასესხო აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა, ეფექტური

გუნდს 2 ახალი დირექტორი შემოუერთდა, რომლებიც ზემოთხსენებულ მიმართულებებს ჩაუდგნენ სათავეში. ანგარიშის მომდევნო ქვეთავში, რომელიც უფრო დეტალურად აღწერს ადამიანური განვითარების მიმართულების სიახლეებს, მოცემულია კომპანიის განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა. განსაკუთრებით საყურადღებო

საპროცენტო განაკვეთის 100%-იდან 50%-მდე შემცირება). აღნიშნული ცვლილებების პროგნოზირებული უარყოფითი შედეგი კომპანიისთვის 2019 წლისთვის იქნება დაახლოებით 1,5-2 მლნ ლარი;

- გარდა ამისა, ბაზარზე კონკურენციის ზრდა და გაცემულ სესხებზე შემოსავლიანობის

შემცირება 2017 წლის შემდეგ უკვე აისახა კომპანიის შემოსავლებზე. ამ ეტაპზე, 2017 წელთან შედარებით, შემოსავლები სესხებზე საშუალოდ 2-3%-ით შემცირდა, ხოლო მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესების გამო (LIBOR 6 თვის განაკვეთის 1%-ით მატება), კომპანიის მისაღები რესურსების ფასები გაძვირდა დაახლოებით 0,5-0,8%-ით, რაც კომპანიისთვის 2018 წელს მხოლოდ 1 მლნ ლარის დამატებით ხარჯს გამოიწვევს რესურსებზე;

- ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მომდევნო 3 წლის მაკროეკონომიკური პროგნოზის შესაბამისად, პორტფელის შემოსავლიანობა კიდევ 4-5%-ით შემცირდება, რაც კომპანიის შემოსავლებზეც აისახება. კომპანიის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში პორტფელის მომგებიანობის მაჩვენებელი დაახლოებით 6%-ით შემცირდება (კონკურენციის გათვალისწინებით), ოპერაციული ხარჯების მაჩვენებელი კი 2017 წლიდან გამომდინარე, მომდევნო 3 წლის მანძილზე 3%-ით შემცირდება (სესხის საშუალო ზომის ზრდის და პროცესების ეფექტურობის ზრდის ხარჯზე). კომპანიის მოლოდინია ფინანსურ რესურსებზე ფასების ზრდა სავალუტო რესურსების მიმართულებით, რაც დღეისათვის მიღებული რესურსების დაახლოებით 65-70%-ს შეადგენს, თუმცა, არის მოლოდინი, რომ ლარის რესურსზე რეფინანსირების განაკვეთის მცირედით შემცირების ხარჯზე, რესურსის ფასი დაიკლებს. საბოლოო ჯამში, დაფინანსების ღირებულება შემცირდება დაახლოებით 1%-ით. რაც შეეხება პორტფელის ხარისხს[1], პროგნოზულად, მომდევნო სამი წლის მიხედვით დაახლოებით 0,6%-ით გაუარესდება და 5%-მდე მიაღწევს;
- ბაზრის პროგნოზის საფუძველზე, კომპანია მომდევნო 3 წლის განმავლობაში გეგმავს ყოველწლიურად განახორციელოს პორტფელის დაახლოებით 30%-ით ზრდა, თუმცა, პორტფელის ზრდა კონკურენტულ ბაზარზე ბევრ გარე ფაქტორზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა საკანონმდებლო სივრცეში მოუწევს კომპანიას საქმიანობა.
- კომპანიას შერჩეული აქვს კონკრეტული პარამეტრები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებად გამოყოფს თავისი შედეგებს მონიტორინგის საწარმოებლად. ამ მხრივ 2018 წლის 1-ლი ნახევრის შედეგები და ბოლო 3 პერიოდის ტრენდი ასე გამოიყურება[2]:

პარამეტრი	30-ივნ-18	იხილეთ სქემა
სესხის პორტფელი	252,875	1
მთლიანი აქტივები	287,190	1
მთლიანი კაპიტალი	51,285	1
უკუგება აქტივებზე (ROA)	3.46%	4
უკუგება კაპიტალზე (ROE)	19.37%	4
Par > 30	0.59%	4
რესტრუქტურიზაცია	1.17%	4
ჩამოწერილი სესხები	1.90%	4
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	2.71%	4
რისკის დაფარვა	170.02%	4
სასოფლო მსესხებლები	71.59%	4
ქალი მსესხებლები	49.68%	4
სესხის საშუალო მოცულობა	2.968	3

[1] Par > 30 + რესტრუქტურიზებული სესხები + ჩამოწერილი სესხები

[2] ანალოგიურ პარამეტრებს აუდიტირებულს 2017 და 2016 წლების ბოლოს მდგომარეობით იხილავთ „მმართველობის ანგარიშის“ „საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები“ ქვეთავში.

თანამშრომელთა რაოდენობა	1,027	2
ფილიალებისა და ბუტიკების საერთო რაოდენობა	60	2
მომხმარებლის შენარჩუნების კოეფიციენტი	69.45%	4
მომხმარებლის რეკომენდაციის ქულა	n/a	4

სქემა 1:



სქემა 2:



სქემა 3:



სქემა 4:


180.00%
160.00%
140.00%
120.00%
100.00%
80.00%
60.00%
40.00%
20.00%
0.00%
25.00%
20.00%
15.00%
10.00%
5.00%
0.00%
115.14%
18.81%
67.84%
50.64%
32.88%
91.10%
4.24%
0.77%
1.51%
1.93%
2.35%
152.94%
17.56%
69.53%
50.85%
26.97%
89.10%
3.60%
0.73%
1.20%
1.59%
2.65%
170.02%
19.37%
71.59%
49.68%
69.45%
3.46%
0.59%
1.17%
1.90%
31-დეკ-16
31-დეკ-17
30-ივნ-18
რისკის დაფარვა
სასოფლო მსესხებლები
ქალი მსესხებლები
მომხმარებლის შენარჩუნების კოეფიციენტი
მომხმარებლის რეკომენდაციის ქულა
უკუგება აქტივებზე (ROA)
უკუგება კაპიტალზე (ROE)
Par > 30
რესტრუქტურიზაცია
ჩამოწერილი სესხები
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულების განახლებული სტრუქტურა და სტრატეგია – 2018

სს მისო „კრისტალი“-ს საკადრო პოლიტიკა

სს მისო „კრისტალი“-ს საკადრო პოლიტიკა და პერსონალის მართვა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კრისტალის მმართველობითი ორგანოების (აღმასრულებელი საბჭო, მმართველი გუნდი) მიერ მიღებული აქტებითა და დაქირავებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით. საკადრო პოლიტიკა, ისევე როგორც შრომითი ურთიერთობების რეგულირების მიზნით შექმნილი წესი, საქმიანობის პროცედურები, შიდა რეგულაციები სრულ შესაბამისობაშია კომპანიის წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და ა. შ.

ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავენ პროფესიონალი, მოტივირებული და პატიოსანი კადრები. კომპანია მუდმივად ცდილობს დასაქმებულთა ჩართულობის, მოტივაციის ამაღლებისა და მათი პროფესიონალიზმის ზრდის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

კომპანიას აქვს ძალიან ნათელი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომლითაც მკაცრად იკრძალება დისკრიმინაციისა და შევიწროვების ნებისმიერი გამოვლინება, ქცევა თუ განზრახვა როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე შრომითი ურთიერთობების ყველა ეტაპზე, ისევე, როგორც კომპანიასთან საქმინ ურთიერთობებში მყოფ ადამიანებთან მიმართებაში (მიუხედავად კონტრაქტის ტიპისა, იქნება ეს შრომითი, თუ მომსახურების ტიპის კონტარქტები).

განსაკუთრებული მიდგომები

ორგანიზაციის ყველა ოფისი სათაოსა თუ ფილიალების, ან სხვა ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულების დონეზე გამოცხადებულია იარაღისგან, სიგარეტისგან, ალკოჰოლისგან და ნარკოტიკისგან თავისუფალ ზონად. კატეგორიულად არის აკრძალული ამ ნივთების შემოტანა, გამოყენება ან მოხმარება ოფისის ტერიტორიაზე.

შრომითი ურთიერთობების დაწყებასთან დაკავშირებული ცალკეული შეზღუდვები

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" თანამშრომლად არ შეიძლება აყვანილ იქნას ფიზიკური პირი, რომელიც:

- ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
- აშკარად ქადაგებს ან ეწევა დისკრიმინაციულ, პროპაგანდისტულ საქმიანობას მიმართულს პოლიტიკური, რელიგიური, გენდერული, ეროვნული, რასისტული, სოციალური და სხვა ნიშნების მიხედვით ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისაკენ, ასევე, თუ პირი აქტიურად არის ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში და ეწევა კომპანიის თანამშრომლებთან და კლიენტებთან აგიტაცია-პროპაგანდას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის რეპუტაციისა და იმიჯის შელახვა.
- რაიმე ფორმით მონაწილეობს "კრისტალთან" კონკურენტულ მდგომარეობაში მყოფი დაწესებულების საქმიანობაში და წარმოადგენს მის ინტერესებს, ასევე, პირი ან მისი ოჯახის წევრები ან/და მათთან დაკავშირებული პირები, რომლებიც ფლობენ წილს/აქციას, წარმოადგენენ მმართველობითი ორგანოების წევრებს ან აქვთ სხვა სახის ფინანსური ან კომერციული ინტერესი.
- წარმოადგენს უმაღლესი მენეჯმენტის, შიდა აუდიტისა და თანამშრომლის ოჯახის წევრს ან/და ნათესავს. წარმოადგენს კრისტალის მენეჯმენტის და რისკების სამსახურის ოჯახის წევრს ან/და ნათესავს უშუალო დაქვემდებარებაში ან თანმკვეთ თანამდებობაზე; წარმოადგენს კომპანიის თანამშრომლის ოჯახის წევრს ან/და ნათესავს, როდესაც შესაძლოა ასეთი პირი აღმოჩნდეს პოზიციურად არსებული თანამშრომლის უშუალო დაქვემდებარებაში ან თანმკვეთ თანამდებობაზე, ისევე როგორც ერთი და იგივე სამსახურში, დეპარტამენტში, განყოფილებაში.

კომპანიაში ადამიანი აღიარებულია უპირველეს პრიორიტეტად, შესაბამისად, კომპანიის კორპორატიული ღირებულებები, არსებული სტრუქტურა, შიდა ორგანიზაციული კულტურა მომართულია ადამიანის კეთილდღეობის, ბედნიერების, პიროვნული და პროფესიული სრულყოფის და განვითარების მუდმივი და უწყვეტი შესაძლობლობების მიცემის, ახალ შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომის, შრომითი უფლებებისა და ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის მიმართულებებზე.

აღნიშნული მიდგომა ნათლად არის დეკლარირებული ორგანიზაციის სტრუქტურაშიც, სადაც „ადამიანური რესურსი" ან „ადამიანური კაპიტალი" მთლიანად ჩანაცვლდა ახლებური მიდგომითა და ტერმინით **„ადამიანი"** და ცალკეულ შემთხვევაში, ადამიანი მისი განვითარების ან შერჩევის ფაზებზე მოხსენიებულია, როგორც „ტალანტი".

ორგანიზაციული სტრუქტურა

- კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მკვეთრადაა გამიჯნული უფლებამოსილება. ფუნქციურ პარალელიზმსა და უფლებამოსილების გადაფარვას არსებული სქტრუქტურიდან და სამსახურებს შორის გადანაწილებული ფუნქციებიდან და როლებიდან გამომდინარე, ადგილი არ აქვს;
- 2018 წელს განხორციელდა არსებითი სტრუქტურული ცვლილებები. კომპანიის მდგრადობისა და შედგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, დაემატა ორი დირექტორატი: ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების დირექტორატი და საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორატი. სტრატეგიული ფუნქციები გადანაწილდა 6 დირექტორატში, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, ხოლო თითოეულ დირექტორატს ხელმძღვანელობს შესაბამისი მიმართულების უფროსი ოფიცერი (ცალკეულ შემთხვევებში კომუნიკაციისას უფროსი ოფიცერი მოხსენიებულია, როგორც დირექტორი)

ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის წევრებიც აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული უფროსი ოფიცრების მიერ. უფროსი ოფიცრები, მათი კომპეტენციისა და სამოქმედო სფეროს ფარგლებში, ხელმძღვანელობენ თავიანთ დაქვემდებარებაში შემავალ დირექტორატებს. ისინი პასუხისმგებელნი არიან მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და კომპანიის სტრატეგიის შესამაბისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებასა და სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე.

ორგანიზაციული და მენეჯმენტის სტრუქტურა





კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ინტერესთა კონფლიქტი

უმაღლესი მენეჯმენტის წევრები და მენეჯმენტი ვალდებული არიან, უზრუნველყონ კომპანიაში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. როგორც მენეჯმენტს, ასევე კომპანიის თანამშრომლებს ეკრძალებათ საკუთარი ინტერესების კომპანიის ინტერესებზე მაღლა დაყენება და კომპანიაში სამუშაოდ ისეთი პირის აყვანა, რომელიც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. ასევე, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, ან მიღების პროცესში მონაწილეობა, ან რაიმე სახით ზემოქმედება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომელმაც შესაძლოა შექმნას კორუფციისა ან/და ინტერესთა კონფლიქტის რისკები. ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კონტროლი არის მუდმივი პროცესი. კორუფციისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესები და მიდგომები რეგულირდება კომპანიაში არსებული შიდა პოლიტიკებითა და შესაბამისი რეგულაციებით.

2018 წელს დაწყებულია სპეციალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არსებული კომპენსაციის პოლიტიკისა და სისტემების დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს, რომლის მიზანიც არის გააუმჯობესოს, სრულყოს და საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო, წარმატებულ პრაქტიკებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ამჟამინდელი სისტემები.

კონკრეტული პოზიციებისათვის სახელფასო განაკვეთები განისაზღვრება და რეგულირდება მმართველი გუნდის მიერ დამტკიცებული სახელფასო გრეიდების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტთან და მუდმივ საშტატო ერთეულების მოცულობასთან.

სხვა პერსონალის (მომსახურების ხელშეკრულებებსა ან დროებით სამუშაო კონტრაქტების შემთხვევაში) ხელფასები განისაზღვრება შესაბამისი კონტრაქტებით.

თანამშრომლების პერსონალის შერჩევა და ადაპტაცია

2018 წლიდან კომპანიაში დარეგილია HR ბიზნეს პარტნიორობის მოდელი, რაც გულისხმობს კომპანიის მენჯმენტისა და ტალანტების მართვისა და განვითარების სამსახურის წარმოდაგენლების – HR ბიზნეს პარტნიორების აქტიურ თანამშრომლობას საჭიროებების შეფასების, ახალი საშტატო ერთეულების საჭიროების დადგენის, ახალი თანამშრომლების შერჩევის სტრატეგიების დასახვის, შესაბამის პოზიციებისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი ადამიანების შერჩევის, ასევე, მათი დასაქმების შედგომი, ახალ პოზიციებზე და ახალ გუნდებთან ადაპტაციის, მიზნებისა და ამოცანების დასახვის, განვითარების გზებისა და შესაძლებლობების შეფასების მიმართულებით.

წლის დამტკიცებული ბიუჯეტის და მუდმივი სამუშაო პოზიციების დამტკიცებული მოცულობების ფარგლებში, ტალანტების რეკრუტირების წლიური გეგმის შესაბამისად ხდება საჭიროებების დაზუსტება მენეჯერის მიერ დირექტორატის მიმართულებით გამოყოფილ HR ბიზნეს პარტნიორთან, რომელთან ერთადაც მიიღება გადაწყვეტილება ახალი თანამშრომლის აყვანასთან დაკავშირებით.

HR ბიზნეს პარტნიორი და სტრუქტურული ერთეულის მენეჯერი ადგენენ და შეიმუშავებენ სპეციალურ მოთხოვნებს კონკრეტული პოზიციისათვის და თანხმდებიან ტალანტის მოძიებისა და შერჩევის გზებსა და საშუალებებზე.

როგორც წესი, კომპანიის სახელით ცხადდება ღია კონკურსი, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილება კონკურსში, შესაბამისი აპლიკაციის შევსებისა და განაცხადის წარმოდგენის გზით. კომპანია უზრუნველყოფს კანდიდატის

პერსონალური ინფორმაციის დაცულობასა და მათ დამუშავებას, შენახვას, ან უტილიზაციას კომპანიაში დადგენილი პერსონალური ინფორმაციის მარეგულირებელი სპეციალური წესის შესაბამისად.

შერჩევის პროცესში სრულად ხორციელდება კონტროლი დისკრიმინაციული და შევიწროვების ნებისმიერი შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით და სრულად არის გარანტირებული ყველა კანდიდატისათვის გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და თანამშრომლური გარემო მთელი შერჩევის პროცესის განმავლობაში.

კონკრეტული პოზიციებისათვის დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევის პროცესში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინტერვიუების სხვადასხვა ტექნიკები და მეთოდები, ან სპეციალური შერჩევის ინსტრუმენტები, ან ბატრეები, კანდიდატის ცოდნის, პიროვნული და პროფესიული უნარების შეფასების მიზნით.

გადაწყვეტილება მიიღება სპეციალური კომისიის მიერ, სადაც ჩართულია კონკრეტული მიმართულების ერთეულის ხელმძღვანელი, სადაც ხდება კანდიდატების შერჩევა ვაკანტური პოზიციისათვის, HR ბიზნეს პარტნიორი და შესაძლოა, ჩართული იყოს დარგის ექსპერტიც.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე, კანდიდატებს ეცნობებათ შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო შერჩეულ კანდიდატს დამატებით ეთხოვება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სახელშეკრულებო ფორმალობების დაწყების მიზნით.

ახალი თანამშრომლის ახალ პოზიციაზე მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან, უშუალო მენეჯერი და HR ბიზნეს პარტნიორი აცნობენ კომპანიის ღირებულებებს, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარუდგენენ გუნდს. უშუალო მენეჯერი და ახალი თანამშრომელი თანხმდებიან კონკრეტულ მიზნებზე და იმ შედეგებზე, რომელსაც უნდა მიაღწიოს კონკრეტულ პერიოდში, ასევე, შესრულებული სამუშაოების შეფასების ნათელ და გონებამახვილ ინდიკატორებზე.

ამ მომენტიდან HR ბიზნეს პარტნიორი ჩართულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში, პერიოდულად ხვდება თანამშრომელსა და მენეჯერს და ეხმარება მათ კონკრეტული საჭიროებისამებრ.

როგორც წესი, კომპანიაში ახალი თანამშრომელი მიიღება 6 თვემდე გამოსაცდელი ვადით.

2019 წლიდან დაგეგმილია 3D ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა, რაც კიდევ უფრო მეტად

აამაღლებს კონკრეტული თანამშრომლის ჩართულობას შრომითი ურთიერთობების პროცესში დისციპლინარული პასუხისმგებლობების შემთხვევის დადგომისას. ასევე, თანამშრომელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია HR შესაბამისობის მენეჯერის მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქციისა და მანდატის გაფართოება, რომელიც, თავის მხრივ, მაქსიმალურად აამაღლებს თანამშრომლების ინტერესების დაცვის კულტურასა და გარანტირებულს გახდის ობიექტური და მიუკერძოებელი რეაგირების მექანიზმების გამოყენებას.

ადამიანის უფლებები, შრომის უსაფრთხოებები და შრომითი პირობები

კომპანია სრულად აცნობიერებს თითოეული დასაქმებული ადამიანის უფლების ზედმიწევნით და სრულად დაცვის მნიშვნელობას და აიღო ვალდებულება შექმნას სრულიად მოუკერძოებელი, გამჭვირვალე და ოფიექტური სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის კომპანიის მენეჯმენტის სტრატეგიული მიზნის მიღწევას – დაცული იყოს თოთოეული თანამშრომლის/დასაქმებულის შრომითი და მათი, როგორც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დაიცვას ისინი დისკრიმინაციის, შევიწროების ნებისმიერი ფორმის გამოვლინების შემთხვევებისაგან და შექმნას მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული გარემო ყოველდღიური საქმინობისათვის.

ამჟამად უკვე შექმნილია და სრულად ფუნქციონირებს whistleblowing-ის/მხილების სისტემა, სადაც კომპანიის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ნებისმიერი შესაძლო გადაცდომის ფაქტების დარეპორტებისა და შეტყობინების კუთხით, მათ შორის, შრომითი ურთიერთობის პროცესში ღირსებულ დასაქმების პირობებთან, დისკრიმინაციისა თუ შევიწროვების ნებისმიერი ფორმით გამოვლენის შემთხვევებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, 2018 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების დროს, ადამიანებისა და ორგანიზაციული მართვის დირექტორატში სრულიად ცალკე მიმართულებად გამოიყო HR შესაბამისობის მიმართულება.

HR შესაბამისობის მიმართულება აქტიურად იმუშავებს:

- არსებული რეგულაციების, შიდაორგანიზაციული პოლიტიკების, ბიზნეს პროცესების, ინსტრუქციებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის სრულად ჰარმონიზაციაზე საერთაშორისო საკონონმდებლო აქტებთან, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ILO (საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის) მიერ მიღებულ დირექტივებთან და დადგენილ სტანდარტებთან, რათა კიდევ უფრო მაღალ სტანდარტზე გადავიდეს კომპანიაში შრომითი ურთიერთობების საკითხები;
- შექმნის დამოუკიდებელ და სანდო საკომუნიკაციო არხებს შესაძლო დისკრიმინაციისა და შევიწროვების ფაქტების, ღირსეული დასაქმებისა და შრომის პირობების შესაძლო უგულვებელყოფის შემთხვევებზე სწრაფი გამოვლენის, მათზე დაუყოვნებლივი რეაგირებისა და თანამშრომელთა შრომითი უფლებების გარანტირებულად დაცვის უზრუნველსაყოფად.
- ჩაერთვება ღირსეული დასაქმების პირობებისა და შრომითი უფლებების მონიტორინგის პროცესების სრულ ციკლში, მათ შორის დისციპლინარული ზომების/სახდელების დადების პროცესში – თანამშრომელთა უფლებების გარანტირებულად დაცულობის უზრუნველსაყოფად.

HR შესაბამისობის მიმართულების ობიექტურობისა და მიუკერძოებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ეს მიმართულება უშუალოდ დაექვემდებარება ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების უფროს ოფიცერს/დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, ხდება შრომითი უფლებების დაცვის გარანტი ორგანიზაციაში.

აღნიშნული მიმართულება მოიცავს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუდმივად დასაქმებულ და შრომით ურთიერთობებში მყოფთა უფლებების დაცვას, არამედ, მომსახურების, დროებით და ვადიანი კონტრაქტებზე მყოფი ადამიანების უფლებების დაცულობის გარანტიებსაც.

შესაბამისობა გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან 2017 წლისთვის

კორპორაციული მართვის კოდექსის მხრივ, კომპანიას ნიმუშად აქვს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი[1] და მუშაობს აღნიშნულ კოდექსთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოსასვლელად. იხილეთ ანგარიში პროგრესის შესახებ:

პრინციპები	პროგრესი	კომენტარი
სექცია A: ხელმძღვანელობა	4.5	
A.1: საბჭოს როლი	სრულად	
A.2: პასუხისმგებლობის განაწილება	სრულად	
A.3: თავმჯდომარე	სრულად	
A.4: არა-აღმასრულებელი დირექტორები	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში A.4
სექცია B: ხელმძღვანელობა	2.4	
B.1: საბჭოს შემადგენლობა	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში B.1
B.2: დანიშვნა საბჭოს წევრად	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში B.2
B.3: ვალდებულება	სრულად	
B.4: განვითარება	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში B.4
B.5: ინფორმაცია და მხარდაჭერა	სრულად	
B.6: შეფასება	შეუსაბამო	იხ. ქვემოთ სექციაში B.6
B.7: ხელახალი არჩევა	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში B.7
სექცია C: ანგარიშვალდებულება	4.3	
C.1: ფინანსური და საოპერაციო ანგარიშგება	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში C.1
C.2: რისკების მართვა და შიდა კონტროლები	სრულად	
C.3: აუდიტის კომიტეტი და აუდიტორები	სრულად	
სექცია D: ანაზღაურება	4.0	
D.1: ანაზღაურების დონე და კომპონენტები	სრულად	
D.2: პროცედურა	ნაწილობრივ	იხ. ქვემოთ სექციაში D.2
სექცია E: აქციონერებთან ურთიერთობა	5.0	
E.1: დიალოგი აქციონერებთან	სრულად	
E.2: აქციონერთა კრების კონსტრუქციული გამოყენება	სრულად	
ჯამური ქულა	4.04[1]	

კომენტარები:

A.4. აუცილებელია უფროსი, დამოუკიდებელი დირექტორის დანიშვნა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება აქციონერებისთვის;

B.1. პატარა ზომის კომპანიის საბჭოს შემადგენლობაში უნდა იყოს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი წევრი, მაშინ, როცა „კრისტალის“ შემთხვევაში, ბატონი ნიკოლოზ ლოლაძის დამოუკიდებლობა იზღუდება იმ

[1] UK Corporate Governance Code

ფაქტით, რომ ის არის სს „მობილური საფინანსო სერვისები – საქართველოს“ აქციონერი, რომელსაც არსებითი ბიზნეს ურთიერთობა აქვს „კრისტალთან“. აღნიშნულ თემაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ბატონი ნიკოლოზ ლოლაძე მონაწილეობას არ იღებს კენჭისყრაში;

B.2. უნდა შეიქმნას ნომინაციის (დანიშვნის) კომიტეტი და მისთვის მიმართვის პირობები, რაც განსაზღვრავს საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებულ პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებას. წლიური ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს აღნიშნული კომიტეტის მუშაობას, საბჭოს წევრად დანიშვნისთვის გამოყენებული პროცესის ჩათვლით;

B.4 თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ახალი დირექტორები მიიღებენ სრულ, ფორმალურ და მათ მომავალ ფუნქციაზე მორგებულ გაცნობით კურსს საბჭოს წევრად დანიშვნისას. ამ კურსის ფარგლებშივე, დირექტორებმა უნდა ისარგებლონ შემთხვევით და გაიცნონ აქციონერები. თავმჯდომარემ რეგულარულად უნდა შეამოწმოს და შეათანხმოს თითოეულ დირექტორთან მათი საჭიროებები ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების მხრივ;

B.6. საბჭოს შეფასების პოლიტიკის სამუშაო ვერსია მომზადებულია დასამტკიცებლად. იგეგმება მისი დანერგვა 2018 წლის ბოლომდე;

B.7. ხელახალი არჩევის ინტერვალები არაა დაცული არა-აღმასრულებელი დირექტორების შემთხვევაში და ისინი 3 წელზე მეტი ვადით ინიშნებიან. საბჭომ ახალი წევრები უნდა აირჩიოს მათი დანიშვნიდან პირველივე სხდომისას და შემდგომი ხელახალი არჩევა არა-უმეტეს 3 წლიანი ინტერვალებით უნდა ხდებოდეს;

C.1. უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშები, რომელიც ასახავს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს[1] *სტატუსს;*

D.2. როგორც ზემოთ კომენტარ B.2.-შია აღნიშნული, სამეთვალყურეო საბჭოს ჯერ არ შეუქმნია ნომინაციის კომიტეტი, რომელშიც მხოლოდ დამოუკიდებელი დირექტორები იქნებიან. ამის მიუხედავად, პროცედურის სხვა ასპექტები სრულადაა დაცული.

[1] Accounting on a going concern basis

შვილობილი კომპანია

„კრისტალ გრუპი“ (სს მისო „კრისტალის“ შვილობილი კომპანია), საიდენტიფიკაციო კოდი 412734359, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია გაიარა 2018 წლის 26 იანვარს.

სს მისო „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით,, მიკროფინანსებისა და ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში ნოუ-ჰაუს უცხოურ ბაზრებზე ექსპორტის შესასრულებლად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კრისტალ გრუპ“-ის დაფუძნების შესახებ.

საზოგადოების პარტნიორია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“, სააქციო საზოგადოება, იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდი 212896570, პარტნიორის წილი საწესდებო კაპიტალში: 100 %. საწარმოს მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრება ტარდება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ, საწარმოს უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე (ან სხვა მისამართზე), საწარმოს წლიური ბალანსის (ფინანსური ანგარიშგება) შედგენიდან ორი თვის განმავლობაში, დირექტორის მიერ პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე დაზღვეული წერილით მოწვევის გაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში, პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესიგში.

საწარმოს ჰყავს დირექტორი. საწარმოს დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება სამი წლის ვადით.

- საწარმოს მიმდინარე ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექტორი. მესამე პირებთან ურთიერთობებში საწარმოს წარმოადგენს დირექტორი;
- ვალდებულია წარუდგინოს პარტნიორთა კრებას ინფორმაცია გაწეული საქმიანობის და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

სს მისო „კრისტალის“ აღმასრულებელი დირექტორი მალხაზ ძაძუა შპს „კრისტალ გრუპის“ დაარსების შემდგომ დაინიშნა მის დირექტორად. სს მისო „კრისტალში“ კი აღმასრულებელი დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს დროებით ითავსებს კომპანიის ფინანსური დირექტორი დავით ბენდელიანი.

შპს დელოიტი და ტუში
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის („კრისტალი“ ან „კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე;

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი ..დელოიტი") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

© 2018 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.

ჩვენ, აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად, აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 4 მაისს. 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

თამარ ნაცვლიშვილი
დელოიტი და ტუშის სახელით

Deloitte & Touche

15 ოქტომბერი 2018
თბილისი, საქართველო

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება

„კრისტალის“ რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული გამჭვირვალობისა და სოციალური პასუხისმგებლობისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა

2017 წელს შესრულდა 10 წელი სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ დაარსებიდან და თითქმის 20 წელი იმ პერიოდიდან, როცა მისმა დამაარსებლებმა მიკროსაფინანსო საქმიანობა დაიწყეს. ამ 10 წლის მანძილზე, კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 1.5 მილიონიდან 46.3 მილიონამდე (30-ჯერ), მთლიანი პორტფელი 7.5 მილიონიდან 205 მილიონამდე[1] (25-ჯერ), ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა 100 -ზე ნაკლებიდან თითქმის 900-მდე (9-ჯერ).

სუბიექტის განვითარების გეგმები

სს მისო „კრისტალი“ თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მიკრო და მცირე ბიზნეს სექტორის განვითარებას საქართველოში.

„კრისტალი“ მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალხარისხიან ფინანსურ მომსახურებას, მათ შორის, მიკრო, საშუალო და აგრო სესხებს დამწყები და მოქმედი ბიზნესისათვის, სარემონტო და სამომხმარებლო სესხებს, ვალუტის გაცვლის ოპერაციებს, გზავნილებს, კომუნალური გადახდის მომსახურებას და ა.შ.

„კრისტალი“, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ქ. ქუთაისში (დასავლეთ საქართველო), ძირითადად ორიენტირებულია რეგიონებსა და მოშორებულ ადგილებში არსებულ მიკრო მეწარმეებისა და ფერმერების განვითარებაზე. 2017 წლის მდგომარეობით, კომპანიის სესხის პორტფელის 62.32% კონცენტრირებულია სასოფლო რეგიონებში.

„კრისტალისთვის“ მნიშვნელოვანია კლიენტებთან გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. კომპანიას რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული გამჭვირვალობისა და სოციალური პასუხისმგებლობისთვის, კერძოდ:

- 2012 წელი – Micro Finanza Rating Agency-ის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი BBB;
- 2010 წელი – Planet Rating Agency-ის G.I.R.A.F.E. რეიტინგი B;
- 2017 წლის გავისტო – Fitch Ratings – ის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი B;
- 2018 წელი – Fitch Ratings-ის საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი B;

კომპანია აქტიურად არის ჩართული მომხმარებელთა დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივ ინიციატივებში. 2014 წლიდან „კრისტალი“ მონაწილეობს გლობალურ ფინანსურ-საგანმანათლებლო

[1] ამ მიზნებისათვის პორტფელში იგულისხმება მხოლოდ მისი ძირის მიმდინარე ნაშთი (დარიცხული პროცენტის, საკომისიოებისა და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გარეშე).

პროგრამაში „ისესხე გონივრულად“. აღნიშნული საერთაშორისო კამპანია იმართება „მიკროსაფინანსო ცენტრი – პოლონეთის“ მიერ და მიზნად ისახავს კონსულტაციების ჩატარებას სესხის გონივრულად აღების კუთხით, რაც მოიცავს პოტენციურ კრედიტორთან მოლაპარაკებისას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სესხის ოპტიმალური ზომა, რისკების შეფასება და ა.შ.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონით. სესხები გაიცემა ერთ მსესხებელზე მაქსიმუმ 50,000 ლარის ოდენობით (2018 წელს შესული ცვლილებების მიხედვით , ზედა ზღვარი 100,000 ლარით განისაზღვრა). კომპანიის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს სესხები, რომელთა გაცემაც ხდება შიდა საკრედიტო მეთოდოლოგიის საფუძველზე და მაქსიმალურად თავსებადია საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

კომპანია სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებასა და პროდუქტების ფართო სპექტრს უზრუნველყოფს, კერძოდ:

- მიკრო და მცირე ბიზნეს სესხები;
- აგრო სესხები;
- სამომხმარებლო სესხები;
- იპოთეკური სესხები;
- განვადება;
- სალომბარდე სესხები;
- ვალუტის გაცვლა;
- ფულადი გზავნილები;
- კომუნალური გადასახადების გადახდა;

თითოეული პროდუქტი განკუთვნილია მომხმარებლის გარკვეული საჭიროების დასაფინანსებლად. კრედიტის მიზნობრიობა განისაზღვრება წინასწარ, დამტკიცების ეტაპზე და მონიტორინგი სესხის გაცემის შემდეგაც გრძელდება. კომპანია სესხის უზრუნველყოფის სახით იღებს მოძრავ და უძრავ აქტივებს (უძრავ ქონებას) სესხებზე 20,000 ლარის ზემოთ, ძვირფას ლითონებსა და ქვებს მხოლოდ სალომბარდო სესხებზე და მესამე მხარის გარანტიებს სესხებზე 10,000 ლარის ზემოთ.

მიკრო და მცირე ბიზნეს სესხები გაიცემა მიკრო და მცირე ბიზნესებზე, რომ გაფართოვდეს ან გაუმჯობესდეს მათი ბიზნეს საქმიანობა ძირითადი საშუალებების შეძენის ან საბრუნავ კაპიტალში ინვესტირების გზით. მიკრო ბიზნესის სესხებისგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის სესხების წინასწარი დამტკიცების ეტაპი უფრო რთულია და მასთან დაკავშირებით უფრო საფუძვლიანი ანალიზი ტარდება. შეთავაზებული მცირე ბიზნესის სესხების მინიმალური თანხა 10,000 აშშ დოლარს შეადგენს (ექვივალენტი ლარში) და მხოლოდ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს აძლევენ, რომლებსაც შედარებით ორგანიზებული საბუღალტრო პოლიტიკა და პროცედურები აქვთ. ამ კატეგორიაში კომპანიამ დანერგა ტურისტული სესხები. აღნიშნული სესხის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შეძენა მიკრო და მცირე ზომის საწარმოებისთვის, რომლებიც სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში საქმიანობენ.

აგრო სესხები გაიცემა მცირე ფერმერებზე ან ბიზნეს საწარმოებზე, რომელთა შემოსავლის ნაკადები ძირითადად აგრარული ოპერაციებიდან მოდის. სესხის მიზანი შეიძლება იყოს ძირითადი საშუალებების შეძენა ან სამუშაო კაპიტალში ინვესტირება. იგივე მიზნისა და საქმიანი პროფილის მქონე პოტენციურ კრედიტორს კომპანია სთავაზობს აგრო საკრედიტო ბარათს, რომელიც სქორინგის სისტემის საფუძველზე მყისიერად მტკიცდება.

სამომხმარებლო სესხები გაიცემა საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე პირებზე, რომელთა შემოსავლის წყაროები შეიძლება იყოს ფიქსირებული ხელფასი, ფულადი გზავნილები, პენსია ან სხვა ფიქსირებული და მუდმივად შემომავალი ფულადი ნაკადები. სესხის მიზანია სამომხმარებლო საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიცაა სწავლის ხარჯის დაფინანსება, სამედიცინო ხარჯის დაფინანსება და სხვა დროებითი ფულადი დეფიციტის დაფინანსება.

იპოთეკური სესხები გაიცემა საშუალო და დაბალი შემოსავლის პირებზე მხოლოდ უძრავი ქონების შეძენის ან რენოვაციის მიზნით.

განვადება სპეციალური დანიშნულების ფინანსური პროდუქტია, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ გარკვეული საქონლის ან მომსახურების იმ პროვაიდერებთან, რომლებთანაც „კრისტალს“ გაფორმებული აქვს სავაჭრო ხელშეკრულება. მისი დამტკიცება ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში, განაცხადის მიღების და შესაბამისი ინფორმაციის სისტემაში მითითების საფუძველზე. სესხის დამტკიცების შემდგომ, თანხა პირდაპირ საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელს ერიცხება. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ონლაინ პლატფორმაა ინტერნეტ-მაღაზია **https://akido.ge/**, რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა ტიპის პროდუქციას სთავაზობს განვადებით.

სალომბარდე სესხები გაიცემა მხოლოდ ძვირფასი ლითონების უზრუნველყოფით.

სესხის განაცხადის შეტანისა და დამტკიცების პროცესი:



პროდუქტის დამახასიათებელი მატრიცა:

პროდუქტის სახელი	დაფინანსების ფარგლები (ლარი)	ღირებულება	დაფინანსების მაქსიმალური პერიოდი	სესხის გაცემის საკომისიო	წინასწარ დაფარვის საკომისიო	უზრუნველყოფის მოთხოვნა	პროდუქტის ტიპი (სწრაფი/ძირითადი)
მიკრო და მცირე ბიზნესის სესხი	70 – 50,000	18% – 48%	60 თვე	2.5% – 4%	2%	პირობითი	სწრაფი / ძირითადი
ტურისტული სესხი	70 – 50,000	14% – 44%	60 თვე	2% – 4%	2%	პირობითი	სწრაფი / ძირითადი
აგროსესხი	50 – 50,000	18% – 48%	60 თვე	2.5% – 4%	2%	პირობითი	სწრაფი / ძირითადი
აგრო საკრედიტო ბარათი	50 – 3,000	0% – 36%	12 თვე	0% – 5%	2%	არ მოითხოვება	სწრაფი
სამომხმარებლო სესხი	70 – 20,000	32% – 48%	30 თვე	2.5% – 4%	2%	არ შეესაბამება	სწრაფი / ძირითადი
იპოთეკური სესხი	1,000 – 50,000	23% – 48%	60 თვე	2.5% – 4%	2%	პირობითი	ძირითადი
განვადება	50 – 5,000	28% – 48%	24 თვე	3%	2%	არ შეესაბამება	სწრაფი
სალომბარდე სესხი	50 – 50,000	18% – 36%	36 თვე	0%	0%	მოითხოვება	სწრაფი

„კრისტალი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც სპეციალიზირდება მხოლოდ სერვის ცენტრიდან (ბუტიკიდან) ან ფილიალიდან სესხის გაცემაზე (არა ონლაინ სესხები). პოტენციური მომხმარებელი სესხის მისაღებად მიმართავს „კრისტალის“ ფილიალებს ან სერვის ცენტრებს ან მის პარტნიორ კომპანიებს, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ რეალური მაღაზიით ან ონლაინ მაღაზიის პლატფორმით (სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების პროვაიდერები, რომლებთანაც „კრისტალს“ წინასწარ შეთანხმებული პირობები აქვს და მათ საფუძველზე მომხმარებლებს განვადების სესხებს აძლევს, მოიხსენებიან, როგორც პარტნიორი კომპანიები).

მას შემდეგ, რაც კლიენტი განაცხადის ფორმას შეავსებს, სადაც იგი განსაზღვრავს სესხის ტიპს, თანხასა და ხანგრძლივობას, „კრისტალის“ თანამშრომელი, ძირითადად საკრედიტო ოფიცერს, შეაქვს ინფორმაცია კომპანიის ძირითად პროგრამაში „LoanKeeper“. ინფორმაციის „LoanKeeper“-ში ატვირთვის შემდეგ, პასუხისმგებელი თანამშრომელი ამოწმებს განმცხადებლის პირად ინფორმაციას დამხმარე პროგრამაში „CEI“ (Customer External Information). პროგრამაში „CEI“ გაერთიანებულია ორი ძირითადი მონაცემთა ბაზა: საკრედიტო ინფორმაცია და კრედიტორების რეესტრი. ამ მონაცემთა ბაზების წვდომის ნებართვა შეძენილია კერძო და სახელმწიფო პროვაიდერებისგან. ს.ს. „კრედიტინფო საქართველო“ არის ერთადერთი კერძო კომპანია საქართველოში, რომელიც აწვდის ფინანსურ ინსტიტუტებს ფიზიკური და იურიდიული პირების ისტორიულ საკრედიტო ინფორმაციას. კრედიტორების რეესტრს აწარმოებს აღსრულების ეროვნული ბიურო და ის წარმოადგენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე ან სხვა ორგანიზაციულ ფორმირებებზე, რომლებიც აღსრულების ქვეშ იმყოფებიან.

ამ საფეხურების გავლის შემდეგ, რაც განაცხადის შევსებას, განმცხადებლის ინფორმაციის ძირითად პროგრამაში ატვირთვასა და განმცხადებლის შემოწმებას მოიცავს „მომხმარებელთა გარე ინფორმაციაში“ (CEI), საკრედიტო ოფიცერი ამტკიცებს სესხს სქორინგის საფუძველზე, ან გადასცემს სესხის შესახებ ინფორმაციას საკრედიტო კომიტეტის წევრებს შემდგომი განხილვის მიზნით, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

თუ სესხის თანხა 3,000 ლარს არ აღემატება, საკრედიტო ოფიცერი მის დასამტკიცებლად სქორინგის სისტემას მიმართავს. სქორინგის სისტე-

მა კლიენტის გადახდისუნარიანობას აფასებს რამდენიმე კრიტერიუმის თანახმად მინიჭებული ქულების საშუალებით, რაც ჯამდება და მიიღება ერთიანი მაჩვენებელი ყოველ კონკრეტულ სასესხო განაცხადზე. სქორინგის სისტემა შეფასებისას ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს: კლიენტის ფინანსური პოზიცია, კლიენტის საიმედოობა, უზრუნველყოფის ხარისხი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კლიენტის საკრედიტო ისტორია და სოციალური მდგომარეობა. თითოეული ტიპის სესხისთვის კომპანიამ შეიმუშავა შესაბამისი ზღვარი, რომლის ზევითაც ხდება სესხის დამტკიცება.

3,000 ლარს ზემოთ, ყველა სესხი საკრედიტო კომიტეტზე მტკიცდება. საკრედიტო კომიტეტს აქვს სამი დონე:

1. I დონის საკრედიტო კომიტეტი – ამტკიცებს სესხებს 50-დან 10,000 ლარამდე;
2. II დონის საკრედიტო კომიტეტი – ამტკიცებს სესხებს 50-დან 30,000 ლარამდე (გარკვეულ შემთხვევებში, პროექტის სირთულიდან გამომდინარე, შესაძლოა 50-დან 10,000 ლარამდე სესხის II დონის საკრედიტო კომიტეტზე დამტკიცება იყოს საჭირო);
3. III დონის საკრედიტო კომიტეტი – ამტკიცებს სესხებს 30,001-დან 50,000 ლარამდე;

50 000 ლარი არის ის მაქსიმალური კუმულატიური თანხა, რაც შესაძლოა გასცეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ერთ მსესხებელზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის რეგლამენტის თანახმად (აღნიშნული მონაცემი ძალაში იყო 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით. 2018 წლის დასაწყისიდან ლიმიტი 100,000 ლარამდე გაიზარდა).

საკრედიტო კომიტეტის წევრები აგრეთვე განსხვავდებიან დონეების მიხედვით:

1. I დონე ფილიალების ან სერვისცენტრის წარმომადგენლებით არის წარმოდგენილი;
2. II დონეზე აუცილებელია რისკების შეფასების დეპარტამენტის წარმომადგენლების დასწრება;
3. III დონეზე კომიტეტის წევრი უნდა იყოს რეგიონული მენეჯერი;

სესხის დამტკიცების შემდეგ, საკრედიტო ოფიცერი ამზადებს ყველა საჭირო სამართლებრივ დოკუმენტს. თუ სესხი უზრუნველყოფილია, იურიდიული განყოფილების იურისტი ამუშავებს დოკუმენტაციას და ახდენს იპოთეკის ხელშეკრულების ავტორიზაციას. როდესაც ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია, ხოლო იპოთეკა რეგისტრირებულია, სესხი ჩაირიცხება სახელობით ანგარიშზე ტრანშებად ან მთლიანად. სახელობითი ანგარიში შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სესხის ჩასარიცხად და ფულადი სახსრების გასატანად. კლიენტის სახელით „კრისტალს“ ასევე შეუძლია სესხის თანხა გადარიცხოს კლიენტის საბანკო ანგარიშზე.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ფილიალის ქსელის დახმარებით. ფილიალი წარმოადგენს განცალკავებულ ტერიტორიულ ქვედანაყოფს, რომელიც მდებარეობს კომპანიის ადგილსამყოფელის გარეთ და ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებასა და ტერიტორიულ გაფართოვებას.

კომპანიის ფილიალები ტერიტორიულად ძირითადად დაშორებულია სათაო ოფისისგან. მათ გააჩნიათ ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, სამართლებრივად დამოკიდებული არიან სათაო ოფისზე.

კომპანია წარმოდგენილია ორი ტიპის ფილიალური ქსელით: ფილიალი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ძირითად ბიზნეს ქვედანაყოფს და ბუტიკი (სერვის ცენტრი), რომელიც წარმოადგენს უფრო მცირე ზომის ქვედანაყოფს. ძირითადი სხვაობა ამ ორ სუბიექტს შორის არის მოცულობასა და ადგილმდებარეობაში, ასევე, მათი მუშაობის კონცეფციაში.

ბუტიკები ძირითადად ფუნქციონირებს პატარა მუნიციპალურ ცენტრებში ან დიდი თემის ცენტრებში. ბუტიკებში საკრედიტო პროცესი განსხვავებულად წარიმართება, ვიდრე ფილიალში. ბუტიკის თანამშრომლის მიერ შევსებული საკრედიტო განაცხადები არ მტკიცდება ადგილობრივი მენეჯერის მიერ. განაცხადები განიხილება ცენტრალური საკრედიტო კომიტეტის მიერ ან გადაწყვეტილება მიიღება ავტომატიზირებული სისტემის მიერ (სქორინგ სისტემა). ბუტიკების მიზანია გაზარდოს ხელმისაწვდომობა ხარისხიან საფინანსო პროდუქტებზე, მსხვილი ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ რეგიონებში.

როგორც ფილიალში, ასევე ბუტიკში, დანერგილია საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტები (სესხები, გზავნილები, კომუნალური გადახდები, კონვერტაციის ოპერაციები). ამ სუბიექტების ფუნქციონირების მიზანია მომხმარებლისათვის კომპანიის პროდუქტების მიწოდება ადგილზე.

ფილიალის სტრუქტურა მოიცავს ფილიალის მმართველს, ჯგუფის უფროსს, სესხის ოფიცრებს, გაყიდვების ოფიცრებს, სალარო კვანძის თანამშრომლებსა და სამეურნეო შტატს. ადმინისტრაციულად ყველა მათგანი ფილიალის მენეჯერს ექვემდებარება, ხოლო ფილიალის მენეჯერების მუშაობას კოორდინაციას უწევს რეგიონის მენეჯერი, რომელიც, თავის მხრივ, შედის ბიზნეს მიმართულების დირექტორატში.

2017 წლის ბოლოს მდგომარეობით, ორგანიზაციაში 40 ფილიალი და 16 ბუტიკი ფუნქციონირებდა.

ფილიალებისა და ბუტიკების ქსელი მოიცავს საქართველოს 8 რეგიონსა და ქალაქ თბილისს. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად კომფორტული, მაღალი ხარისხის მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს ადგილზე, რეგიონებში.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრები იმ ბევრ მაჩვენებელს შორის, რომელთაც რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ხელმძღვანელობა[1]:

პარამეტრი	31-დეკ-16	31-დეკ-17	იხილეთ სქემა
სესხის პორტფელი	145,510	198,045	1
მთლიანი აქტივები	172,999	226,153	1
მთლიანი კაპიტალი	39,026	46,316	1
უკუგება აქტივებზე (ROA)[2]	4.24%	3.60%	4
უკუგება კაპიტალზე (ROE)[3]	18.81%	17.56%	4
Par > 30[4]	0.77%	0.73%	4
რესტრუქტურიზაცია[5]	1.51%	1.20%	4

ჩამოწერილი სესხები[6]	1.93%	1.59%	4
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი[7]	2.35%	2.65%	4
რისკის დაფარვა[8]	115.14%	152.94%	4
სასოფლო მსესხებლები	67.84%	69.53%	4
ქალი მსესხებლები	50.64%	50.85%	4
სესხის საშუალო მოცულობა	2.000	2.458	3
თანამშრომელთა რაოდენობა	731	877	2
ფილიალებისა და ბუტიკების საერთო რაოდენობა	49	56	2
მომხმარებლის შენარჩუნების კოეფიციენტი[9]	32.88%	26.97%	4
მომხმარებლის რეკომენდაციის ქულა[10]	91.10%	89.10%	4

თავისი ბაზრის წილის დასადგენად, კომპანია იმ ფინანსური ინსტიტუტების მაჩვენებლებს უყურებს, რომელთაც უშუალო კონკურენტებად მიიჩნევს, მათი სტრატეგიის, გაყიდვების მიმართულებისა და საკრედიტო თუ არასაკრედიტო პროდუქტების ბუნებიდან გამომდინარე. ასეთებია ქართულ ბაზარზე მოღვაწე 2 ბანკი და 3 მისო, რომელთა შედარებითი ანალიზიც მოცემულია 33-ე გვერდზე.

[1] შედეგები ნაჩვენებია ათასობით ლარში: ₾ 1,000
[2] ამ ცხრილის მიზნებისათვის: წმინდა მოგება პერიოდის მანძილზე / პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან აქტივებთან
[3] ამ ცხრილის მიზნებისათვის: წმინა მოგება პერიოდის მანძილზე / პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან კაპიტალთან
[4] პერიოდის ბოლოს არსებული 30-დღიანზე მეტ ვადაგადაცილებაში მყოფი სესხების მიმდინარე ნაშთი / პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან პორტფელთან
[5] პერიოდის ბოლოს მდგომარეობით სულ რესტრუქტურიზებული სესხების (მათ შორის ვადაგადაცილებაში მყოფიც) მიმდინარე ნაშთი / პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან პორტფელთან
[6] ბოლო 12 თვის მანძილზე ჩამოწერილი სესხების ჯამური თანხა / ამ 12-თვიანი პერიოდის საშუალო მთლიან პორტფელთან [საშუალო პორტფელი=(პორტფელი პერიოდის დასაწყისში+პორტფელი პერიოდის ბოლოს)/2]
[7] პერიოდის ბოლოს არსებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი / პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან პორტფელთან
[8] პერიოდის ბოლოს არსებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი / (30-დღიანზე მეტ ვადაგადაცილებაში მყოფი სესხების მიმდინარე ნაშთს+ვადაგადაუცილებელი და 30 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი რესტრუქტურიზებული სესხების მიმდინარე ნაშთი)
[9] 1-(უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობა პერიოდის დასაწყისში+პერიოდის მანძილზე მოზიდული უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა-უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობა პერიოდის ბოლოს) / უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობა პერიოდის დასაწყისში
[10] კომპანიის მომხმარებელთა რა ნაწილი უწევს „კრისტალს“ რეკომენდაციას და ურჩევს თავის ნაცნობებს. შედეგების მისაღებად, დამოუკიდებელი, სპეციალურად მოწვეული კონსულტანტები მუშაობენ, რომლებიც არ არიან „კრისტალის“ თანამშრომლები


ROA
6,00%
5,00%
4,00%
3,00%
2,00%
1,00%
0,00%
31-დეკ-16
31-დეკ-17
30-ივნ-18
Crystal
Bank1
Bank 2
MFO 1
MFO 2
MFO 3


ROE
30,00%
25,00%
20,00%
15,00%
10,00%
5,00%
0,00%
31-დეკ-16
31-დეკ-17
30-ივნ-18
Crystal
Bank1
Bank 2
MFO 1
MFO 2
MFO 3


ბაზრის წილი_პორტფელი_31-დეკ-2016
2,26%
3,19%
3,48%
16,75%
23,27%
51,05%
Crystal
Bank1
Bank 2
MFO 1
MFO 2
MFO 3


ბაზრის წილი_პორტფელი_31-დეკ- 2017
3,23%
3,41%
3,07%
19,15%
21,40%
49,74%
Crystal
Bank1
Bank 2
MFO 1
MFO 2
MFO 3

„კრისტალის“ მიზანია მოსახლეობის ფართო ფენებში ფინანსური განათლების გავრცელება, ფინანსურ სექტორში მომსახურებისა და მართვის სტანდარტების ამაღლება, სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

აქციონერთა წილობრივი ფლობის სტრუქტურა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“-ს (ს/კ 212896570) დაფუძნების პრე ისტორია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით (ფონდი „კრისტალი“) 1998 წელს საქმიანობის დაწყება. 2005 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, ფონდს მიენიჭა სპეციალური სტატუსი და რეგისტრაცია გაიარა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

საქართველოს პარლამენტის მიერ სპეციალური კანონის (მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ) მიღების შემდგომ, 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ და რეგისტრაცია გაიარა ეროვნულ ბანკში (სარეგისტრაციო ნომერი: 90907). კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი (> 1%) აქციონერები წარმოდგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აქციონერი	მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა, კლასი და დენომინაცია (კუპიურა)	% წილი სააქციო კაპიტალში
ფონდი კრისტალი	1,450,192 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ერთი (1) ლარის ღირებულების	47.52
agRIF Cooperatif	1,136,157 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ერთი (1) ლარის ღირებულების	37.23
DWM fund Cicav sif	378,719 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ერთი (1) ლარის ღირებულების	12.41

აქციონერთა სამართლებრივი სტატუსი:

„დი-დაბლიუ-ემ ფანდს ეს.სი.ეი. – სიკავ სიფ“, ლუქსემბურგის საჰერცოგოს კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებული და არსებული კომანდიტური საზოგადოება, სარეგისტრაციო კოდი: B138353 (“ინვესტორი”), რომელიც მოქმედებს “დი-დაბლიუ-ემ ინქლუზივ ექვითი ფანდ II”-ის სახელით, რომელიც დაფუძნებულია 2008 წლის 17 აპრილს;

„აგრიფ კოოპერატიეფ უ.ა.“ გამორიცხული პასუხისმგებლობის კოოპერატივი, რომელიც ინკორპორირებულია ნიდერლანდების კანონმდებლო-

ბის შესაბამისად, აქვს რეგისტრირებული ოფისი ამსტერდამში, ნიდერლანდებში და მისი ოფისის მისამართი მდებარეობს: გუსტავ მაჰლერლაანის 310 – B 1082. კომპანიის შექმნის თარიღია 2015 წლის 16 ივნისი, საქმიანობის მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო ფონდის მართვა;

ფონდი „კრისტალი“, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ორგანიზებული და არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის #29. ფონდის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებში ფინანსური განათლების გავრცელება, ფინანსურ სექტორში მომსახურებისა და მართვის სტანდარტების ამაღლება, სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, ფინანსური მომსახურების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სოციალური და სათემო განვითარების პროექტების განხორციელება.

საზოგადოების მართვა

,,საზოგადოების" მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

,,საზოგადოების" საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის წევრებიც აირჩევა აქციონერთა მიერ.

,,საზოგადოების" ყოველდღიური საქმიანობის მართვა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორის ან დირექტორების, ასევე, უფროსი ოფიცრების მიერ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორი ამავე დროს შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი უფროსი ოფიცერი.

კორპორაციული მართვა

მართვა განიხილება როგორც უფლებებისა და ვალდებულებების განაწილება კომპანიის აქციონერებს შორის. კრისტალის კორპორაციული მართვის სტრუქტურის შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ყველა დონეზე და წარმომადგენლების (დირექტორების, ოფიცრების) წახალისება იმისათვის, რომ იმოქმედონ საკუთარი საქმიანობისა და აქციონერების მიზნების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძლიერი და დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის სტრუქტურების ჩამოყალიბებას, ასევე, შედეგიდან მიღებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის დადგენას და ლოკალიზებას.

საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, მართვის სტრუქტურა შედგება შემდეგი ორგანოებისგან, რომლებსაც საკუთარი ამოცანები და ფუნქციები გააჩნია:

- **აქციონერთა საერთო კრება** – ბანკის მართვის უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება;
- **სამეთვალყურეო საბჭო** – ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება;
- **დირექტორთა საბჭო** – ბანკის ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი;
- **აუდიტის კომიტეტი** – ბანკის აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტსა და გარე აუდიტორებს.
- **აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი** – ზედამხედველობა გაუწიოს კრისტალის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს, რაც მოიცავს შემდეგს: ბალანსისა და მოგება-ზარალის უწყისის მონიტორინგი, ფულადი ნაკადების ბრუნვისა და ლიკვიდურობის დაგეგმარება, დაფინანსების წყაროები, საპროცენტო განაკვეთებს შორის შეუთავსებლობა (გეპი), საპროცენტო, სავალუტო, კაპიტალის ადეკვატურობის და ლიკვიდურობის რისკის ანალიზი და მართვა;
- **რისკების კომიტეტი** – კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული საკრედიტო და საოპერაციო რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების გაწევა იმ სისტემებზე და პროცესებზე, რომლებიც უნდა იქნას ინტეგრირებული ან გაუმჯობესებული რისკების მართვისა და შემცირების მიზნით;
- **სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტი** – კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს კრისტალის მიერ სტრატეგიის განხორციელება; კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინოს საქმიანობის სტრატეგიულ გაანალიზებასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- **ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციების კომიტეტი** – კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს კოორდინაცია და იყოს რეკომენდაციების წყარო სამეთვალყურეო საბჭოსთვის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემდეგ საკითხებზე:
  - ორგანიზაციული სტრუქტურა;
  - მენეჯმენტის შესრულებული სამუშაოს შეფასება და კომპენსაცია;
  - მოტივაცია და პროდუქტიულობა;
  - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების შეფასება;
  - სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების წარდგენა.

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა

- აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, ,,საზოგადოების" წლიური ბალანსის შედგენისა და აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან 2 თვის ვადაში და არა უგვიანეს წინა სამეურნეო წლის დასრულებიდან 6 თვისა. ,,საზოგადოების" რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის მიერ, ან იმ აქციონერ(ებ)ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც/რომელთაც ეკუთვნის/ეკუთვნით ,,საზოგადოების" აქციების საერთო რაოდენობის სულ მცირე 5%;
- თუკი სხვაგვარად არაა გათვალისწინებული აქციონერთა შეთანხმებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ აქციონერი, რომელსაც ეკუთვნის ხმების უფლების მქონე აქციათა 75%-ზე მეტი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების გადაწყვეტილების ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში, დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ,,საზოგადოების" ხმის უფლების მქონე აქციათა 75%-ზე მეტი ეკუთვნის ერთზე მეტ აქციონერს, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა;
- შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ, მისი ჩატარების დროის, ადგილის და დღის წესრიგის მითითებით, უნდა გამოქვეყნდეს სულ მცირე 20 დღით ადრე კრების თარიღამდე. აქციონერს, რომელსაც ეკუთვნის ჩვეულებრივ აქციათა სულ მცირე 1%, უნდა ეცნობოს საერთო კრების შესახებ დაზღვეული წერილით. შეტყობინება უნდა შეიცავდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ პირობებს;
- თუკი სხვაგვარად არაა გათვალისწინებული აქციონერთა შეთანხმებით, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია აქციონერთა ის რაოდენობა, რომელთაც ეკუთვნით ხმის უფლების მქონე კაპიტალის სულ მცირე ნახევარი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წესდებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მოიწვევა ახალი კრება, იგივე დღის წესრიგით. თუკი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული აქციონერთა შეთანხმებით, ახალი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია აქციონერთა ის რაოდენობა, რომელთაც ეკუთვნით ხმის უფლების მქონე კაპიტალის სულ მცირე 25%. თუ კრება კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წესდებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მოიწვევა ახალი კრება, იგივე დღის წესრიგით. თუკი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული აქციონერთა შეთანხმებით, აღნიშნული კრება გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი აქციონერების კუთვნილი ხმის უფლების მქონე აქციათა რაოდენობის მიუხედავად.

წარმომადგენლობა აქციონერთა კრებაზე

- აქციონერი უფლებამოსილია მოახდინოს მისი უფლებების დელეგირება სხვა აქციონერზე, ან მესამე პირზე, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე;
- აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე სხვა წევრი, ხოლო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნისას – დირექტორი. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს კრების მდივანი და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. ოქმი სანოტარო წესით მოწმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცალსახად გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით ან კრებაზე დამსწრე ან წარმოდგენილი აქციონერები ამგვარად გადაწყვეტენ. ოქმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა აქციონერისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის.

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება

აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

- ,,საზოგადოების“ წესდების შეცვლა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გადაწყვეტილებებს და წესდებაში ცვლილების შეტანას ,,საზოგადოების“ კაპიტალის გაზრდასთან ან შემცირებასთან, საქმიანობის საგნის შეცვლასთან, ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, დირექტორთა ან უფროს ოფიცერთა რაოდენობასთან, ან აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით (მესაკუთრეთა ხმების 2/3);
- გადაწყვეტილების მიიღება ,,საზოგადოების“ რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ (მესაკუთრეთა ხმების 50%-ზე მეტი);
- კაპიტალის გაზრდის დროს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება (მესაკუთრეთა ხმების 3/4);
- მოგების გამოყენების შესახებ წინადადების მიღება ან უარყოფა, ან, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ (მესაკუთრეთა ხმების 3/4);
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა, მათი ანაზღაურების და დამატებითი სარგებლის საკითხის გადაწყვეტა და მათთან ხელშეკრულების დადება და შეყვეტა (მესაკუთრეთა ხმების 2/3);
- დირექტორის, უფროსი ოფიცრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება (მესაკუთრეთა ხმების 50%-ზე მეტი);
- აუდიტორის არჩევა (მესაკუთრეთა ხმების 50%-ზე მეტი);
- გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, დირექტორისა და სხვა დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილების შესახებ, ასევე, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით (მესაკუთრეთა ხმების 50%-ზე მეტი);
- გადაწყვეტილებების მიღება ,,საზოგადოების“ ნებისმიერი ისეთი ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის ან სხვაგვარად განკარგვის თუ დატვირთვის შესახებ, ან ისეთი ვალდებულებების აღების ან უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა ღირებულება, თითოეული ან ურთიერთდაკავშირებული გარიგებებისას შეადგენს ,,საზოგადოების“ მთლიანი აქტივების ღირებულების 25%-ზე მეტს (მესაკუთრეთა ხმების 50%-ზე მეტი);

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან და თავისუფლდებიან აქციონერების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება წინამდებარე წესდების, აქციონერთა შეთანხმების, ასეთის არსებობის შემთხვევაში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერთა შეთანხმებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრულ კონკრეტულ აქციონერ(ებ)ს უფლება აქვს/აქვთ სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს/ჰყავდეთ სულ მცირე 1 წარმომადგენელი.

აქციონერთა შეთანხმებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრულ კონკრეტულ აქციონერ(ებ)ს აქვს/აქვთ უფლება დანიშნონ ალტერნატიული წევრი და/ან დამოუკიდებელი წევრი და/ან სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი წევრის ჩამანაცვლებელი წევრი. ალტერნატიული წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების, წინამდებარე წესდების და აქციონერთა შეთანხმების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 5 წლის ვადით, რომელთა უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, შემდგომ საერთო კრებამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ნებისმიერ დროს შეიძლება ნებაყოფლობით დატოვოს თანამდებობა, ან გაწვეულ იქნას აქციონერთა მიერ. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში არ მოხდა ახალი წევრის არჩევა, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს ახალი წევრი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განცხადების საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, ადგენს დღის წესრიგს და უძღვება სხდომებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს ,,საზოგადოების" დირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი თანამდებობის წევრი ,,საზოგადოებაში".

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ოთხჯერ ან მეტჯერ, დასწრება შესაძლებელია პირადად, ტელეფონით და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილობით, სავარაუდო დღის წესრიგთან ერთად, სულ მცირე 8 დღით ადრე სხდომის თარიღამდე.

სხდომების მოწვევაზე შეტყობინების ვადის შემცირება შესაძლებელია საბჭოს ყველა წევრის თანხმობის შემთხვევაში. გადაწყვეტილება შეტყობინების ვადის შემცირებაზე ფორმირდება წერილობით.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია 1 ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი მონაწილეობს საბჭოს სხდომებში ხმის უფლებით აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ დანიშნული იმ ძირითადი წევრის არ ყოფნის შემთხვევაში, რომლის ჩასანაცვლებლადაც მოხდა ალტერნატიული წევრის დანიშვნა და ხმის უფლების გარეშე ესწრება და აკვირდება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, რომლებშიც მონაწილეობს აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ დანიშნული ის ძირითადი წევრი, რომლის ჩასანაცვლებლადაც მოხდა ალტერნატიული წევრის დანიშვნა. საბჭოს ალტერნატი-

ული წევრის ამგვარად დარეგისტრირება უნდა მოხდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ სხვა წევრების მიერ. ამასთან, 1 წევრი შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ 1 წევრს. წევრებს (საკუთარი თუ წარმოდგენილი წევრის სახელით) შეუძლიათ დაესწრონ სხდომებს ფიზიკური ან პირდაპირი ელექტრონული საშუალებით დასწრების გზით.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, ახალი სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნეს 8 დღის ვადაში. ახალი სხდომა უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებების მისაღებად თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ მას შეუწყდება უფლებამოსილება და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე) მოიწვევს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია მოიცავს შემდეგს:

- დირექტორისა და უფროსი ოფიცრების საქმიანობის კონტროლი;
- დირექტორისაგან და უფროსი ოფიცრებისგან ,,საზოგადოების" საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა;
- ,,საზოგადოების" ფინანსური დოკუმენტაციის და მისი ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, ,,საზოგადოების" სალაროს და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება, როგორც უშუალოდ საბჭოს მიერ, ისე მისი დავალებით ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;
- აქციონერთა საერთო კრებების მოწვევა, თუ აღნიშნულს მოითხოვს ,,საზოგადოების" ინტერესები;
- წლიური ანგარიშებისა და მოგების განაწილების წინადადების შემოწმება და აქციონერებისადმი წარდგენა დასამტკიცებლად;
- გადაწყვეტილების მიღება აქციათა გამოსყიდვის თაობაზე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და პირობებით;
- ,,საზოგადოების" დირექტორის, უფროსი ოფიცრების და შიდა აუდიტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მათთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა;
- დირექტორის, უფროსი ოფიცრების, შიდა აუდიტორისა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ანაზღაურების და დამატებითი სარგებლის ოდენობისა და პირობების განსაზღვრა, მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მათი მონაწილეობის განსაზღვრა, საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა, ასევე, დასაქმებულთა აქციათა ოფციის გეგმების შემუშავება და მისი წარდგენა აქციონერებისადმი დასამტკიცებლად;
- ,,საზოგადოების" მიერ აქციონერებზე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე, დირექტორსა და უფროს ოფიცრებზე, სხვა ხელმძღვანელ მუშაკებსა და სხვა დასაქმებულებზე (ერთობლივად ,,დაკავშირებული პირები") საგანმანათლებლო მიზნებით, საცხოვრებელი ან ტრანსპორტირების პირობების გასაუმჯობესებლად სასესხო გეგმების დამტკიცება.

ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე:

არჩილ ბაკურაძე – თავმჯდომარე 09.08.2017 წლიდან

არჩილ ბაკურაძე ჩართულია „კრისტალის“ მართვასა და ხელმძღვანელობაში მისი დაარსებიდან 1998 წელს. იგი მობილური ფინანსური კომპანიის სს Mobile Finance Eurasia-ს დამაარსებელია. როგორც სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მისი ვალდებულების ნაწილი, არჩილს უკავია არა სააღსრულებო თანამდებობები საქართველოს პარლამენტის ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრში, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრში „აფხაზეთი“ და ქეთევან დედოფლის ფონდში. მისი წვლილისთვის იძულებით გადაადგილებული ადამიანების ცხოვრებაში, 2003 წელს მიიღო საერთაშორისო ჯილდო ჰოლანდიის ლტოლვილთა ფონდისგან (Stichting Vluchteling). არჩილ ბაკურაძეს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი – ლანკასტერის უნივერსიტეტში. ის წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის ოფისის (ჩევენინგის) და ჯონ სმიტის მემორიალური ფონდის სტიპენდიანტს.

ნიკოლოზ ლოლაძე – თავმჯდომარის მოადგილე 09.08.2017 წლიდან

ნიკოლოზ ლოლაძე წარმოადგენს სოციალურ მეწარმეს და კონსულტანტს განვითარების სფეროში და აქვს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება. ბ-ნი ლოლაძე არის მთელი რიგი მსხვილი ბიზნესების და არამომგებიანი ორგანიზაციების დამაარსებელი და საბჭოების წევრი საქართველოში. როგორც ექსპერტი მართვის საკითხებში, ნიკოლოზ ლოლაძე წარმოადგენს სხვადასხვა ბიზნესის და არამომგებიანი ორგანიზაციის მრჩეველს და საბჭოების წევრს, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟის, სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალი“, სს Mobile Finance Eurasia, გაერთიანებული სამეფო-საქართველოს პროფესიული ქსელი, შპს Anchor Consulting და

ა.შ. ბოლო წლებში იგი აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში და მთავრობის შესაძლებლობათა მშენებლობის ინიციატივებში, რაც ფოკუსირებულია უკეთეს, უფრო გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ სახელმწიფო ფინანსურ მართვაზე საქართველოში. ნიკოლოზ ლოლაძე ასევე ხშირად მუშაობს როგორც ბიზნესის განვითარების კონსულტანტი (კორპორაციული მართვა, ბიზნესის დაგეგმვა, ფინანსური მოდელირება, ბაზრის კვლევა) სხვადასხვა კომერციულ საწარმოებთან. მას დამთავრებული აქვს მაგისტრატურა მართვის (უორვიქი, გაერთიანებული სამეფო) და ფიზიკის (თბილისი, საქართველო) მიმართულებით. გარდა ამისა, მიღებული აქვს სერტიფიკატები პროექტის მართვაში, პოლიტიკის ანალიზსა და სახელმწიფო მართვაში.

იან დევინგაერტი – წევრი
20.01.2016 წლიდან

იან დევინგაერტი 2015 წლიდან არის Incofin IM კერძო ინვესტიციათა ფონდის დირექტორი. წინა წლებში იყო Gimy-ს (2012-2015) პარტნიორი; Eagle Venture Partner-ის (2001-20015 წწ.) მმართველი დირექტორი, ანალიტიკოსი, ინვესტიციათა მმართველი, ინვესტიციათა უფროსი მმართველი, ინვესტიციათა უფროსი აღმასრულებელი მმართველი და დირექტორი Gimy-ში (1989-2011 წწ.); KBC Bank-ის მრჩეველი (1983-1989 წწ.). ბ-ნ დევინგაერტს მშენებელი ინჟინრის (1977-1982 წწ.) სპეციალობა და განათლება სამეწარმოო პოლიტიკაში (1983 წ.) მიღებული აქვს ლეუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტში, ხოლო კორპორაციულ საფინანსო სტრატეგიაში – საფრანგეთში (1995 წ).

ალეემ რემტულა – წევრი
30.03.2015 წლიდან

ალეემ რემტულა „კრისტალის“ საბჭოს წევრია DWM-ის მიერ 2011 წელს წილობრივი ინვესტიციის განხორციელების შემდეგ და კომპანიის სტრატეგიულ კომიტეტს უძღვება. ბ-ნი რემტულას კარიერა საბანკო ინვესტირების სფეროში JPMorgan-ში დაიწყო და მას მიზნობრივი სოციალური ინვესტირების 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს სოციალურად პასუხისმგებელი, ორმაგი და სამმაგი პოზიტიური სოციალური

გავლენის მქონე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით და კერძო საინვესტიციო ფონდებში აშშ-სა და ევროპაში. ალეემ რემტულა არის DWM-ს კერძო ინვესტიციათა იმ გუნდის დირექტორი, რომელიც მოიცავს ცენტრალურ და სამხრეთ აზიასა და კავკასიას. მას ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი პრინსტონის უნივერსიტეტში.

კეით იანგი – წევრი 09.08.2017 წლიდან

კეით იანგი არის ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი. მას დიდი გამოცდილება აქვს ინტერნეტის, კომუნიკაციის და გამომცემლობის სფეროებში. კეით იანგი წარმოადგენს ღია ტიპის სააქციო საზოგადოების „NetBenefit“-ის, იგივე სახელწოდების მქონე ინტერნეტ-დომენის და მომსახურების პროვადიერის, თანადამაარსებელსა და მისი თავმჯდომარის მოადგილეს.

კეით იანგს ხარსხი ეკონომიკაში მიღებული აქვს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. ის დიდი ხნის განმავლობაში დახმარებას უწევს და ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოს ფინანსური და ტექნოლოგიური სექტორის კომპანიებში.

სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა

შიდა აუდიტის კომიტეტი მართავს შიდა აუდიტის საქმიანობას, რომელიც მოწოდებულია შექმნას დამატებითი ღირებულება და გააუმჯობესოს საორგანიზაციო პროცესები დამოუკიდებელი, ობიექტური მოსაზრებებისა და საკონსულტაციო აქტივობების საშუალებით. შიდა აუდიტის მიზანია უზრუნველყოს:

- კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა არსებულ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და მესამე მხარეებთან დადებულ შეთანხმებებთან;
- კონტროლის მექანიზმებისა და კორპორატიული მართვის პროცესების ეფექტიანი და ქმედითი ფუნქციონირება;
- ბიზნეს ოპერაციების შესაბამისობა არსებულ შიდა რეგულაციებთან;
- საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების ნამდვილობა და სიზუსტე;
- კომპანიის ინტელექტუალური და ფიზიკური აქტივების სწორი და ეფექტური გამოყენება;
- თაღლითობის შესაძლებლობის შეფასება კომპანიის შიგნით და გარეთ;
- კომპანიის შიდა და გარე რისკების სწრაფი დადგენა და მართვა. ეს საქმიანობა ხორციელდება რისკების მართვის დეპარტამენტთან და რისკების კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

აღნიშნული მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

1) სწავლობს ყველა დოკუმენტს ორგანიზაციულ საქმიანობასთან, პროცედურებთან, პროცესებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით (წესდება, შეთანხმებები მესამე მხარეებთან, ყველა დეპარტამენტის პოლიტიკა და პროცედურები, შიდა მარეგულირებელი ორგანოს ოქმები და ბრძანებები და ა.შ.);

2) ახორციელებს დაგეგმილ, სიტუაციურ და სპეციალურ ინსპექტირებას. ინსპექტირება ხორციელდება დეპარტამენტების დონეზე, აგრეთვე, ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, მიმდინარე პროცესებში და კონტროლის მექანიზმების ადგილობრივად გამოყენებაში საფუძვლიანად გასარკვევად. დაგეგმილი ინსპექტირება ხორციელდება ყოველთვიურად, ხოლო სიტუაციური შემოწმებები ტარდება შემთხვევით და მოულოდნელად, ან საფუძვლიანი ეჭვის საფუძვლებზე, გაზრდილი რისკის ან თაღლითობის დონის ამაღლების გამო. სპეციალური დანიშნულების ინსპექტირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის მოთხოვნით და შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ბიზნეს ერთეულის დონეზე;

3) გამოკითხვები;

4) ინტერვიუები თანამშრომლებთან და კლიენტებთან;

შიდა აუდიტი აკონტროლებს ყველა სახის ბიზნეს ოპერაციებს აუდიტის გარკვეული განყოფილებების საშუალებით:

- **საკრედიტო აუდიტი** მიზნად ისახავს გაცემული სესხებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმებას. ინსპექტირების პროცესი ითვალისწინებს სესხების რეესტრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის შეგროვებას, კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფიდან (Loan Keeper) ინფორმაციის მოპოვებას და ინტერვიუებს საკრედიტო კომიტეტის წევრებთან. ამ მონაცემების ანალიზისას, საკრედიტო აუდიტის წევრები აფასებენ სათანადო პროცედურებთან შესაბამისობას, გამოავლენენ თაღლითობის შემთხვევებს, განსაზღვრავენ მიმდინარე პროცედურების ეფექტიანობას და დასკვნა გამოაქვთ ზოგადად სამუშაოს შესრულების ხარისხზე;
- **შესყიდვების აუდიტი** აფასებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ეფექტიანობას და შესაბამისობას ბიუჯეტთან.
- **სალაროს აუდიტი** აანალიზებს სალაროს ფულად ოპერაციებთან და უსაფრთხოების სტანდარტებთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას.
- **მსს, ანუ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის** აუდიტის მიზანია გამოავლინოს ნებისმიერი განსხვავება ონლაინ რეჟიმში

(Loan Keeper) არსებულ და ნაბეჭდ ინფორმაციას შორის. ასევე, მიზნად ისახავს ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტიანობის დონის შემოწმებას და ინფორმაციული სისტემის ეფექტიანი მუშაობის შეფასებას.

- **ადმინისტრაციული აუდიტი** მონიტორინგს უწევს სხვადასხვა დეპარტამენტის და პერსონალის ფუნქციურ პარალელიზმს და გამოავლენს არსებულ ფუნქციურ ხარვეზებს. იგი ასევე მიზნად ისახავს ბიზნეს ოპერაციების ზედმეტი ბიუროკრატიულობის აღმოფხვრას. გარდა ამისა, ადმინისტრაციული აუდიტი მონიტორინგს უწევს: 1) სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის მიწოდებას და ხარისხს; 2) ფილიალების და სერვის ცენტრების აღჭურვას ყველა საჭირო საშუალებით; 3) ონლაინ და ნაბეჭდ ინფორმაციაზე წვდომის, ინფორმაციის მოპოვების და შენახვის პოლიტიკის და წესის დაცვას.
- **თაღლითობის აკრძალვის** განყოფილება იკვლევს: 1) თანამშრომელთა შორის პროფესიულ ურთიერთობებს და გამოავლენს ნებისმიერ არსებულ ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს; 2) კომპანიის პარტნიორებს და მესამე მხარეებს და განსაზღვრავს ასეთი ბიზნეს ურთიერთობების სავარაუდო რისკებს. განყოფილება კვარტალურად ამზადებს შიდა აუდიტის ანგარიშში ამ თემასთან მიძღვნილ სპეციალურ ქვეთავს.

შიდა აუდიტის ღონისძიებები დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე და მომავალი ფისკალური წლისთვის. მათ ამტკიცებს შიდა აუდიტის კომიტეტი. დაგეგმილი საქმიანობა უნდა მოიცავდეს შემოწმების პროცედურებს დეპარტამენტების, ფილიალებისა და სერვის ცენტრების დონეზე. თითოეული ინსპექტირების საქმიანობის დაწყებამდე, აუდიტის განყოფილება შეიმუშავებს მოკლე გეგმას, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელი და მონიტორინგის განმახორციელებელი მხარეების ინსტრუმენტს.

ადამიანური რესურსების მართვისა და ანაზღაურების კომიტეტი ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და მისი განხორციელების ზედამხედველობას. ასევე, განსაზღვრავს და ამტკიცებს ტოპ მენეჯმენტის ანაზღაურების სქემას. კომიტეტი იმართება კვარტალში ერთხელ.

სტრატეგიებისა და ინოვაციების კომიტეტი აკონტროლებს კომპანიის ზოგადი სტრატეგიის განხორციელებას, თვალს ადევნებს წლიური საკვანძო მოვლენების განხორციელებას. ასევე, ევალება სტრატეგიული ინიციატივების და სტრატეგიული პროექტების შემუშავება.

რისკის კომიტეტი არის კომპანიის საკონსულტაციო ორგანო. იგი არ იღებს დადგენილებებს, მაგრამ განიხილავს და განსაზღვრავს შიდა და გარე რისკებს, ასევე რეკომენდაციებს იძლევა იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც კომპანიამ უნდა მიიღოს ამ რისკების სამართავად და შესამცირებლად. კომიტეტი იმართება კვარტალში ერთხელ.

სოციალური კომიტეტი თვალს ადევნებს კომპანიის სოციალურ და გარემო დაცვასთან დაკავშირებულ თემებს. იგი რეკომენდაციას აძლევს კომპანიას სოციალური პასუხიმსგებლობის პოლიტიკის თაობაზე, ასევე, შეიმუშავებს სოციალურ და გარემო დაცვასთან დაკავშრებული მიზნების განხორციელების გეგმებს და შემდგომ უწევს მათ მონიტორინგს.

აქტივების და ვალდებულებების (ALCO) კომიტეტი არის კომპანიის სამეთვალყურეო ჯგუფი, რომელსაც ევალება კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების მართვა, და რომლის ძირითადი მიზანია ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა და არსებული ინტერვალის („სპრედის“) მართვა. აქტივების და ვალდებულებების კომიტეტის სხდომები ყოველკვარტალურად ტარდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად, ხოლო მმართველი გუნდის დონეზე კომიტეტის სხდომები ტარდება ყოველკვირეულად.

ზოგადი ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ

- 2017 წლის მანძილზე სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 4 უშუალო და 7 ვირტუალური შეხვედრა. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა 4-ჯერ, გარდა ALCO კომიტეტისა, რომლის შეხვედრაც 12-ჯერ შედგა. ამასთან, მმართველმა გუნდმა წლის მანძილზე გამართა 56 სხდომა და მიიღო 333 გადაწყვეტილება;
- სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის ძირითადი შესრულების მაჩვენებლების შესახებ, ფინანსური შედეგების ანგარიშის ჩათვლით. სამეთვალყურეო საბჭო ეცნობა და განიხილავს კვარტალურ რისკების ანგარიშს. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ისმენენ დეტალურ ანგარიშებს (პრეზენტაციებთან ერთად) და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს;
- სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს კომპანიის ეფექტური მართვა და ზედამხედველობა. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, დირექტორატის დონეზე არსებულ პოლიტიკებს, ფართო-მასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, სამოქმედო გეგმის შეთავაზებებს აქციონერებისთვის, როგორიცაა დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წახალისებელი გეგმის ფარგლებში, საბჭოს შემადგენლობა, ა.შ.;
- კომპანიის ზრდასა და მნიშვნელოვანი ახალი ინვესტორების შეძენის შედეგად, როგორც კაპიტალის, ასევე ვალდებულების მხრივ, „კრისტალის“ ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო ისურვებდა უფრო ინტენსიურად ერთვებოდეს პროცესებში და მუდმივ დიალოგს ინარჩუნებდეს როგორც კომპანიის აქციონერებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის აღმასრულებელი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ბაზრის კვლევის შედეგად. ბოლო ანაზღაურება განხორციელდა 2017 წლის ზაფხულში. მხედველობაში მიღებულ იქნა კომპანიის სიდიდე, ბალანსი ხელფასის ნომინალურ რაოდენობასა და პრემიას შორის, აღმასრულებელი შრომის ანაზღაურება საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ზომით პატარა ბანკებში;
- სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა ხორციელდება კორპორაციული მდივნის მხარდაჭერით. აღმასრულებელ თავმჯდომარეს კი ჰყავს აღმასრულებელი ასისტენტი. აღმასრულებელი თავმჯდომარე ნიშნავს უფროს ეკონომისტსა და პროექტების ხელმძღვანელებს / კონსულტანტებს, რომლებიც მრჩევლის ფუნქციას ასრულებენ კომპანიისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე.

მმართველი გუნდი, უფროსი ოფიცრები, დირექტორი

,,საზოგადოების“ ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი ან დირექტორები და უფროსი ოფიცრები.

,,საზოგადოებას“ შესაძლებელია ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული რამდენიმე უფროსი ოფიცერი, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, უფროსი ფინანსური ოფიცერი, ბიზნესის უფროსი ოფიცერი, ინოვაციების უფროსი ოფიცერი, უფროსი საინფორმაციო ოფიცერი და ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების უფროსი ოფიცერი, რომელთა შორის კომპეტენციისა და სამოქმედო სფეროს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. უფროსი ოფიცრები, მათი კომპეტენციისა და სამოქმედო სფეროს ფარგლებში, ხელმძღვანელობენ თავიანთ დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს. ისინი პასუხისმგებელნი არიან მათ გამართულ ფუნქციონირებაზე და ,,საზოგადოების” სტრატეგიის შესამაბისად განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი გადაწყვეტილებით ქმნის ხელმძღვანელ ორგანოს, მმართველ გუნდს. მმართველი გუნდის წევრები არიან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორი (ამავდროულად უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი) და უფროსი ოფიცრები. მმართველი გუნდის დებულებას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. დებულება განსაზღვრავს მმართველი გუნდის სტრუქტურას, კომპეტენციის სფეროებს და მუშაობის რეგლამენტს.

დირექტორი და უფროსი ოფიცრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორები (აქციონერები), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრები.

დირექტორი (უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი)

- წესდებით დადგენილ ფარგლებში, ერთპიროვნულად ხელმღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ,,საზოგადოებას” როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ, ,,საზოგადოების” სახელით დებს გარიგებებს, განკარგავს ,,საზოგადოების” სახსრებსა და ქონებას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების კომპეტენციათა სფეროების მიხედვით დელეგირებისთვის გასცემს მინდობილობებს;
- სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ,,საზოგადოების“ თანამშრომლებს, გარდა უფროსი ოფიცრებისა და ,,საზოგადოების” შიდა აუდიტორისა;
- ვალდებულია, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და აქციონერთა შეთახმების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას, რომელიც გაიცემა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით;

მმართველი გუნდი

- უზრუნველყოფს აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
- ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და ,,საზოგადოების“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

- ადგენს ,,საზოგადოების“ წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად;
- პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშებისა და საკონტროლო სისტემების შემუშავებაზე;
- ვალდებულია ,,საზოგადოების“ საქმეები წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების, აქციონერთა შეთანხმების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით აუკრძალავ ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რაც წინამდებარე წესდების, აქციონერთა შეთანხმების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შედის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა კომპეტენციაში.
- დირექტორი და მმართველი გუნდის წევრები მათი მოვალეობის შეუსრულობლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მათ ეკრძალებათ მონაწილეობა იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის მიმართაც პირადი ინტერესი აქვთ.

ინფორმაცია **დირექტორთა საბჭოს** წევრების შესახებ

დავით ბენდელიანი – უფროსი ფინანსური ოფიცერი (2012 წლიდან დღემდე)

დავით ბენდელიანს 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდი „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთში.

კახა გაბესკირია – უფროსი ბიზნეს ოფიცერი (2012 წლიდან დღემდე)

კახა გაბესკირია „კრისტალს“ 2009 წელს შემოუერთდა. მას შემდეგ იგი კომპანიის საოპერაციო დირექტორია. 2001-დან 2009 წლამდე კახა გაბესკირია მუშაობდა სხვადასხვა საშუალო და უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობებზე სს „პროკრედიტ ბანკი საქართველოს“ ფოთისა და ზუგდიდის ფილიალებში. 2000-დან 2001 წლამდე იყო სესხის ოფიცერი საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთში.

მანუჩარ ჩიტაიშვილი – ინოვაციების უფროსი ოფიცერი (2013 წლიდან დღემდე)

მანუჩარ ჩიტაიშვილი „კრისტალს“ 2006 წელს შემოუერთდა შიდა აუდიტის თანამდებობაზე, ხოლო დირექტორად ინოვაციების დარგში 2014 წელს დაინიშნა. მანუჩარ ჩიტაიშვილი 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში, ხოლო 2005 წელს გახლდათ ქუთაისის თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი.

მალხაზ ძაძუა – დირექტორი, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი (2007 წლიდან 2018 წლის 11 იანვრამდე)

მალხაზ ძაძუა 2007 წლიდან 2017 წლის დეკემბრის ბოლომდე იყო სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. მანამდე მუშაობდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთში (1999-2004) შემოსავლის გენერირების პროგრამის კოორდინატორად. მალხაზ ძაძუას 1995 წლიდან 1999 წლის ჩათვლით საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ აფხაზეთში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: მოხალისე-სტაჟიორი (1995-1997); ტრენერი-კონსულტანტი (1997-1998); სესხების ოფიცერი (1998-1999); ფილიალის მენეჯერი (1999).

მმართველობითი ორგანოს (მმართველი გუნდის)

მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის

პოლიტიკის მიმოხილვა

მმართველ გუნდთან არსებული საბჭოს მიზანი

მმართველობითი ორგანოს საბჭო წარმოადგენს მმართველი გუნდის ინსტრუმენტს და მისი მიზანია უზრუნველყოს მმართველი გუნდის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დივერსიფიკაცია და დეცენტრალიზაცია.

საბჭოს მიზანია მიაწოდოს მმართველ გუნდს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ექსპერტული შეფასება და მოამზადოს შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა შესაბამისი მხარის ინტერესების გათვალისწინებითა და ჩართულობით.

მმართველი გუნდის დაქვემდებარებაში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულების საბჭოები:

- ტექნიკური დახმარებების კოორდინაციის საბჭო;
- ადამიანური რესურსებისა და ტალანტების მართვის საბჭო;
- ბიზნეს პროცესების არქიტექტურის საბჭო;
- გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხთა საბჭო;
- პროექტების მართვის საბჭო;
- რისკებისა და აუდიტის საბჭო;
- ბიზნესისა და პროდუქტების განვითარების საბჭო;
- მარკეტინგის საბჭო;
- მონაცემთა მმართველობის საბჭო;
- კრიზისების მართვის საბჭო;
- აქტივებისა და ვალდებულებების მართვის (ALM) საბჭო;
- სტრატეგიული განვითარებისა და ცვლილებების მართვის საბჭო;
- რეგულაციების საბჭო;
- ფინანსური ზედამხედველობის საბჭო.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა

თითოეულ ინვესტორს უფლება აქვს მიჰყიდოს დროის განსაზღვრულ მომენტში მისი კუთვნილი ინვესტორის აქციები (I) მესამე პირს, რომელიც აკმაყოფილებს აქციონერთა შეთანხმების მე-4 მუხლით (დეტალური განმარტება შემდგომ აბზაცში) განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმს, არსებული აქციონერებისათვის საზოგადოების წესდებით მინიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლების გათვალისწინებით; (II) ნებისმიერ არსებულ აქციონერს; ან (III) საფონდო ბირჟაზე განთავსებასთან დაკავშირებით, აქციონერთა შეთანხმების 10.2 მუხლის შესაბამისად საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების საფუძველზე. ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, აღინიშნება, რომ არსებული აქციონერების მიერ საზოგადოების წესდებით მინიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობისათვის სავალდებულოა, რომ (ა) უფლებით მოსარგებლე ნებისმიერმა არსებულმა აქციონერმა გადაიხადოს შესყიდვის ის ფასი, რის გადასახდელადაც მზადაა მესამე პირი ინვესტორის კუთვნილი აქციების შესასყიდად, და (ბ) არსებულმა აქციონერებმა ერთობლივად შეისყიდონ ინვესტორის მიერ გასაყიდად შეთავაზებული ყველა აქცია.

შემოთავაზებული შემძენი არ უნდა უქმნიდეს რისკს საზოგადოების ან აქციონერების რეპუტაციას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ:

- თაღლითობის, კორუფციული ქმედების, არალეგალური შემოსავლების ლეგალიზების, ან სხვა არამართლზომიერი საქმიანობის გამო ნასამართლეობის შედეგად; ან
- მსოფლიო ბანკის შესყიდვების სიაში შეტანის აკრძალვის შედეგად; ან
- გაერთიანებული ერების სანქცირებულ ან ტერორისტთა რომელიმე სიაში შეტანის შედეგად.
- იმ შემთხვევაში, თუ გადაცემამდე ერთი ან მეთი აქციონერი წარუდგენს ნებისმიერი შემოთავაზებული შემძენისადმი გადაცემის მსურველ აქციონერ(ებ)ს დამოუკიდებლად მოძიებულ სათანადო წერილობით მტკიცებულებას იმისა, რომ შემოთავაზებული შემძენი არ აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმებს და თუ ამგვარი მტკიცებულება გონივრულად მიღებული იქნება გადაცემის მსურველი აქციონერ(ებ)ის მიერ, მაშინ მიიჩნევა, რომ შემოთავაზებულმა შემძენმა ვერ დააკმაყოფილა შესაფერისობის კრიტერიუმი და დაუშვებელი იქნება მისთვის საზოგადოების რაიმე აქციების გადაცემა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საბუღალტრო პროგრამა, რომლიდანაც გენერირდება ფინანსური შედეგები არის "LoanKeeper". პროგრამა მოიცავს როგორც საბუღალტრო, ასევე საოპერაციო მოდულს, რაც ნიშნავს იმას, რომ მასზე წვდომა აქვთ ფრონტ ოფისის წარმომადგენლებს (საკრედიტო ოფიცრები, მოლარეები, ა.შ.), რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ოპერაციებს მომხმარებლებთან და რომელთაც აქვთ ამ ოპერაციების სისტემურად ასახვის ვალდებულება, ისევე, როგორც ბექ ოფისის წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ ფინანსურ და სხვადასხვა დანიშნულების ანგარიშგებას (ბუღალტერია, ანგარიშგება), აანალიზებენ ფინანსურ შედეგებს და ბიუჯეტირებული გეგმის შესრულების პროგრესს (ბიუჯეტირება და ფინანსური ანალიზი), აფასებენ რისკებს და შესაბამისად ცვლიან მიდგომებს კონკრეტული ბიზნეს ოპერაციების მიმართ (რისკების მართვა) და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით კომპანიის მრავალი სამსახური სარგებლობს, მის კონკრეტულ შემადგენელ ნაწილებზე დაშვება მკაცრად არის გაწერილი კონკრეტული თანამშრომლის უშუალო სამსახურებრივი მოვალეობების შესაბამისად და კონტროლირებადია. აღნიშნული გამორიცხავს სხვადასხვა სამსახურის თანამშრომელთა ჩარევას პროგრამის სხვადასხვა მოდულში, შესაბამისად, მის რედაქტირებას, ან ინფორმაციის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას.

პროგრამაში განსაზღვრულია და გაწერილია ბევრი სხვადასხვა შეზღუდვა, ლოგიკა, სერვისი, იმ მიზნით, რომ კომპანიამ უზრუნველყოს თავისი ოპერაციების შესაბამისობა სხვადასხვა საკანონმდებლო ბაზასა და შიდა პოლიტიკა-პროცედურებთან (მაგ. 1. ლიმიტები სესხის მაქსიმალური ჯამური სალდოს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ჯარიმისა და საკომისიოს ოდენობის მხრივ, 2. სესხის განაცხადის განხილვა, დამტკიცება, ვიზირება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელთა მიერ, 3. მომხმარებელთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის წარმოების აუცილებლობა მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, ანუ, მომსახურების გაწევის მომენტამდე და ა.შ.).

რაც შეეხება უშუალოდ ანგარიშების წარმოების პროცესს, მასში მეტწილად კომპანიის 2 სამსახურია ჩართული: ბუღალტერია და ანგარიშგება. პროცესი იწყება ბუღალტერიაში, რომელიც ყოველი კალენდარული თვის დასრულების შემდეგ, აწარმოებს თვის დახურვის ოპერაციებს და აგენერირებს საცდელ ბალანსს. კონკრეტულ საბუღალტრო გატარებას ამზადებს შესაბამისი დანიშნულების ბუღალტერი, რიგი გატარებები კი ექვემდებარება მთავარი ბუღალტრის გადამოწმებასა და ავტორიზაციას. აღნიშნული აუცილებლად სრულდება პერიოდის დახურვისა და ფინანსური შედეგების გენერირებისას, სადაც მუშაობს 4 თვალის პრინციპი და სხვადასხვა ბუღალტრის მიერ წარმოებულ შესაბამის შედეგებს ამოწმებს და ადასტურებს მთავარი ბუღალტერი. საცდელი ბალანსის შედეგებს ეცნობა კომპანიის უფროსი ფინანსური ოფიცერი (ფინანსური დირექტორი) და დამატებით ამოწმებს არსებითი ცვლილებების სიზუსტეს.

შემდგომ მონაცემები მიეწოდება ანგარიშგების სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია ყველა დაინტერესებული მხარისათვის (შიდა: კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, სხვადასხვა სამსახური; გარე: კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოები, ინვესტორები, აუდიტორები, ა.შ.) შესაბამისი ანგარიშის მომზადებაზე. აქაც მოვალეობები მკვეთრად გამიჯნულია: ანგარიშებს დანიშნულების მიხედვით ამზადებს სხვადასხვა ანგარიშგების ოფიცერი (მაგ. პორტფელის ანგარიშგების ოფიცერი, ინვესტორებთან ანგარიშგების ოფიცერი, ა.შ.), ყველა ანგარიში კი ექვემდებარება ანგარიშგების სამსახურის ხელმძღვანელის შემოწმებასა და დასტურს.

აღნიშნული ანგარიშების მოსამზადებლად, ინფორმაციის წყარო, გარდა ბუღალტერიიდან მიღებული საცდელი ბალანსისა, გახლავთ LoanKeeper-ში სხვადასხვა დანიშნულებით გაწერილი ანგარიშები (მაგ. სესხების პორტფელი, პორტფელის ხარისხი, სალარო ოპერაციები, მომხმარებელთა შენარჩუნების კოეფიციენტი და ა.შ.), რომელთა მისაღებად საკმარისია საჭირო ანგარიშის შერჩევა და სასურველი ანგარიშის პერიოდის მითითება. ასეთი სისტემური ანგარიშები მომზადებულია კომპანიაში შემუშავებული „ანგარიშგების აგების მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რაც გულისხმობს იმას, რომ დეტალურად განსაზღვრულია ანგარიშისთვის საჭირო ველები, მათი გამოთვლის პრინციპები, მასზე დაშვების მქონე თანამშრომლები, თავად ანგარიში კი მომზადებულია ანგარიშგების სამსახურისა და სტ ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების სამსახურის მიერ, სადაც ანგარიშგების სამსახურმა მოამზადა დეტალური ტექნიკური დავალება, სტ ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების სამსახურმა სისტემაში გაწერა და შექმნა ანგარიში მიღებული შეკვეთის შესაბამისად, ბოლოს კი ანგარიშგების სამსახურმა შეამოწმა ის სისწორეზე და ჩააბარა დამკვეთ სამსახურს.

ამ წესის დაცვით მომზადებული სისტემური ანგარიშები უზრუნველყოფს მათ სისწორესა და გამართულობას (დამკვეთის, შემმუშავებლისა და შემსრულებლის მიერ გადანაწილებული როლებისა და შესაბამისად შესრულებული სამუშაოს საფუძველზე), ასევე, ინფორმაციის დაცვას მასზე წვდომის მხოლოდ საჭირო მხარეებისათვის მიწოდების გზით. საერთო ჯამში, აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ანგარიშების სანდოობას.

გარდა ცალსახად სეგრეგირებული დავალებებისა და კონტროლის დონეების არსებობისა, კომპანიის თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია და კომპანიის ინვესტიცია მათი ცოდნის განახლებაში საჭირო ტრენინგების მხრივ, დამატებითი ფაქტორია სამუშაოს ხარისხიანად მოსამზადებლად. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, ფინანსური მიმართულების სამსახურები ასევე ექვემდებარებიან შიდა აუდიტს, რაც დამატებით უზრუნველყოფს თუნდაც მცირე ხარვეზების აღმოფხვრას.

„კრისტალის“ მისიაა მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერების მხარდაჭერის გზით, ხელი შეუწყოს მათი ბიზნეს პოტენციალის რეალიზებას, ფინანსური სტაბილურობის მიღწევასა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას.



არაფინანსური ანგარიშგება

სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობა

კომპანიის შესახებ:

სს მისო „კრისტალი“ წარმოადგენს ადგილობრივ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც, თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მიკრო და მცირე ბიზნეს სექტორის განვითარებას საქართველოში.

„კრისტალის“ მისიაა მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერების მხარდაჭერის გზით, ხელი შეუწყოს მათი ბიზნეს პოტენციალის რეალიზებას, ფინანსური სტაბილურობის მიღწევასა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას. ძირითადად ორიენტირებულია რეგიონებსა და მოშორებულ ადგილებში მოღვაწე მიკრო მეწარმეებისა და ფერმერების განვითარებაზე.

კომპანიის მთავარ კორპორაციულ ღირებულებებს წარმოადგენს:

- **პასუხისმგებლობა** – რაც გულისხმობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით, მომხმარებლებს თავიდან აიცილოს ჭარბვალიანობა, ასევე, ეს კომპონენტი მოიცავს პასუხისმგებლიან მიდგომას თანამშრომელთა, ბიზნეს პარტნიორთა, საზოგადოებისა და გარემოს წინაშე;
- **გამჭვირვალობა** – მომხმარებლებს საშუალება აქვთ შეადარონ ფასები და პირობები, გაეცნონ მოსალოდნელ საფრთხეებს;
- **პარტნიორობა** – გრძელვადიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან და ინვესტორებთან;
- **მისაწვდომობა** – ხელმისაწვდომობა წარმოადგენს არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორს პროდუქტების შემუშავების და მიწოდების არხების შერჩევის დროს;
- **ინოვაცია** – ინოვაციისა და სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა;

კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიისთვის წარმოადგენს ბიზნესის მართვისა და წარმოების აუცილებელ, ეფექტურ და გრძელვადიან სტრატეგიაზე ორიენტირებულ მოდელს, რომლის გათვალისწინებაც ხდება კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

კომპანიის CSR სტრატეგია მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ბიზნესის პასუხისმგებლიანად კეთება, რაც უპირველესად გამოიხატება მომხმარებელთა პატივისცემასა და მათი უფლებების დაცვაში.

"SMART Campaign" პრინციპები – კომპანია იზიარებს და ნერგავს მის ყოველდღიურ საქმიანობაში მიკროსაფინანსო ინდუსტრიის ლიდერთა მიერ შეთანხმებული გლობალურ ინიციატივას, რომელიც კლიენტთა უფლებების დაცვის 7 უნივერსალურ პრინციპს მოიცავს:

4. **პროდუქტის სათანადო დიზაინი და მიწოდება**

კომპანიის მისიის მისაღწევად, რაც გულისხმობს მცირე და მიკრო მეწარმეებისა და ფერმერების ხელშეწყობას მათი ბიზნეს პოტენციალის რეალიზებაში, ფინანსური სტაბილურობის მიღწევასა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში, სს მისო „კრისტალი" საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს, მოიცავს 40 ფილიალს და 20 სერვის ცენტრს (სოფლის ბუტიკებს), რაც კარგი საშუალებაა ოპერატიულად მივაღწიოთ რეგიონებსა და პატარა სოფლებში, რათა მომხმარებელმა ფინანსური მომსახურება მიიღოს სახლთან ახლოს, დროითი და სხვა რესურსების ეფექტურად დაზოგვის გზით.

გარდა ამისა, ონლაინ განვადების პლატფორმის შემუშავების გზით, დაემატა მიწოდების მეტად ოპერატიული არხი "Akido", სადაც კლიენტებს შეუძლიათ შეიძინონ სხვადასხვა სახის ელექტრონული პროდუქტი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, სასუქები, პესტიციდები, სათესლე მასალა და სხვა. "აკიდოს" ინტერნეტ-მაღაზიის საშუალებით, კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სწრაფ განვადებას, რომელიც შემუშავებულია SMS-ის მიერ დადასტურებული ელექტრონული ხელშეკრულებით. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, კლიენტი შეძლებს პირადი კაბინეტის ხელმისაწვდომობას, სადაც შემოწმდება ელექტრონული შეთანხმება და გადახდის გრაფიკი.

5. **ზედმეტი საკრედიტო ტვირთის თავიდან აცილება**

MICROFINANCE CENTRE

- საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა აქტივებთან – არანაკლებ 30%;
- გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (სესხის შენატანის თანაფარდობა თავისუფალ ნაშთთან) შეადგენს 70 %-ს;
- პარალელური სესხები – დასაშვებია მხოლოდ სამ გარე ორგანიზაციაში პარალელური სესხის არსებობა, შესაძლებელია კრისტალი იყო მეოთხე ორგანიზაცია;
- მომხმარებლებისთვის ჭარბვალიანობის თავიდან ასაცილებლად და გონივრული დაკრედიტების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, კომპანია 2014 წლიდან ჩართულია საერთაშორისო კამპანიაში „ისესხე გონივრულად" . რაც გულისხმობს მომხმარებლებისთვის სასარგებლო ინფორმაციის და რჩევების მიწოდებას გონივრულ სესხებასთან დაკავშირებით.

6. **გამჭვირვალობა**

„კრისტალი" კლიენტებს უზრუნველყოფს მკაფიო, საკმარისი და დროული ინფორმაციით. კლიენტებს დეტალურად მიეწოდებათ სესხის ხელშეკრულებაში არსებული ყველა პირობა.

7. **კლიენტების მიმართ სამართლიანად და პატივისცემით მოპყრობა**

მომხმარებელთან სამართლიანი და პატივისცემით ურთიერთობა მკაფიოდ განისაზღვრება კომპანიის შიდა პროცედურების და მომსახურების სტანდარტების დოკუმენტებში.

კომპანიაში არსებობს პრობლემური სესხების მართვის პოლიტიკა, სადაც, მნიშვნელოვან პუნქტად გამოიყოფა პრობლემურ კლიენტებთან სამართლიანი მიდგომების პრინციპები, რომელიც

კლიენტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სმარტ სტანდარტებით განისაზღვრა.

- დაუშვებელია კლიენტის მიმართ შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი და არასამართლიანი ქმედების განხორციელება;
- პრობლემურ სესხზე მომუშავე პირი პრობლემურ კლიენტებთან ურთიერთობისას იყენებს ზემოქმედების იმ მეთოდებს, რომელიც დადგენილია კანონით და განსაზღვრულია ამ დებულებით;
- პრობლემურ სესხზე მომუშავე პირს ეკრძალება სხვა მესამე პირის ჩართვა პრობლემის მოგვარების პროცესში, გარდა კომპანიის თანამშრომლისა და კანონით განსაზღვრული პირებისა.

8. გონივრული ფასდადება

სასესხო პროდუქტებზე ფასები განისაზღვრება ქვეყნის მაკროეკონომიკური ფაქტორებით და კონკურენციული გარემოს გათვალისწინებით საქართველოს ფინანსურ ბაზარზე.

9. კლიენტების მონაცემთა დაცულობა

კლიენტის პირადი ინფორმაციის დაცულობა განისაზღვრება შიდა ნორმატიული დოკუმენტით – „ეთიკის კოდექსით“, რაც გულისხმობს შემდეგს:

- დაუშვებელია ორგანიზაციაში მოპოვებული ინფორმაციის (ელექტრონული, წერილობითი, სიტყვიერი) გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ან ორგანიზაციის კლიენტის, მომწოდებლის, თანამშრომლის, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. ამ პრინციპისთვის მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის ხანდაზმულობას;
- ასეთი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, “კრისტალის” ინტელექტუალური საკუთრების და კომერციული საიდუმლოების უფლებების გათვალისწინებით;
- დაუშვებელია “კრისტალში” მოპოვებული ინფორმაციის “კრისტალის” საწინააღმდეგოდ გამოყენება. ეს ვალდებულება პირს უნარჩუნდება “კრისტალთან” შრომითი ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგაც. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია “კრისტალს” გადასცეს ყველა დოკუმენტი, ელექტორნული ინფორმაციის მატარებელი საშუალებები, ჩანაწერები რაც შეიცავს “კრისტალის”, მისი კლიენტის, პარტნიორის, მომწოდებლის და “კრისტალთან” სხვაგვარად დაკავშირებული პირის კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, ან სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის განკუთვნილი ფართო საზოგადოებაში გასავრცელებლად.

10. საჩივრების განხილვის მექანიზმი

საჩივრების მიღების/განხილვის პროცესი რეგულირდება შიდა ნორმატიული დოკუმენტით „კლიენტების პრეტენზიების მიღების მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვითაც, კომპანიის ნებისმიერი თანამშრომელი ვადლებულია მომხმარებლის მხრიდან ნებისმიერი უკმაყოფილების გამოვლენისას შესთავაზოს პრეტენზიის დაფიქსირების ფორმები:

ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სამი არხი კლიენტის ხმის დასაფიქსირებლად:

- სტანდარტული წერილობითი ფორმა (ეროვნული ბანკის რეგულირებით განსაზღვრული)
- ცხელი ხაზი
- **complaint@crystal.ge**
- საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის მიხედვით, მიღებული პრეტენზიის საკითხის დასამუშავებლად ვადა განისაზღვრება ერთი თვით. მომხმარებელს პასუხი ეცნობება მის მიერ დაფიქსირებული საკომუნიკაციო არხის მეშვებით.
- პრეტენზიების განხილვის პროცესში ჩართულია საჩივრების განმხილველი კომისიის წევრები:
- იურიდიული განყოფილების ხემძღვანელი
- რისკების განყოფილების ხელმძღვანელი
- ბიზნეს ანალიტიკოსი
- ხარისხის კოორდინატორი
- სოციალური პასუხისმგებლობის ოფიცერი
- პრეტენზიით დაფიქსირებული საკითხის შესაბამისი გამყოფილების წარმომადგენელი

სოციალური ინვესტირება

2007 წლიდან კომპანიაში დაფუძნდა სოციალური ფონდი და მას შემდეგ, ყოველწლიურად ვაფინანსებთ სოციალურ, გარემოსდაცვით და საქველმოქმედო პროექტებს. სოციალური ფონდის მოცულობა განისაზღვრება წლიური მოგების 2 %-ით.

გასულ წელს 119,000 ლარის ინვესტირება განხორციელდა სოციალურ პროექტებში. დაფინანსების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს განათლების, სოციალურად დაუცველი ფენის მხარდაჭერის და ინკლუზიური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნისადმი მიმართული პროექტები.

ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა

ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის პროგრამა ხორციელდება საქართველოში ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების და შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერის პროექტის (YES-Georgia) ფარგლებში.

პროექტი ითვალისწინებს ორ ეტაპიან სწავლებას და დაფინანსებას. პირველ ეტაპზე მსმენელები შეისწავლიან ბიზნესის დაგეგმარების, ეფექტური კომუნიკაციის, მოლაპარაკების, ანალიზისა და გუნდური მუშაობის უნარებს. მეორე ეტაპზე კი ხდება ბიზნეს იდეებიდან ბიზნეს პროექტების შემუშავება. შერჩეული საუკეთესო პროექტები ღებულობენ საინვესტიციო დაფინანსებას კრისტალისგან.

2017 წლისთვის სწავლება გაიარა 330-ზე მეტმა ახალგაზრდამ საქართველოს 20 ქალაქიდან, საიდანაც კრისტალის მიერ დაფინანსდა 26 ბიზნეს იდეა, მათ შორის 4 აფხაზეთის რეგიონიდან.

პროექტი კვლავ გრძელდება. ჩატარდება საქართველოს 7 რეგიონში და მასში მონაწილეობის მიღება საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას შეეძლება. პროექტში მონაწილეები შეისწავლიან ბიზნეს იდეების გარდაქმნას ბიზნეს პროექტებად, ხოლო საუკეთესო ბიზნეს პროექტები მიიღებენ თანადაფინასებას კრისტალისგან.

სოციალური მეწარმეობა

კრისტალი 2016 წლიდან თანამშრომლობს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და მათთან ერთად მხარს უჭერს სოციალური მეწარმეობის განვითარებას საქართველოში. მხარდაჭერა გულისხმობს როგორც საექსპერტო და საკონსულტაციო ჩართულობას, ასევე ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ, სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების და ფორუმების სპონსორობას, მათ შორის, ინოვაციური პროექტის „სოციალური კრედიტი“ სოციალური მეწარმეებისთვის. აღნიშნული პროექტი კომპანიამ დაიწყო 2017 წელს და გულისხმობს 5,000 ლარამდე 0%-იანი კრედიტს სოციალური მეწარმეობის დასაწყებად ან გასაფართოებლად, ყოველგვარი გირაოს, პროცენტისა და საკომისიოს გარეშე, 2 წლამდე ვადით, საწარმოს შემოსავლებზე მორგებული გადახდის გრაფიკით. ჯამში დაფინანსდა 8 სოციალური საწარმო.

კრისტალი ქართველი ახალგაზრდების მხარდამჭერი რობოტიკის მსოფლიო ჩემპიონატზე

კრისტალი მხარს უჭერს ახალგაზრდა მეწარმეებს და რობოტიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის საქართველოს გუნდს აფინანსებს. საერთასორისო კონკურსი „First Global“ უკვე მეორე წელია ტარდება. მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის ინტერესის გაღვივების მიზნით შექმნილ ღონისძიებაში, სკოლის მოსწავლეები მთელი მსოფლიოდან ერთვებიან.

ქართველმა ახალგაზრდებმა კრისტალის სპონსორობით მონაწილეობა მიიღეს რობოტის მსოფლიო ჩემპიონატში, მექსიკაში და 193 ქვეყნის მონაწილეებს შორის რეიტინგში მე -7 ადგილი დაიკავეს. წელს კონკურსის თემა იყო განახლებადი ენერგია, კერძოდ მზის პანელები და ქარის ტურბინები. საქართველოს ნაკრებმა ამ კონკურსში უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა. გასულ წელს საქართველოს გუნდმა მე -14 ადგილი დაიკავა.

კომპანიის გარემოსდამცველობითი საქმიანობა

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა არ მოიცავს მნიშვნელოვან ზემოქმედებით პროცესებს გარემოს მიმართ, მაგრამ კომპანია გამოხატავს ინიციატივას და კეთილ ნებას, განახორციელოს ქმედებები ბუნერივ გარემოზე დადებითი გავლენის მოსახდენად.



კამპანია კრისტალი ზრუნავს გარემოზე

კრისტალი გარემოს გულისთვის

კრისტალი CENN-თან თანამშრომლობით ახორციელებს 3 წლიან გარემოსდამცველობითი ხასიათის პროექტს, რაც გულისხმობს, კომპანიის მიერ 3 წლის ვადით ზრუნვის პასუხიმგებლობის აღებას საქართველოს მასშტაბით ორ ლოკაციაზე: ძამას ხეობა, მდებარე ქარელის მუნიციპალიტეტში და აჭარაში არსებული მახუნცეთის ტურისტული პარკი.

პროექტის ფარგლებში, კრისტალის მოხალისეობრივი ჩართულობით, ხდება აღნიშნული ტერიტორიების დასუფთავებაზე და გამწვანებაზე ზრუნვა.

პროექტი ოფიციალურად დაიწყო 2018 წლის 22 აპრილიდან, დედამიწის დაცვის დღეს და პირველი დასუფთავების აქცია განხორციელდა ძამას ხეობაში. შემდგომ გამწვანდა მახუნცეთის ტურისტული პარკი ადგილობრივი ენდემური ჯიშებით.

მწვანე ინიციატივა #მწვანე_ყუთები

კრისტალის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს ნარჩენების მართვის დანერგვა. ამისთვის კომპანია თანამშრომლობს „ტისუფეიფერთან“ და რამდენიმე ფილიალში უკვე განათავსა მეორადი ქაღალდის შემგროვებელი მწვანე ყუთები. აღნიშნულ კომპანისთან თანამშრომლობა ითვალისწინებს ჩაბარებული მეორადი ქაღალდის სანაცვლოდ ახალ წიგნების (საბავშვო, მხატვრული ლიტერატურა) მიღებას და კრისტალის მიერ მისი ბენეფიციარებისთვის, სკოლის ბიბლიოთეკებისა და დღის ცენტრებისთვის საჩუქრად გადაცემას.

პროექტის საბოლოო მიზანია, ჩართულობა და ხელშეწყობა ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბების პროცესში, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ინიციატივებში.

კრისტალი კამპანია „სუფთა ჰაერის“‘ პარტნიორი და აქტიური მხარამჭერია

კრისტალი კამპანია „‘სუფთა ჰაერის“ პარტნიორი და აქტიური მხარამჭერია. მისი მიზანია ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. კამპანიის ფარგლებში, ღონისძიება გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართა. მცენარეებით შემოსილი ავტომობილის მწვანე კონსტრუქცია გზავნილით „გამწვანე შენი ავტომობილი“ რესპუბლიკის მოედანზე დაიდგა. ღონისძიების მიზანი პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო.

ეკოლოგიური რისკების განსაზღვრა კომპანიის საკრედიტო საქმიანობაში

„კრისტალი“ ცდილობს დააბალანსოს თავისი საქმიანობის კომერციული მხარე და სოციალური შედეგები. ამ მიზნით, ორგანიზაციის შიდა პოლიტიკაში დანერგილია ეკოლოგიური სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა, რომლის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს გარემოს დაცვაზე ზრუნვა.

ორგანიზაციის გარემოს დაცვის დებულების თანახმად, „ორგანიზაცია ვალდებულია შეისწავლოს გარემოზე დაკრედიტების გავლენა იმისთვის, რომ გარემოსთვის სარისკო და საზიანო სესხები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი“.

ეკოლოგიური რისკების კატეგორიებად დაყოფა ეფუძნება კლიენტის ძირითადი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი პოტენციური ეკოლოგიური რისკების კლასიფიცირებას. კატეგორიზაცია და შეფასება ხორციელდება ფინანსური ანალიზის დროს, რაც შესაბამისად აისახება სესხის რეზიუმეში.

მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ეკოლოგიური რისკი იყოფა სამ კატეგორიად:

- მაღალი ეკოლოგიური რისკი;
- დაბალი ეკოლოგიური რისკი;
- ნეიტრალური;

მაღალი ეკოლოგიური რისკის კატეგორიას მიეკუთვნება:

- საწარმოს და მომსახურების ობიექტები, სადაც გამოიყენება ქიმიური ნივთიერებები და არ არის დაცული უსაფრთხოების წესები;
- საქმიანობა, სადაც არ ხორციელდება საწარმოო ნარჩენების სწორი მართვა;
- საქმიანობა გამონაბოლქვის მაღალი მაჩვენებლით, რომელიც საზიანოა გარემოსთვის; (გამონაბოლქვის ხარისხის დადგენა სპეციალური ხელსაწყოს გარეშე შეუძლებელია)
- ხე-ტყის უკანონო ჭრა;
- პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ბუნებრივი რესურსების განადგურება;
- მეთევზეობა კანონით განსაზღვრული წესების დარღვევით;

დაბალი ეკოლოგიური რისკის კატეგორიას მიეკუთვნება:

- მომსახურების სფეროები, სადაც არ ხდება ეკოლოგიურად საშიში მასალების გამოყენება;

- წარმოება, სადაც არ გამოიყენება ხელოვნური დანამატები;
- წარმოება, რომელიც იყენებს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულს;

ნეიტრალური რისკის კატეგორია მიეკუთვნება:

- სამომხმარებლო სესხები;
- სესხები, რომლებზე რთულდება რისკის კატეგორიის დადგენა;

კომპანიის შიდა პოლიტიკა ითვალისწინებს აკრძალული საქმიანობების სიას, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით:

კომპანიამ არ უნდა დააფინანსოს იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც შემოსავალი აქვთ შემდეგი ტიპის ბიზნეს აქტივობიდან:

- ალკოჰოლური სასმელების მსხვილი წარმოება და მხოლოდ ამ პროდუქციით ვაჭრობა (ლუდის და ღვინის გარდა);
- თამბაქოს მსხვილი წარმოება და მხოლოდ ამ სახეობის პროდუქციით ვაჭრობა;
- ნარკოტიკების წარმოება ან/და რეალიზაცია;
- საქმიანობა, რომელიც იყენებს ბავშვთა შრომას;
- სავალუტო სპეკულაციები;
- ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში;
- წარმოებები, სადაც იყენებენ ეკოლოგიურად სახიფათო ან არაჯანსაღ პროცესებს;
- საქმიანობას, სადაც მომხმარებელია ჩართული და რომელიც ზიანის მომტანია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის;
- დაფინანსება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კომპანიის რეპუტაციას;
- ტოტალიზატორები და სხვა აზარტული, მათ შორის ონლაინ თამაშების ბიზნესი;
- იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოება და ვაჭრობა.

მწვანე დაფინანსება

2017 წლის მაისში, სს მისო "კრისტალმა", ჰოლანდიური განვითარების ბანკ FMO-სგან მიღებული ინსვესტიციით, დაიწყო „მწვანე დაფინანსების" პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს მომხმარებლისათვის პროდუქტის „მწვანე" ალტერნატივის შეთავაზებას და ისეთი ეკო-მეგობრული და გარემოსათვის ნაკლებად საზიანო პროდუქტების დაფინანსების ხელშეწყობას, როგორებიცაა:

ჰიბრიდული და ელექტრო მანქანები;

ეკო-მეგობრული სამშენებლო მასალები;

ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკა;

განახლებადი ენერგო-ტექნოლოგიები;

CNG სისტემები; (ბუნებრივი აირის ავზის დაყენება ავტომობილში);

წვეთოვანი სარწყავი სისტემები;

ენერგოეფექტური გათბობის საშუალებები.

„მწვანე დაფინანსების“ განვითარებით, ორგანიზაციის მთავარი მიზანია მოსახლეობის ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება ეკო-მეგობრული პროდუქტების პრივილეგიებზე, მათი მოხმარების ხელმისაწვდომობის ზრდა, ემისიებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება.

კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანია მწვანე დაფინანსებით მიღწეული დადებითი შედეგის გაზომვა, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების ხელშეწყობა, გაცემული „მწვანე' სესხებით. ამ ანგარიშგების ტექნიკურად შექმნისა და მწვანე დაფინანსების პროექტის განვითარებისათვის, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს თანამშრომლობა ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან.

მყარი რეპუტაცია

კრისტალი ცნობილია საერთაშორისო მიკროსაფინანსო ბაზარზე როგორც პასუხისმგებლიანი საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ფინანსურ დაწესებულებებთან, განვითარების სააგენტოებსა და საინვესტიციო კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობის 20 წლიანი წარმატებული გამოცდილება.

წარჩინებული საკრედიტო ისტორია

კრისტალის მთლიანი საკრედიტო მოღვაწეობის მანძილზე არ აღინიშნება ვალდებულებაზე ვადაგადაცილების თუ დაგვიანების არც ერთი ფაქტი.

ადამიანური რესურსები და ორგანიზაციული განვითარება

კრისტალის ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმას ყველა სახის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, მათ შორის: ენის, სქესის, კანის ფერის, ეროვნულ, ეთკური, სოციალური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნის მიუხედავად.

დასაქმების საკითხები – დასაქმებისა და სამუშაო პირობები

კომპანიაში დასაქმებული პირები სარგებლობენ შრომითი პირობების მაღალი სტანდარტებით, რომელიც ეხება:

- სამუშაო დროის მკაცრად განსაზღვრა 40 სამუშაო საათამდე;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება სტანდარტული ანაზღაურებაზე მაღალი განაკვეთით;
- შვებულებისა და დეიოფის ლოიალური პირობებით:
  - **24 საშვებულებო დღე (გადასამოწმებელია)**
  - **+ 4 დამატებითი თავისუფალი დღე**
- საოჯახო საჭიროებებისთვის დამატებითი თავისუფალი დღე (ქორწინება, ოჯახის წევრის გარდაცვალება)
- დეკრეტული ანაზღაურებადი შვებულება
- სამედიცინო დაზღვევის მაღალი სტანდარტი (მომწოდებელი კომპანია შეირჩევა არა ფასით, არამედ სანდოობით და მომსახურების ხარისხით)
- შრომითი პირობების ჰიგიენის და უსაფრთხოების დაცვა მონიტორინგი (სახანძრო უსაფრთხოება, კრიმინოგენული უსაფრთხოების სტანდარტები)
- განვითარების შესაძლებლობა: ტრენინგები, სემინარები, შიდა კარიერული წინსვლა.

კომპენაციის სისტემა და კარიერული და პროფესიული განვითარების სისტემები

- ჩატარებული კვლევების შესაბამისად კრისტალის შრომის ანაზღაურება ბაზართან მიმართებაში არის წონასწორობაში.
- კომპანიაში მენეჯერების მინიმუმ 30% შეადგენენ შიდა დაწინაურებული კადრები;
- კომპანიის ტრენინგ ცენტრი უზრუნველყოფს კადრების განვითარების დაგეგმარებას და მათ მომარაგებას პროფესიული და უნარჩვევების ტრენინგებით.
  - ***თანამშრომელთა რაოდენობა – 877***
  - **გადინების პროცენტული მაჩვენებელი (ძირითადი შტატი) – 12.0% (საშუალო)**
  - **შრომის ანაზღაურება (დანამატების გარეშე) – 838.98 (საშუალო)**

თანამშრომელთა პრივილეგიები და ბენეფიტები

კომპანიის თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ფინანსური და სხვა სახის არამატერიალური ბენეფიტებით.

ფინანსური ბენეფიტები: სამედიცინო დაზღვევა, სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება (კომპანიის ბალანსზე არსებული და/ან სპეციალურად ამ მიზნით დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებები), საწვავი (კონკრეტულ შემთხვევებში) მობილური ტელეფონებით უფასო სასაუბრო დრო.

არამატერიალური ბენეფიტები და პრივილეგიები: დამატებითი დასვენების დღეები და/ან დრო, რომელიც არ აკლდება კანონმდებლობით განსაზღვრულ/დადგენილ დასვენების დღეებს, არამედ წარმოადგენს დამატებით შესაძლებლობას დაისვენოს ან გამოიყენოს მისთვის მნიშვნელოვანი დღეების აღსანიშნავად. სპეციალური ფასდაკლებები სხვადასხვა მომსახურებებსა, თუ პროდუქტებზე, სპორტულ გამაჯანსაღებელი კლუბების სერვისებსა და სხვა მიმართულებებზე, კომპანიის თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებით.

ანაზღაურების სისტემა და სტრუქტურა

კომპანიაში არსებობს საერთაშორისო პრაქტიკების შესაბამისი ანაზღაურების სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებულ ხელფასი;
- წლიური ბონუსი – კომპანიის მიღწევებისა და თანამშრომლის ინდივიდუალური და გუნდური საქმიანობების შედეგების გათვალისწინებით;
- ბონუს სისტემები და სქემები – სხვადასხვა მიმართულების სამსახურების, თანამშრომლების საქმიანობის სტიმულირების მიზნით (გაყიდვების სტიმულირება და სხვა);
- პრემიები, სპეციალური ჯილდოები, ფასიანი საჩუქრები – მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან საქმინობის შედეგებისათვის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დღეების აღსანიშნავად.

კომპანიის თანამშრომელთა კომპენსაციის სისტემების სამართლიანობისა და ბაზართან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კომპანია მონაწილეობს სახელფასო კვლევებში და კვლევის შედეგების საფუძვლიანი ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე ახდენს ანაზღაურების სისტემებში შესაბამის ცვლილებებს.

დისციპლინარული პასუხისმგებლობა

დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება, ორგანიზაციაში მოქმედი საკადრო პოლიტიკითა და შრომის შინაგანაწესით.

ორგანიზაციას მიღებული აქვს დისციპლინალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომები: შენიშვნა, წერილობითი გაფრთხილება, ხელფასის დაქვითვა, სამსახურიდან გათავისუფლება.

შრომითი ხასიათის დავების ან დისციპლინარული სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიურად, სადაც ჩართულია ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების ხელფასებისა და სამოტივაციო ბინუსების გაცემა წარმოებს ყოველთვიურად, თანამშრომელთა პირად საბანკო ანგარიშზე სახელფასო თანხის გადარიცხვით, ყოველი კალენდარული თვის 25-დან 31 რიცხვამდე.

დირექტორატის წარმომადგენლები, როგორც ტალანტების მართვისა და განვითარების სამსახურიდან, ასევე, შესაბამისი მიმართულების HR ბიზნეს პარტნიორი, უშუალო მენეჯერი და ცალკეულ შემთხვევებში უფროსი ოფიცრებიც კი (დირექტორები).

კომპანიის თანამშრომელს ეცნობება გადაწყვეტილების შესახებ და ასევე მისი უფლების შესახებ არ დაეთანხმოს მიღებულ გადაწყვეტილებას და მოახდინოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება/დააყენოს გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნა.

საზოგადოებრივი ურთიერთობები, მათ შორის ადგილობრივი ჯგუფების

სოციო-ეკონომიკური განვითარება

- 2017 წელს გაგრძელდა პროექტი YES Georgia, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდა (25 წლამდე) მეწარმეების დატრენინგებას ბიზნეს პროექტების მართვაში და მათთვის საწყისი სტარტაფ კაპიტალით დაფინანსებას;
- 2017 წელს ასევე განხორციელდა საზაფხულო სკოლის პროექტი ქუთაისში: 150 სტუდენტიდან შეირჩა 20. განხორციელდა მათი დატრენინგება გაყიდვებში, ფინანსურ მომსახურებაში, კომუნიკაციაში (სწავლება უფასო იყო), ნაწილი მათგანი დასაქმდა კომპანიაში.
- ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა სტუდენტების სტარტაფ ბიზნესის სწავლების პროცესი, ამავე პროექტის ფარგლებში კრისტალმა დააფინანსა უნივერსიტეტის ბიზნეს ლაბორატორიის ოთახის მოწყობის ხარჯები;
- დაფინანსდა ქუთაისის მუზეუმის მიერ წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები სხვადასხვა არქეოლოგიურ უბნებზე.
- კრისტალმა YES ჯორჯიას პროექტის ფარგლებში ასევე განახორციელა 25 წლამდე ახალგაზრდების სტაჟირების პროექტი.
- განხორციელდა ბორჯომის გადამწვარი ტყის აღდგის დაფინანსება, კომპანიის თანამშრომლებმა უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ტყეპარკის აღდგენაში. (5000$ დაფინანსდა აღდგენა)
- გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის და პოპულარიზაციის მიზნით დაფინანსდა ქართველი კარატისტი სპორტსმენი ქალი მაკა ქებურია საერთაშორისო ტურნირშ მონაწილეობის მისაღებად
- შეიქმნა მწვანე (ენერგო ეფექტური) დანიშNულების საკრედიტო პროდუქტები და კომპანიაშ განხორციელდა თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრები;
- დაფინანსდა მძიმედ დაავადებული კრისტალის ზუგდიდის ფილიალის მოლარე ეთერ ალმასიას მკურნალობა

ანაზღაურდა მესტიის თანამშრომელზე ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლისთვის მიყენებული ზიანი.

სუბიექტის ბიზნესმოდელის მიმოხილვა

- „კრისტალის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე მეწარმეებისა და აგრო სექტორში მოღვაწეთათვის მიკრო დაკრედიტების სერვისის მიწოდება. 2017 წლის ბოლოსათვის კომპანიამ მიაღწია 19.15% ბაზრის წილს (2016 წ. – 16.75%) თავის უშუალო კონკურენტებს შორის და განაგრძობს ზრდას. „კრისტალს“ აქვს ფილიალებისა და ბუტიკების ფართო ქსელი. 2017 წლის მანძილზე კომპანიამ კიდევ გაზარდა ქსელი და ობიექტების რაოდენობამ 58-ს მიაღწია (ამ ანგარიშის მომზადების თარიღისთვის მათი რიცხვი 62-ია);
- „კრისტალი“ მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს და ინვესტიციას ახორციელებს თავისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდილ საოპერაციო ეფექტურობასა და კონკურენტულ უპირტესობას ანიჭებს კომპანიას ბაზარზე, როცა საქმე ეხება გაყიდვის ელექტრონულ არხებსა და სერვისის ონლაინ მიწოდებას;
- კომპანია დაფინანსებას იღებს საკმაოდ დივერსიფიცირებული მიკროსაფინანსო საინვესტიციო კომპანიების, განვითარების ხელშემწყობი ფინანსური ინსტიტუტებისა და ქართული კომერციული ბანკებისაგან;
- კომპანიის ბიზნეს მოდელი აქცენტს აკეთებს სოციალურ და მდგრადი განვითარების ასპექტებზე;
- საკრედიტო პროდუქტების დიზაინი, შიდა სისტემები და პოლიტიკა-პროცედურები, თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და კორპორაციული კულტურა, საერთო ჯამში, ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკების ჩამოყალიბებას;
- „კრისტალი“ დადებითი რეპუტაციით სარგებლობს თავის მომხმარებლებს, დამფინანსებლებს, მარეგულირებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის;
- სამეთვალყურეო საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს კომპანიის ანგარიშების მომზადებას იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას, სულ მცირე, ამ ანგარიშის დამტკიცებიდან 12 თვის მანძილზე. კომპანიის დირექტორთა საბჭოს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანია განაგრძობს საქმინობას და შეასრულებს თავის მოკლე და გრძელვადიან ვალდებულებებს შესაბამის ვადებში.
- სამეთვალყურეო საბჭო ადასტურებს, რომ რეგულარულად ხდება კომპანიის წინაშე არსებული მთავარი რისკების დეტალური შეფასება, მათ შორის იმ რისკებისა, რომლებსაც ნეგატიური გავლენა ექნებათ კომპანიის ბიზნეს მოდელს, მომავალ საქმიანობას, გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდურობაზე.

სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზი

მიმოხილვა და ზოგადი შეფასება

კომპანიის სტრატეგია არის ჰქონდეს რისკის მართვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისი სისტემები.

კომპანიამ მიიღო საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "FITCH" -ის რეიტინგი, რომელიც კრისტალმა პირველად მიიღო საქართველოს მაშტაბით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის. მოცემული რეიტინგი აფასებს კომპანიის გადახდისუნარიანობას და სტაბილურობას.

კომპანიამ დანერგა აქტივების კლასიფიცირების და დანაკარგების რეზერვირების საერთაშორისო სტანდარტი IFRS-9, რაც კრისტალმა მოახერხა პირველად საქართველოს მაშტაბით, ყველა სხვა ფინანსურ კომპანიებთან მიმართებაში, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე, ბანკებს შორის.

კომპანიას გააჩნია რისკის მართვის სამი დონე.

კომპანიას გააჩნია შესაბამისი რისკის მართვის გარემო და კულტურა, რომელსაც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი.

კომპანიას გააჩნია რისკის შეთანხმებული და დამტკიცებული ლიმიტები, რომელიც არის რისკის მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი და აისახება რისკის მადის და ტოლერანტობის დოკუმენტში, სადაც ასახულია ყველა ძირითადი რისკის მისაღები დონე და მისი მიღწევისთვის აუცილებელი კონტროლის მექანიზმები.

კომპანიას გააჩნია რისკის მართვის ადეკვატური პროცესი, რომელიც მოიცავს:

- რისკის იდენტიფიკაციას;
- რისკის შეფასებას;
- რისკის მართვას (შერბილებას);



- პროცესის მფლობელი პასუხიმგებელია პროცესში არსებული რისკის მართვაზე, კომპანიაში არსებული რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით.
- რისკის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია რისკის მართვის ინსტრუმენტების შემუშავებაზე და დანერგვაზე.
- შიდა აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობის შეფასებაზე.

კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შიდა კომუნიკაციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომპანიის ყველა თანამშრომლის ჩართულობა რისკის მართვის პროცესში. რადგან კადრების კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი არის რისკის მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, კომპანია ორიენტირებულია მათი სწავლების და გადამზადების პროცესი იყოს უწყვეტი და თანმიმდევრული.

რისკის მართვის სტრუქტურა

რისკის მართვის სტრუქტურა შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:



- სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს რისკის მართვის შესაბამისი გარემოს და კულტურის დანერგვას კომპანიაში;
- სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს რისკის მადას და ტოლერანტობას;

- სამეთვალყურეო საბჭო რისკის მადის და ტოლერანტობის შესრულებას აკონტროლებს შესაბამისი კომიტეტების მეშვეობით;
- შიდა აუდიტის სამსახური აანალიზებს კომპანიაში არსებულ რისკების მართვის პროცესს, ანალიზის მიზანია პროცესის ეფექტურობის განსაზღვრა და პროცესში არსებული რისკის მართვის ინსტრუმენტების და რისკის მართვის კონტროლების ადეკვატურობის დადგენა;
- მმართველი გუნდი კომპანიაში ქმნის რისკის მართვის ადეკვატურ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული რისკის მადის და რისკის ტოლერანტობის დადგენილი ლიმიტების შესრულებას;
- რისკის მართვის სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ რისკის მართვის სწორი და ადეკვატური ინსტრუმენტების დანერგვას, მათ ანალიზს და მუდმივ განახლებას.
- რისკის მართვის სტრუქტურული ერთეულების დამოუკიდებლობა ბიზნესს ხაზებიდან უზრუნველყოფილია კომპანიის მმართველობითი სტრუქტურით. ისინი პირდაპირ ექვემდებარებიან კომპანიის უფროს აღმასრულებელ ოფიცერს (გენერალურ დირექტორს).

რისკის შემცირება და ჭარბი კონცენტრაციის მართვის ინსტრუმენტები

კომპანიას დანერგილი აქვს რისკის შემცირების შემდეგი ინსტრუმენტები:

- საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის დადგენილი ლიმიტები, მათ შორის ერთ ერთი არის ბიზნესს სექტორების და ბიზნეს ქვე-სექტორების მიხედვით ლიმიტი. პორტფელის 15%-ზე მეტი არ უნდა იყოს რომელიმე ბიზნეს ქვე-სექტორში (მაგ. მესაქონლეობა, მეფრინველეობა, შიდა საქალაქო ტრანსპორტით მომსახურეობა, ტაქსით მომსახურეობა და აშ) .
- კომპანია ყოველთვიურად აკეთებს პორტფელის რისკების ანალიზს. ანალიზის მიზანია პორტფელში რისკის შემცველი კონცენტრაციების გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით ქმედითი ღონისძიებების რეკომენდირება.
- საკრედიტო კომიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო. გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ არსებული და სტატისტიკური ინფორმაციის შეფასების შედეგად, პოტენციური რისკების და პროექტის ეფექტურობის გათვალისწინებით.
- კომპანიის ხედვა კონკრეტული განაცხადის დაფინანსების გადაწყვეტილების პროცესში ითვალისწინებს კლიენტის დაცვას ზედმეტი ფინანსური ტვირთიდან და კრისტალის მიერ გაცემული სესხი უნდა ემსახურებოდეს კლიენტის ბიზნესის განვითარებას ან კლიენტის ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მისი ეფექტი აუცილებლად დადებითი უნდა იყოს.
- კომპანიაში არსებობს ორი დონის საკრედიტო კომიტეტი. კომიტეტის დონე დამოკიდებულია სესხის თანხაზე, მცირე თანხებზე შესაძლებელია გადაწყვეტილება მიიღოს ბიზნეს ხაზის მიმართულებამ, ხოლო შედარებით დიდ თანხებზე აუცილებელია რისკების სამსახურის დასტური.
- საკრედიტო სქორინგი და საკრედიტო რეიტინგი, რომელიც ეხმარება შესაბამის პასუხისმგებელ პირს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.
- სესხზე გრაფიკის მიხედვით შენატანის შემცირება შემოსავლების შემცირების მიხედვით, სესხის რესტრუქტურიზაცია, რომელიც ეფექტურად მუშაობს, უმსუბუქებს საკრედიტო ტვირთს კლიენტს.
- სტრეს ტესტების ფორმატი, სადაც ხდება სხვადასხვა სავარაუდო სცენარების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი რისკის შეფასება .
- რისკ შემთხვევების შეგროვების ბაზა, რომლის ანალიზის შედეგად, დგინდება მომეტებული რისკის ოპერაციები და შემდეგ ანალიზდება კონტროლის სისუსტეები.
- რისკის მოდელირება, როდესაც გარკვეული გონივრული და ექსპერტული დაშვების შედეგად, ხდება მოსალოდნელი რისკის პროგნოზირება დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.
- სესხის უზრუნველყოფის შეფასების გამართული მეთოდოლოგია.

საკრედიტო რისკი

- საკრედიტო რისკი არის საფრთხე, რომ მსესხებელმა ან კონტრაგენტმა ვერ შეასრულოს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულება;
- საკრედიტო რისკი იყოფა ორ მსხვილ ნაწილად: ინდივიდუალური სესხის (ტრანზაქციის) რისკი და საკრედიტო პორტფელის რისკი;
- ინდივიდუალური სესხის (ტრანზაქციის) რისკის მართვის ინსტრუმენტები;
- ტრანზაქციის შეფასების (ფინანსური ანალიზის) გამართული პროცესი;
- სპეციალიზირებული კადრები, რომლებიც აანალიზებენ კონკრეტული მიმართულების სესხებს, მიკრო სესხის ექსპერტი და მცირე და საშუალო სესხის ექსპერტი;
- საკრედიტო კომიტეტი, რომელიც განიხილავს სესხის ექსპერტის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ;
- საკრედიტო კომიტეტი არის მიუკერძოებელი და ობიექტური ორგანო, რომელსაც ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე აქვს შესაბამისი არგუმენტი;
- საკრედიტო კომიტეტი ხელმძღვანელობს პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპით, რაც გულისხმობს კლიენტისთვის ზედმეტი საკრედიტო ტვირთის არიდებას;
- სესხის გაცემის შემდგომი მონიტორონგის სისტემა, რომელიც აფასებს სესხის გაცემის შემდგომ კლინტის ფინანსურ მდგომარეობას, რათა დროულად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება;
- საკრედიტო რეიტინგის და საკრედიტო სქორინგის სისტემა;
- პორტფელის საკრედიტო რისკის მართვის ინსტრუმენტები;
- პორტფელის დივერსიფიკაციის ლიმიტები;
- რისკის მოდელირება;
- ვინტაჯ ანალიზი;
- შესაძლო საკრედიტო დანაკარგების რეზერვირების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სისტემა;
- საკრედიტო რისკის მართვის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ქმედებები;
- პორტფელის რისკის მართვის სტრეს ტესტის მოდელების მომზადება და დანერგვა.

საოპერაციო რისკი

- საოპერაციო რისკი არის არაადექვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების შედეგად, ასევე , ადამიანებით და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით გამოწვეული დანაკარგების რისკი. აღნიშნული განმარტება ასევე მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ არ განიხილავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.

საოპერაციო რისკის მართვის ინსტრუმენტები:

- საოპერაციო რისკის მართვის პროცესი გაწერილია შესაბამის პოლიტიკაში, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის რისკის მადის დოკუმენტთან და მოიცავს საოპერაციოს რისკის მართვის ინსტრუმენტებს, რაც გამოიყენება რისკის იდენთიფიკაციის, გაზომვის და შემცირებისთვის;
- საოპერაციო რისკის მართვისთვის უმნიშვნელოვანესია სწორი კომუნიკაცია კომპანიის თანამშრომლებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა მათგანის ჩართულობა საოპერაციო რისკის მართვაში;
- რისკის მართვის გარემო, რომელსაც ქმნის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი, რაც ადასტურებს იმას, რომ კომპანია ორიენტირებულია ქონდეს რისკის მართვის გამართული და სტანდარტებთან შესაბამისი სისტემები;
- საოპერაციო რისკის შემთხვევების შეგროვების ბაზა და მისი ანალიზი, რომლის მიზანია მომეტებული რისკის პროცესების ანალიზი და კონტროლის მექანიზმების სისუსტეების აღმოჩენა;
- ახალი და განახლებული პროცესის ანალიზის შედეგად, ახალი რისკების აღმოჩენის პროცესი;
- საიდუმლო შეტყობინების ცხელი ხაზი, რომელიც განკუთვნილია კომპანიის თანამშრომლებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება სრული კონფიდენციალურობის გაარანტიით, გაამჟღავნონ მართვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია პოტენციური საფრთხის და უკვე მომხდარი თაღლითობის ან სხვა საოპერაცო რისკების შესახებ;
- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის გამართული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კრისტალის ინტელექტუალური საკუთრების დაცულობას;
- საოპერციო რისკის მართვის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ქმედებები;
- რისკის თვითშეფასების პროცესის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს რისკების შეფასებას ბიზნეს ხაზების მიმართულებით;
- მთავარი რისკის ინდიკატორების პროცესის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მომეტებული რისკის შემცველი ოპერაციების ადრეულ აღმოჩენას;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პროცესის დახვეწა, რათა კომპანია მაქსიმალურად

იყოს დაცული კიბერ შეტევებისგან და ინფორმაციის გადინების სხვა საფრთხეებიდან.

ლიკვიდურობის რისკი

- ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის რისკი, დათქმულ ვადაში ვერ შეძლოს ვალდებულებების დაფარვა;
- ლიკვიდურობის რისკი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:
  - **საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო, ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით;**
  - **დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.**

ლიკვიდურობის რისკის მართვის ინსტრუმენტები:

- შემოსავლების და ვალდებულების ვადიანობის სხვაობის ანალიზი – მნიშვნელოვანია შემოსავლების და ვალდებულებების ვადა თანხვედრაში იყოს, რათა კომპანიას არ შეექმნას ვალდებულების დროულად გადახდის საფრთხე;
- კრედიტორთა დივერსიფიკაცია, კომპანია დაფინანსებას იღებს საერთაშორისო და ადგილობრივი კრედიტორებისგან, ცალკეული ვალდებულების მოცულობა შეზღუდულია შესაბამისი ლიმიტით, რაც გამორიცხავს კომპანიის დამოკიდებულებას რომელიმე მსხვილ კრედიტორზე;
- ლიკვიდურობის რისკის ანალიზისთვის გამოიყენება ფულადი სახსრების მოძრაობის სტატისტიკური მონაცემები და ბაზარზე არსებული ახალი რეალობის გათალისწინებით, შემუშავდება დეტალური ქმედებები ლიკვიდურობის რისკის სამართავად;
- ლიკვიდურობის რისკის ანალიზისთვის გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:
  - **სწრაფი ლიკვიდურობა (1 თვემდე ვადის ლიკვიდური აქტივები/1 თვემდე ვალდებულებები >150%-ზე ;**
  - **3 თვემდე ლიკვიდურობა (3 თვემდე ვადის ლიკვიდური აქტივები/3 თვემდე ვალდებულებები >100 %-ზე ;**
  - **ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ლიკვიდური აქტივები/1 წლამდე ვალდებულებებთან >=18%);[1]**
- ლიკვიდურობის სტრეს ტესტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კრიზისული სცენარის დადგომის შემთხვევაში, კომპანიის მდგრადობას გადახდისუნარიანობის კუთხით;
- კომპანიას გააჩნია შიდა (ფილიალებს და სერვისცენტრებს შორის) ლიკვიდურობის მართვის გამართული პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანიის ხაზინის სამსახური.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი და აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO), რომელიც შედგება მმართველი გუნდისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. ნორმალურ საბაზრო პირობებში, ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად წარედგინება რისკების მართვის კომიტეტს. ლიკვიდურობის მართვის გადაწყვეტილებებს იღებს აქტივების და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

[1] 2018 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ევალებათ ლიკვიდობის 16%-იანი მაჩვენებლის დაცვა 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით, შემდეგ კი 18%-იანი მაჩვენებელი უნდა იყოს დაცული. აღნიშნულის გამო კომპანიას მოუწევს ყოველდღიური ფულადი ნაშთების ზრდა დაახლოებით 5-6 მლნ ლარით, რომელიც გამოიწვევს კომპანიის რესურსების ხარჯის ზრდას , წლიურად დაახლოებით 700 ათასი ლარის ოდენობით.

სავალუტო რისკი

- სავალუტო რისკი არის ვალუტის გაცვლითი კურსის შედეგად მოსალოდნელი ზარალის ალბათობა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობით სხვადასხვა ვალუტაში.
- სავალუტო რისკის მართვის ინსტრუმენტები:
- სავალუტო აგრეგატული ღია პოზიციის ლიმიტი, რაც გულისხმობს, რომ აგრეგატული დისბალანსი აქტივებსა და ვალდებულებს შორის უცხოურ ვალუტაში არ უნდა იყოს კაპიტალის 10%-ზე მეტი; სავალუტო პოზიციის 5%-მდე გაღების უფლება აქვს კომპანიის ხაზინადარს , 5-დან 10% კი გადაწყვეტილებას იღებს უფროსი ფინანსური ოფიცერი;
- უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები საშუალებების ჰეჯირება ეროვნულ ვალუტაში;
- სვოპ ოპერაციები;
- სავალუტო რისკის მართვის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ქმედებები;
- VAR განსაზღვრა და მის შედეგად მოსალოდნელი გონივრული დანაკარგის პროგნოზირება;
- სავალუტო პოზიციის მართვას ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ხაზინის სამსახური.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

- საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთით გაცემულ სესხებსა და ფიქსირებული და ცვლადი განაკვეთით მიღებულ ვალდებულებებს შორის გარკვეულ ვადაში სხვაობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგის ალბათობა.
- საპროცენტო რისკის მართვის ინსტრუმენტები:
- კომპანიას ყველა სესხი გაცემული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში, ხოლო ვალდებულების ნაწილი აღებული აქვს ცვალებად განაკვეთში, შესაბამისად, რისკის შესამცირებლად დაწესებულია ლიმიტი. თუ ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების მოცულობა კაპიტალის 10% მეტია , უფროსი ფინანსური ოფიცრის ანალიზის საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ლარიზაციის პროცესში გაიზარდა ლარზე მოთხოვნა, ხოლო ლარის რესურსების გაცემა ძირითადად ხდება ცვალებადი განაკვეთით , რაც ზრდის აღნიშნულ რისკს;
- საპროცენტო რისკის სტრეს ტესტი, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული დაშვების შემთხვევაში მოსალოდნელი დანაკარგების მოცულობას. აღნიშნული სტრეს-ტესტი მზადდება ყოველთვიურად და გადაეცემა მენეჯმენტსა და ალკო კომიტეტს.

კაპიტალის ადეკვატურობა

- კაპიტალის ადეკვატურობა არის კომპანიის უნარი, საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოს მოსალოდნელი მსხვილი დანაკარგების დაფინანსება;
- კაპიტალის ადეკვატურობა რეგულირდება ორი კომპონენტით: ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს კაპიტალის და მოზიდული სახსრების თანაფარდობას მოზიდული სახსრები/კაპიტალთან არამუტეს 5%-ისა, და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს კაპიტალით დაფინანსებული საკუთარი აქტივების წილს, კაპიტალი/აქტივებთან არანაკლებ 18%-ისა[2].

[2] 2018 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ევალებათ კაპიტალის ადეკვატურობის 16%-იანი მაჩვენებლის დაცვა 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით , შემდეგ კი 18%-იანი მაჩვენებელი უნდა იყოს დაცული. 2019 წლის 1 ივლისიდან 18%-იანი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლის დაცვის მიზნით , კომპანიის პორტფელის დაგეგმილ პარამეტრებში შეუზღუდავად ზრდის უზრუნველსაყოფად, იგეგმება დამატებითი კაპიტალის მოზიდვა 2019 წელს

კრისტალი
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

2017

/crystaljscmfo *2244 | 032 2 02 20 20 www.ir.crystal.ge

[illegible] 301825974 49

[illegible] 25.05.2018 წ

[illegible] დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

[illegible] თამარ ჩაფიძე

[illegible] ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ #7 ბ25

[illegible] 599237708

[illegible] 55861421684318

[illegible] ვინაიდან ოფისში წელის ოფიციალური მთარგმნელი მე, ნოტარიუსი თამარ ჩაფიძე, რომლის სანოტარო მიერო [illegible] ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზირი #7 ბ.25- ში, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის, ქალბატონის [illegible] 22.05.1977 წელს ჭყალტუბოში, მცხ. ქ. ჭყალტუბო, [illegible] პირადობის მოწმობის 13ბ46177, დიპლომის [illegible] 2000 წელს, ქუთაისის ს. შესხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური [illegible] #55-ზ) ხელმოწერის სიმამდვილეს, მის მიერ წარმოდგენილი [illegible] ორგანიზაცია კრისტალის ფინანსური ანგარიშგება [illegible] 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის [illegible] 2018 წლის 4 მაისს 3.8ს "დელოიტ და ტუშის" სახელით, თამარ [illegible] ენაზე თარგმანზე, რომელიც შესრულებულია [illegible] პირადობა მის მიერ წარმოდგენილი [illegible] დოკუმენტით და დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის [illegible] ხელმოწერის [illegible] ხელმოწერილ თარგმანზე. და არ ადასტურებს დოკუმენტის ნამდვილობას, ასევე [illegible] დოკუმენტის დედნის კანონიერებისა და ნამდვილობის შესახებ, ასევე იმის [illegible] დედანი კანონიერად ძალაშია ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს ან [illegible] მატერიალურად ან შინაარსობრივად) მთარგმნელი პასუხისმგებელი არ არის თარგმნის ხარისხზე და იგი იძლევა თარგმნის სისწორის გარანტიას. ხელმოწერა მოხდა 10 გვერდზე [illegible] ქალაქი ქუთაისი, ანაბეჭდად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის # 507 [illegible] (3.31.3) ასევე სანოტარო რეესტრის სიგელში 2 ფორმა ლარი (3.39.1) სულ 22 ლარი

ნოტარიუსი: თამარ ჩაფიძე

სანოტარო მოქმედებასა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეჩერების, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადაბარებება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

25.05.2018, 12:0

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში 2-4

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 8

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 9

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ 9
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 10
3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები 28
4. ფასს-ში შეტანილი ცვლილებები, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ უწყისში წარმოდგენილ ოდენობაზე 30
5. რეკლასიფიკაციები 35
6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 35
7. საკომისიო შემოსავალი 35
8. თანამშრომელთა ხარჯები 35
9. სხვა საოპერაციო ხარჯები 37
10. დაბეგვრა 37
11. ფული და ფულის ექვივალენტები 39
12. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 39
13. კლიენტებზე გაცემული სესხები 41
14. ძირითადი საშუალებები 44
15. არამატერიალური აქტივები 45
16. სხვა აქტივები 45
17. ნასესხები სახსრები 45
18. სავალო ფასიანი ქაღალდები 48
19. სხვა ვალდებულებები 49
20. სააქციო კაპიტალი და რეზერვები 49
21. საოპერაციო იჯარა 51
22. პირობითი ვალდებულებები 51
23. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები 52
24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 53
25. კაპიტალის მართვა 55
26. რისკების მართვის პოლიტიკა 55
27. შემდგომი მოვლენები 78

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში "კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 4 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 4 მაისი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში "კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *'აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი `პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი' (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსს, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

როგორც მე-2 შენიშვნაშია მითითებული, 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ ადრეულად მიიღო 2014 წლის ივლისს გამოცემული ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, თავდაპირველი ასახვის თარიღით 2016 წლის 1 იანვარი. ფასს 9-ის გამოყენება არსებით გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამ საკითხთან მიმართებაში არ არის პირობითი.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას ამ ანგარიშზე. მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მმარწმუნებელი ტიპის მოსაზრებას მის თაობაზე.

ფინანსური ანგარიშგების, ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციასთან მიმართებით არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოება

კომპანიის 2016 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომლის 2017 წლის 7 ივნისის დასკვნის თანახმად მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებზე იყო უპირობო.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის შესაბამისად საქმიანობის გაგრძელების უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. საფუძვლიანი რწმენა წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმენას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურ ზეგავლენას ახდენდეს, ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში მივმართავთ პროფესიულ შეფასებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვახდენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით წარმოებულ აღრიცხვასთან დაკავშირებით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების

საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი მოსაზრებით. არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით საქმიანობა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებთან ერთად, ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით
თამარ ნაცვლიშვილი

2018 წლის 4 მაისი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსვლების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	6	53,847	43,250
საპროცენტო ხარჯი	6	(13,754)	(10,132)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვამდე		**40,093**	**33,118**
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე	13	(3,712)	(2,935)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**36,381**	**30,183**
საკომისიო შემოსავალი	7	1,719	2,335
წმინდა (ზარალი)/მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	12	(3,877)	2,186
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		893	(5,238)
სხვა შემოსავალი		30	70
წმინდა არასაპროცენტო ხარჯები		**(1,235)**	**(647)**
საოპერაციო შემოსავალი		**35,146**	**29,536**
თანამშრომელთა ხარჯები	8	(14,157)	(11,779)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	14, 15	(1,919)	(1,617)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(9,005)	(6,929)
მოგება მოგების გადასახადამდე		**10,065**	**9,211**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(1,930)	(1,872)
წლის წმინდა მოგება		**8,135**	**7,339**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
სულ სრული შემოსავლები		**8,135**	**7,339**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 4 მაისი
საქართველო, თბილისი

9-78 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	14,320	10,355
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	12	1,585	7,657
კლიენტებზე გაცემული სესხები	13	198,045	145,510
ძირითადი საშუალებები	14	5,309	4,562
არამატერიალური აქტივები	15	1,325	1,190
გადავადებული საგადასახადო აქტივები	10	1,954	1,457
სხვა აქტივები	16	3,615	2,268
სულ აქტივები		**226,153**	**172,999**
ვალდებულებები			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12	591	-
ნასესხები სახსრები	17	167,700	132,142
სავალო ფასიანი ქაღალდები	18	9,880	-
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		297	830
სხვა ვალდებულებები	19	1,369	1,001
სულ ვალდებულებები		**179,837**	**133,973**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	3,052	3,024
საემისიო კაპიტალი		12,551	12,130
წილობრივი გადახდის რეზერვი	20	68	362
გაუნაწილებელი მოგება		30,645	23,510
სულ კაპიტალი		**46,316**	**39,026**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**226,153**	**172,999**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____
დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 4 მაისი
საქართველო, თბილისი

9-78 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	წილობრივი გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვარი	**2,208**	**2,631**	**488**	**16,545**	**21,872**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	7,339	7,339
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	757	8,786	-	-	9,543
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(374)	(374)
წილობრივი გადახდის დარიცხვა	-	-	646	-	646
სააქციო კაპიტალის წილობრივი გადახდით გამოწვეული ზრდა	59	713	(772)	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	**3,024**	**12,130**	**362**	**23,510**	**39,026**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	8,135	8,135
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(1,000)	(1,000)
წილობრივი გადახდის დარიცხვა	-	-	155	-	155
სააქციო კაპიტალის წილობრივი გადახდით გამოწვეული ზრდა	28	421	(449)	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	**3,052**	**12,551**	**68**	**30,645**	**46,316**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____
დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 4 მაისი
საქართველო, თბილისი

9-78 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადამდე		10,065	9,211
კორექტირებები:			
წმინდა ზარალი/(მოგება) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		3,877	(2,186)
ცვეთა და ამორტიზაცია	14, 15	1,919	1,617
საპროცენტო შემოსავალი	6	(53,847)	(43,250)
საპროცენტო ხარჯი	6	13,754	10,132
გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	13	3,712	2,935
წმინდა (მოგება)/ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		(893)	5,238
ძირითადი საშუალებების რეალიზაციისგან მიღებული ზარალი		37	10
კაპიტალში გამოქვითული წილობრივი გადახდა		155	588
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილების განხორციელებამდე		**(21,221)**	**(15,705)**
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებები:			
ვადიანი ანაბრების შემცირება		-	100
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)		2,786	(1,233)
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა		(56,732)	(37,046)
სხვა აქტივების ზრდა		(1,334)	(977)
სხვა ვალდებულებების ზრდა		294	62
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება		**(54,986)**	**(39,094)**
მიღებული პროცენტი		52,898	41,339
გადახდილი პროცენტი		(13,093)	(9,335)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,960)	(1,962)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(39,362)**	**(24,757)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,437)	(2,420)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(432)	(237)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		31	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(2,838)**	**(2,657)**
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	17	118,487	64,658
სესხების დაფარვა	17	(81,371)	(41,058)
სავალო ფასიანი ქაღალდის გამოშვებით მიღებული შემოსავლები	18	9,871	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავლები	20	-	9,601
გადახდილი დივიდენდი	20	(1,000)	(475)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		**45,987**	**32,726**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**3,787**	**5,312**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებული ნაღდი ფულის ბალანსზე		178	389
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	10,355	4,654
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	11	**14,320**	**10,355**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____

დავით ბენდელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

2018 წლის 4 მაისი
საქართველო, თბილისი

9-78 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2007 წლის 23 აგვისტოს ფონდი კრისტალის გადაწყვეტილების საფუძველზე (დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 21 აგვისტოს #20 გადაწყვეტილება) 2006 წლის 18 ივლისის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა #72.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

კომპანიის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება საქართველოში და მისი კლიენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მიკრო-სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო-სესხები, საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სესხები, კორპორატიული სესხები და სხვ.

საქართველოში კომპანიას აქვს ორმოცი ფილიალი და თექვსმეტი სერვის-ცენტრი (ე.წ. „ჯიხურები"). კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქუთაისში.

2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი აქციონერები:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
პირველი რიგის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
ფონდი კრისტალი	47.52%	47.96%
AGRIF COÖPERATIEF U.A.	37.23%	37.57%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.41%	12.52%
კომპანიის ხელმძღვანელობა	2.84%	1.95%
სულ	**100%**	**100%**

2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთავარი აქციონერია ფონდი კრისტალი, რომელიც ფლობს აქციების 47.52%-ს.

ფონდი კრისტალი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად:მისი წევრები არ არიან ფონდის მესაკუთრეები და არ სარგებლობენ ეკონომიკური უფლებებით. 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის წევრები და მაკონტროლებელი მხარეები არიან: არჩილ ბაკურაძე, პაატა წოწონავა, ალუ გამახარია, ფრედრიკ რინოლდ ჰაიდ-ჩემბერსი, კის იანგი და ნიკოლოზ გეგეშიძე. წევრებს ფონდ კრისტალში თანაბარი ხმის მიცემის უფლება აქვთ.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ("ფასს") შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ, ხოლო ინტერპრეტაციები ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტს („ფასსიკ").

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის სხვა მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება განისაზღვრება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით.
გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმისდა მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში.

აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებსა ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ლ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს, მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. კომპანია მოგება-ზარალის ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს და სხვა ერთობლივ შემოსავლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშში საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივების ერთიანი საბალანსო ღირებულების მიმართ, გარდა:

- შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა. ამ ფინანსური აქტივებისთვის კომპანია იყენებს დაკორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს თავდაპირველად აღიარებული ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდეგში გახდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის კომპანია იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ან შემოსავლების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანგარიშისას კომპანია აფასებს ნაღდი ფულის ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გარდა. ანგარიშში შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ მიღებული და გადახდილი ყველა გადასახადი და პუნქტი, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ყველა სხვა პრემიისა და დისკონტის განუყოფელ ნაწილს.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აისახება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება ფინანსურ ინსტრუმენტში.

როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულებამ შეიძლება წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ განაკვეთზე. სადაც არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულებამ გამოიწვიოს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ისე, რომ არ იწვევს სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ ადრეულად მიიღო 2014 წლის ივლისს გამოცემული ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, საწყისი აღიარების თარიღით 2016 წლის 1 იანვარი. ფასს 9-ის მოთხოვნები ბასს 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) მნიშვნელოვან ცვლილებას შეიცავს. ახალი სტანდარტი ფუნდამენტურად ცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვას და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის კონკრეტულ ასპექტებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: აქტივები, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით (FVTPL). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ჩაანაცვლებს ‘გაწეული ზარალის’ მოდელს ბასს 39-ში ‘მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ს შემთხვევაში.

ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პრინციპების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად. ფინანსური სახსრებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებული განსხვავებების აღიარება გაუნაწილებელი მოგებაში ფასს 9-ის მიღების შედეგად ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

ახსნა-განმარტებები, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებს, იხ. ქვემოთ.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარების მომენტში, კომპანია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება, როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშვება იმ ფაქტორის (მათ შორის,

დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის, კომპანიას შეუძლია განახორციელოს შემდგომი რეალური ღირებულების ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება ხორციელდება ყოველი ინვესტიციისთვის ცალკე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში . აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

საწყისი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რომელიც ექვემდებარება ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ასახვით ბათილდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;

კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
წარმოებული ფინანსური აქტივები	სხვა ბიზეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული
სალარო ნაშთი ბანკებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

შეფასება, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიციკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან და ბანკებში არსებული თავისუფალი სახსრებისგან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის ვადით, რომლებიც თავისუფალია ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდის კონტრაქტებსა და სავალურო სვოპ-ოპერაციებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული

ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარაალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (იწოდება, როგორც 1-ლი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (იწოდება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანასური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურად სესხების ისეთი პორტფელებისთვის, რომელთაც ეკონომიკური რისკების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო განსაზღვრის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები</u>

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი, მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუ კი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის კომპანია ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში.

ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის (კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

კომპანია აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. კომპანია დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან კომპანიის დონეზეა შემუშავებელი, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

დამატებითი ინფორმაცია დეფოლტის განმარტების შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კომპანია გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ აღინიშნებოდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია მოცემულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: კომპანიის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია საპროგნოზო ინფორმაციის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ ანგარიშგების დღისთვის დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია რამდენიმე ეკონომიკური სცენარის გამოყენება. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გამოყენებით მიიღება დეფოლტის ალბათობის სხვადასხვა მნიშვნელობები. სწორედ ამ სხვადასხვა სცენარების შეწონვის საფუძველზე მიიღება დეფოლტის შეწონილი საშუალო სიდიდე, რომლის საფუძველზეც დგინდება, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

საპროგნოზო ინფორმაციაში შედის საქართველოს ეკონომიკის სამომავლო პერსპექტივები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოპოვებულია ეკონომისტების ანგარიშებიდან, ექსპერტების დასკვნებიდან და შესაბამისი ორგანიზაციებიდან, ასევე ფაქტობრივი და საპროგნოზო ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებიდან.

კომპანია მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ მხარეებს მიაკუთვნებს რისკის შესაბამის ჯგუფებს მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღაირების მომენტში.

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები საპროგნოზოა და კომპანია იყენებს იმავე მეთოდოლოგიებსა და მონაცემებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

რაოდენობრივი ფაქტორები, რომლებიც მიუთითებენ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე, ასახულია დეფოლტის ალბათობის მაჩვენებელზე დროულად. თუმცა, კომპანია ზოგიერთ ხარისხობრივ ფაქტორს იყენებს დამოუკიდებლად იმის შესაფასებლად, ნამდვილად მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. კომპანია ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების გადავადების ალბათობას, საკრედიტო ქულებსა და ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა უმუშევრობა, გაკოტრება და გარდაცვალება.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფარდობითი მაჩვენებელია, აბსოლუტური პირობებით, დეფოლტის ალბათობაში იგი უფრო მნიშვნელოვანი იქნება დაბალი საწყისი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ვიდრე მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

როდესაც ადგილი აქვს 30 დღიან ვადა გადაცილებას, კომპანია თვლის, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება და აქტივი იმყოფება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ე.ი. ზარალის შეფასების რეზერვი იზომება, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე.

დამატებითი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეღავათების წარდგენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში მეთოდით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის შეფასების რეზერვის აღიარება არ ხდება, რადგან საბალანსო ღირებულება მოცემულია რეალური ღირებულებით.
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც უზრუნველყოფა; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც წარმოდგენილ, ისე წარმოუდგენელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა წარმოდგენილია, როგორც წარმოდგენილი კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე წარმოდგენილია, როგორც უზრუნველყოფა.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება ხდება, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში.

კომპანია აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას კომპანია აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი (მოდიფიცირებული) პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივ ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდებისკატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლას, საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, გადახდის ვადის დადგომას, მოლაპარაკებებს, თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე);
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, კომპანია თვლის, რომ ახალი მოლაპარაკება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი მოლაპარაკებისგან და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ხდება რეზერვის ხელმეორედ გაზომვა, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების

წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. კომპანია მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ახალი პირობების მიხედვით ხომ არ რჩება მსესხებელი ძველი სტატუსით.

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, კომპანია ადგენს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა კომპანიის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს კომპანიის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიციკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, კომპანია მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ კომპანია ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ანგარიშში.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში) ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ კომპანია არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია აქტივისა და თანხების გადახდაზე ვალდებულების ინტერესი. თუ კომპანია არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, როდესაც კომპანიას არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ), სანამ არ იარსებებს ანაზღაურების რეალური პერსპექტივა. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერისთვის თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, კომპანიის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

ფინანსური ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი

გამოცემული სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან როგორც სააქციო კაპიტალი ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის უზრუნველყოფის თაობაზე ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების გაცვლის თაობაზე სხვა პირთან ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არახელსაყრელია კომპანიისთვის, ან ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც შეიძლება გაფორმდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფარგლებში და არ წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც არის წარმოებული ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებშიც კომპანია შეიძლება ვალდებული იყოს წარმოადგინოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები სხვადასხვა რაოდენობით, ან იყოს ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს საკუთარ აქციებზე, რომელიც შეიძლება შესრულდეს მეთოდებით, გარდა ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული თანხის გაცვლისა კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ნაზრდი ხარჯების აღიარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, ხდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო თანხების გამოკლებით.

საემისიო კაპიტალი

სააქციო კაპიტალის შემთხვევაში, სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტობრივად მიღებულ ანაზღაურებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება საემისიო კაპიტალის სახით.

წილობრივი გადახდის რეზერვი

თანამშრომელთათვის წილობრივი სარგებლის გადახდა ხდება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში. ამ გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია ნაჩვენებია მე-8 შენიშვნაში.

თანამშრომელთათვის მინიჭებული წილების რეალური ღირებულება განისაზღვრება მინიჭების დღეს და აღიარდება კომპანიის კაპიტალში, კერძოდ - წილობრივი გადახდის რეზერვში. გადასაცემი აქციების რაოდენობა განისაზღვრება არა-საბაზრო მაჩვენებლებით. ეს დაშვებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომელთა შედეგადაც კორექტირებები ხორციელდება მოგება-ზარალსა და წილობრივი გადახდის რეზერვში.

დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება საბალანსო მოგების განაწილების სახით მათი გამოცხადების პერიოდში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, ან როგორც «მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები» ან «სხვა ფინანსური ვალდებულებები".

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულად ითვლება, თუ იგი (i) განკუთვნილია გასაყიდად ან (ii) დასახელებულია მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულად.

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში ნებისმიერი მოგება-ზარალი, რომელიც წარმოიშვება განმეორებითი გაზომვების დროს, ასახულია მოგება-ზარალში. მოგება-ზარალში აღიარებულ წმინდა მოგება/ზარალში შედის ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილი ნებისმიერი პროცენტი და იგი შესულია მოგება-ზარალის ანგარიშში, კერძოდ, „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა შემოსავლის“ პუნქტში .

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, სასესხო კაპიტალის, სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების სავალო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“ შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებითაც საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (საჭიროებისამებრ), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში. დეტალური ინფორმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ იხ. «წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილში» ზემოთ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სხვაობა იმ ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა, რომლის აღიარებაც შეწყდა, და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სასესხო ინსტრუმენტს არსებითად შეცვლილი პირობების მქონე სხვა ინსტრუმენტით, ასეთი გაცვლა იწვევს თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაუქმებასა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას. ანალოგიურად, კომპანია მიიჩნევს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითად შეცვლას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაუქმებასა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას. ითვლება, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების თანახმად, ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის მიღებული და თავდაპირველი ეფექტური განაკვეთის გათვალისწინებით დისკონტირებული თანხების წმინდად გადახდილი ყველა თანხისაც, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებისგან დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ექვემდებარება გადაფასებას ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

კომპანიამ წლის დასასრულისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება, როგორც საწყის ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ღირებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების შეცვლასთან, აღირიცხება კომპონენტის საბალანსო ღირებულებით, თუ მომავალში სავარაუდოა მოცემული კომპონენტიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიისთვის და შესაძლებელია ხარჯის ზუსტად გაზომვა. ხდება შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აისახება მოგება-ზარალში, როგორც გაწეული ხარჯი.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას და გათვალისწინებულია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო მოხმარების ვადის გასვლის შემდეგ. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მოხმარების შემდეგ ვადებში:

- შენობა-ნაგებობები 30 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი;
- ავეჯი 3-დან 6 წლამდე;
- გამოთვლითი ტექნიკა 3-დან 6 წლამდე;
- იჯარით გადაცემული საკუთრების გაუმჯობესება 3-დან 5 წლამდე;
- სხვა 2-დან 6 წლამდე.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდში. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში იმის შესაფასებლად, ხომ არ არის ისინი აღრიცხული მათ აღდგენით ღირებულებაზე მეტი თანხით. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად საჭირო ხარჯებსა და გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულება აჭარბებს ანაზღაურებად ოდენობას, ხდება აქტივების ჩამოწერა ანაზღაურებად ოდენობამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აისახება საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდეგ ხდება ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხების კორექტირება სამომავლო პერიოდებისთვის რათა მოხდეს აქტივის ღირებულების გადანაწილება დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე სისტემატიურ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების მიახლოებითი ვადები 5-დან 10 წლამდე პერიოდს შეადგენს.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების გაუფასურების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება, უფასურდებოდეს.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს მათი გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასდება ხდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველიც არსებობს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და მოხმარებისთვის ჯერ-ჯერობით არახელმისაწვდომი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი. ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებად ღირებულებას შორის. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები საბალანსო ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების საბაზრო შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებელ აღიარებას ექვემდებარება მოგება-ზარალში.

გაუფასურების დანაკარგების შეწყვეტის შემთხვევაში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მოსალოდნელ აღდგენით ღირებულებამდე, ისე რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება რომ არ მომხდარიყო. გაუფასურების დანაკარგების შეწყვეტა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

დასაკუთრებული აქტივები (ქონება)

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანია დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი სესხის თანხების ანგარიშსწორების ფორმას და თვლის, რომ იგი არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შესყიდული და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი.

დასაკუთრებული ქონების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი – საბალანსო ღირებულებისა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი შემოსავლიდან მოქმედი ან ანგარიშგების დღისთვის არსებითად ძალაში შესული საგადასახადო ტარიფების გამოყენებითა და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის კოერქტირების გათვალისწინებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელით). წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში. კანონი ამოქმედდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდების მანძილზე ყველა პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, კომპანიები გადასახადს იხდიან მოგების განაწილების მომენტში, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს განაწილებული მოგება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 წელს ან მომდევნო წლებში.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის.

შემდეგი დროებითი სხვაობები არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის: გუდვილი, აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება, რომელიც არ მოქმედებს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე და დროებითი სხვაობები, რომლებიც შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მათთან დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტირებას გულისხმობს, როდესაც მშობელ საწარმოს შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობების გაუქმება და შესაძლოა, რომ დროებითი სხვაობა არ გაბათილდეს უახლოეს მომავალში. წარმოდგენილი გადავადებული გადასახადის თანხა, ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელ რეალიზაციას ან ანგარიშსწორებას 2019 წლის 1 იანვრამდე, ანგარიშგების წარდგენის დღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს 2019 წლის 1 იანვრამდე, რასთან მიმართებითაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას დროებითი სხვაობები, გამოყენებული საგადასახადო ზარალი და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო დღეს და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს იმის ვარაუდი, რომ შესაბამისი საგადასახადო სარგებელი რეალიზებული იქნება.

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ რაიმე სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ და შესაბამისად არ წარმოიშვება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში სხვა მრავალი გადასახადიც მოქმედებს, რომელთა შეფასებაც ხდება კომპანიის საქმიანობის მიხედვით. აღნიშნული გადასახადები მოცემულია, როგორც საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში.

თანამშრომლების ანაზღაურება

წილობრივი გადახდის პირობები

დაქირავებულ თანამშრომელთან წილობრივი ინსტრუმენტით განსაზღვრული წილობრივი გადახდის რეალური ღირებულება, შეფასებული წილობრივი უფლების მინიჭების თარიღისათვის, აღიარდება ხარჯისა და შესაბამისი საკუთარი კაპიტალის ზრდის სახით, უფლების გადაცემის პერიოდისთვის. ხარჯად აღიარებული თანხა კორექტირდება გასაცემი თანხების რაოდენობის შესაბამისად, რომლისთვისაც საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნას შესაბამისი მომსახურებისა და არასაბაზრო მაჩვენებლის პირობები ისე, რომ საბოლოოდ აღიარებული ხარჯი ეფუძნებოდეს იმ აქციების რაოდენობას, რომლებიც აკმაყოფილებენ მომსახურების გაწევისა და არასაბაზრო მაჩვენებლის პირობებს უფლების გადაცემის თარიღისთვის. იმ წილობრივი გადახდებისთვის, რომელთათვისაც არ არსებობს უფლების გადაცემის პირობები, რეალური ღირებულება უფლების მინიჭების თარიღისთვის განისაზღვრება ისე, რომ შესაბამისად მოხდეს პირობების ასახვა და არ იყოს საჭირო მოსალოდნელ და ფაქტობრივ შედეგებს შორის კორექტირება.

თანამშრომლის მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამშრომლის მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება დაუქვითავ საფუძველზე და აისახება ხარჯში შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება გადასახდელი თანხიდან მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგებაში მონაწილეობის პროგრამების საფუძველზე, თუ კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს.

იჯარა

საოპერაციო საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც წრფივი დანახარჯი იჯარის მოქმედების ვადაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე სისტემატური საფუძველი უფრო კარგად ახასიათებს დროის პერიოდს, რომლის დროსაც ხდება იჯარით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება. საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებებით წარმოშობილი პირობითი საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც პერიოდის ხარჯი.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებების გაფორმების მიზნით გამოიყენება საიჯარო შეღავათები, ასეტთი შეღავათების აღიარება მოხდება ვალდებულებად. შეღავათების საერთო სარგებელი აღიარებულია, როგორც საიჯარო ხარჯის წრფივი შემცირება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე სისტემატური საფუძველი იმ დროის პერიოდს უფრო კარგად ახასიათებს, რომლის დროსაც ხდება იჯარით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება, ხოლო აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის შექმნას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუ გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

საგარანტიო უზრუნველყოფა

კომპანია ითხოვს უზრუნველყოფას კლიენტების ვალდებულებებზე, როდესაც აღნიშნული ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღებას და კომპანიას აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-2 შენიშვნაში, კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ვითარების შესაბამის ფაქტორს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული დაშვებები (იხილეთ ქვემოთ), იმ გათვლების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, თუ ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები ეხება მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას. დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხ. მე-2 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოობის მთავარი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომელთაც გამოიწვიეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლისთვის,

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო (ბუღალტრული) პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

  დამატებითი ინფორმაცია იხ. 26-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

  დამატებითი ინფორმაცია იხ. 26-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დეფოლტის ალბათობაზე (PD) სენსიტიურობის ანალიზიც.

- **ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

  დამატებითი ინფორმაცია იხ. 26-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი ცვეთის დანაკარგები (ზარალი). ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრებს. რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების შეცვლამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის/ამორტიზაციის მაჩვენებლის კორექტირება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღდგენა

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო დაწესებულებებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სხვა პირებისთვის. ახალი კოდექსით ცვლილებები შევიდა კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებასა და გაანგარიშებაში და ასევე, კომპანიის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებში/ვალდებულებებში. ახალი კოდექსით, კომპანიას არ ევალება მოგების გადასახადის გადახდა დაბეგვრამდე (2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე ან 2019 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე (კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო დაწესებულებებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის)), არამედ მხოლოდ მოგების დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით განაწილების შემდეგ. თუ აღნიშნული კანონი საბანკო სექტორისთვის ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვარს, იგი კიდევ უფრო დიდ უშუალო გავლენას იქონიებს გადავადებული გადასახადების გაანგარიშებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები/ვალდებულებები სრულად იქნება გამოყენებული კანონის ძალაში შესვლამდე ან გავლენა არ იქნება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ პრობლემა შეუქმნას ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლე პირებს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 1,954 ათასი ლარი და 1,457 ათასი ლარი შესაბამისად, 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასება

როგორც 24-ე შენიშვნაშია მითითებული, კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს. 24-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული უმთავრესი დაშვებების შესახებ და მათი სენსიტიურობის ანალიზი. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ შეფასების შერჩეული მეთოდები და დაშვებები მართებულია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისათვის.

4. ფასს-ში შეტანილი ცვლილებები, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ უწყისში წარმოდგენილ ოდენობაზე

მიმდინარე წელს, ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები იქნა მიღებული.

- შესწორებები ბასს7-ში *განმარტების ინიციატივა*;
- შესწორებები ბასს12-ში არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება;
- ფასს-ის წლიური გაუმჯობესობები 2014-2016 წლების ციკლი ფასს 12-ში შეტანილი შესწორებები.

ბუღალტრული აღრიცხვის ამჟამად გამოყენებული პოლიტიკები წინა ფინანსური წლების პოლიტიკების შესაბამისია. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილების გამომწვევი ახალი ან შესწორებული სტანდარტების ან ინტერპრეტაციის გამოყენება არ მომხდარა.

შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა“

კომპანიამ აღნიშნული ცვლილებები პირველად გამოიყენა მიმდინარე წლის განმავლობაში. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

ფინანსური სახსრებისგან (იხილეთ შენიშვნა 16) და სავალო ფასიანი ქაღალდებისგან (იხილეთ შენიშვნა 17). ცვლილებების გარდამავალ დებულებათა შესაბამისად, კომპანიამ არ განახორციელა შედარებითი ინფორმაციის გამჟღავნება წინა პერიოდთან მიმართებაში. აღნიშნულმა ცვლილებებმა არ იმოქმედა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს12-ში არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება;

კომპანიამ აღნიშნული ცვლილებები გამოიყენა პირველად მიმდინარე წლის განმავლობაში. ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ უნდა შეფასდეს მდგომარეობა, როდესაც, სამომავლო დასაბეგრი მოგება საკმარისია დროებითი სხვაობის გაქვითვაზე.

აღნიშნული ცვლილებები არ ახდენს ზემოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანიამ უკვე შეაფასა მომავალში დასაბეგრი მოგება, აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ში - 2014-2016 წლები ციკლი

კომპანიამ შეიტანა ცვლილებები ფასს 12-ში , რომელიც გაერთიანებულია ფასს 12-ის 2014-2016 წლების ციკლის ფასს-ის წლიურ გაუმჯობესებებში , პირველად მიმდინარე წლის განმავლობაში. სხვა შესწორებები, რომლების გაერთიანებულია აღნიშნულ პაკეტში არ არის სავალდებულოდ ეფექტური აღნიშნული მომენტისთვის და ისინი არ იქნება შემუშავებული კომპანიის მიერ მომავალში (იხილეთ ახალი და შესწორებული ფასს-ები, რომლებიც არის გამოშვებული, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ, სარეალიზაციო ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შეღავათია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

აღნიშნული ცვლილებები ზეგავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული ფასს-ები გამოშვებული, მაგრამ ჯერ არა ეფექტური

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი და განახლებული ფასს-ები, რომლებიც იქნა გამოშვებული, მაგრამ ჯერ არა ეფექტურია:

- შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და მასთან დაკავშირებული განმარტებები) [1];
- ფასს 16 იჯარა [2];
- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები[3];
- ფაისკ 22 სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება[1];
- ფაისკ 23 მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება[2];
- ცვლილებები ფასს 2-ში – იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით[1];
- ცვლილებები ფასს 10 და ბასს28-ში – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში[4];
- ცვლილებები ბასს40-ში – საინვესტიციო ქონების გადაცემა[1];
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად[1];
- ცვლილებები ფასს 9-ში – წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[2];
- ცვილებები ბასს28-ში – გრძელ ვადიანი წილებო ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში[2];
- წლიური ცვლილებები ფასს-ებში 2014-2016 წლების ციკლი[1];
- წლიური ცვლილებები ფასს-ებში 2015-2017 წლების ციკლი[2].

[1] ეფექტურია მიმდინარე წლის ჭრილში, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს. ადრე ნებადართული აპლიკაციის საფუძველზე
[2] ეფექტურია მიმდინარე წლის ჭრილში, რომელიც იწყება 20196 წლის 1 იანვარს, ადრე ნებადართული აპლიკაციის საფუძველზე
[3] ეფექტურია მიმდინარე წლის ჭრილში, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს, ადრე ნებადართული აპლიკაციის საფუძველზე
[4] ეფექტურია მიმდინარე წლის ჭრილში, რომელიც იწყება მის განსაზღვრამდე ან მისი განსაზღვრის შემდეგ. ადრე ნებადართული აპლიკაციის საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტი არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ახალი და განახლებული ფასს-ების აპლიკაციები, რომლებიც გამოშვებას ექვემდებარება, იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ პოზიციასთან და / ან კომპანიის ფინანსურ წარმოდგენასთან, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს, ყოვლისმომცველ მოდელს იჯარის საიდენტიფიკაციოდ, შეიცავს შეთანხმებებს და ბუღალტრულ გათვლებს, როგორც მეიჯარისთვის, ისე მოიჯარისთვის. ფასს 16-ი ზედამხედველობას გაუწევს მიმდინარე იჯარებს, რომლებიც შესულია ბასს17-ში - იჯარები და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები, მას შემდეგ რაც ის გახდება ეფექტური.

ფასს 16-ი განასხვავებს იჯარებს და მომსახურების ხელშეკრულებებს, თუ განსაზღვრული აქტივი კონტროლდება მომხმარებლის მხრიდან.განსხვავებები ფინანსურ და საოპერაციო იჯარას შორის ამოღებულია და არის ჩანაცლებული მოდელით, სადაც აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულებები უნდა იქნეს განსაზღვრული ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება.

ცვლილებები ფასს 2-ში იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით

ცვლილებები განმარტავს შემდეგს:

1. აქციებით ანაზღაურებადი გადახდების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, წილობრივ უფლებებში შესვლისა და წილობრივი უფლებების მოხსნის პირობების ბუღალტრული აღრიცხვა უნდა მოხდეს ისეთივე მიდგომით, როგორც წილით ანაზღაურებადი გადახდების შემთხვევაში.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ნორმა პირს სთხოვს, თანამშრომლის საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად დააკავოს ამ ვალდებულების მონეტარული მნიშვნელობის ტოლი წილობრივი ინსტრუმენტების კონკრეტული რაოდენობა და შემდგომ გადაურიცხოს ეს ვალდებულება საგადასახადო ორგანოს, ანუ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას გააჩნია ნეთინგის მახასიათებელი, ამგვარი გარიგება მთლიანად უნდა ჩაითვალოს წილით ანაზღაურებადი, მხოლოდ იმ პირობით, თუ აქციაზე დაფუძნებული ანაზღაურება, ნეთინგის მახასიათებლის არქონის შემთხვევაში, წილით ანაზღაურებად ჩაითვლებოდა.
3. აქციებით ანაზღაურებადი გადახდის მოდიფიკაცია, რომლის ფარგლებშიც ტრანზაქცია ფულით ანაზღაურებადიდან წილით ანაზღაურებადის კატეგორიაში გადაინაცვლებს, უნდა აღირიცხოს შემდეგნაირად ნაჩვენები:

    a. თავდაპირველი ვალდებულება ჩამოიწერება;
    b. წილით ანაზღაურებადი და აქციებზე დაფუძნებული გადახდის აღიარება ხდება გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტის მოდიფიკაციის დღეს დაფიქსირებული რეალური ღირებულებით, თუ მომსახურება მოდიფიკაციის დღემდეა გაწეული და
    c. ნებისმიერი სხვაობა მოდიფიკაციის დღეს ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და წილობრივ კაპიტალში ასახულ ოდენობას შორის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღიარებული მოგება-ზარალში.

შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ საანგარიშო პერიოდებზე. ადრეული გამოყენება ნებადართულია. მოქმედებს კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

კომპანიის მენეჯმენტი არ ითვალისწინებს ცვლილებების გამოყენებას, რადგან მომავალში შესაძლოა მოახდინოს ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება

ფაისკ 22-ი განმარტავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს „ტრანზაქციის თარიღის“ დადგენა იმისათვის, რომ შესაბამისად იქნეს განსაზღვრული გაცვლითი კურსი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული აქტივის საწყის ეტაპზე აღიარების დროს, ხარჯი ან შემოსავალი, იქნა თუ არა განხორციელებული გადახდა წინასწარ უცხოურ ვალუტაში, რამაც გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარება. (მაგ: უნაღდო ანაბარი ან გადავადებული შემოსავალი)

ინტერპრეტაცია განსაზღვრავს, რომ გარიგების თარიღი არის ის თარიღი, რომელზეც პირი თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რაც გამოიწვია წინასწარმა გადახდამ. თუ არსებობს არა ერთი წინასწარი გადახდა, საჭირო ხდება ტრანზაქციის თარიღის განსაზღვრა თითოეული წინასწარი გადახდის შესაბამისად.

აღნიშნული ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ინტერპრეტაცია ან რეტროსპექტულად ან პროსპექტიულად. სპეციფიკური ტრანზაქციის დებულებები ვრცელდება პროსპექტიულ მიდგომაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ თვლის, რომ ფაისკ- 22ის გამოყენებას ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე, რადგან კომპანია ამჟამად იყენებს ფაისკ-22-ში მითითებულ მიდგომას.

ფაისკ- 23 მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფაისკ 23 განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს საბუღალტრო საგადასახადო პოზიცია, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის მდგომარეობა:

- განსაზღვრავს, არის თუ არა გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ცალკე ან ერთად; და
- აფასებს, არის თუ არა სავარაუდო, რომ საგადასახადო ორგანო მიიღებს გაუთვალისწინებელ საგადასახადო დადგენილებებს და გამოიყენებს ან წარადგენს განსახილველად გამოყენების წესებს.
    - დასტურის შემთხვევაში, ერთეულმა უნდა განახორციელოს საგადასახადო ბუღალტერიის პოზიციის განსაზღვრა შესაბამისი საგადასახადო პირობებით, რომელიც იქნება დადგენილი ან დაიგეგმება მათი დადგენა საშემოსავლო გადასახადის შევსების ჭრილში;
    - უარის შემთხვევაში, ერთეულმა უნდა ასახოს შეუსაბამობის ეფექტი საგადასახადო პოზიციის განსაზღვრის დროს;

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ ფაისკ-23ს ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მატერიალური ზეგავლება, რადგან კომპანია ამ ეტაპზე იყენებს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოებიის მიდგომას, რომელიც შესაბამისობაშია ფაისკ 23-თან.

ცვლილებები ფასს 9-ში - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

მცირე ცვლილებებს შესაძლოა, მოყვეს გამოუსწორებელი შედეგები „გონივრული დამატებითი კომპენსაციის“ სახით. ცვლილებები უფლებას აძლევს ფინანსურ აქტივების არსებობას წინასწარი გადახდის უფლებით, რასაც შესაძლოა მოყვეს მფლობელისთვის კომპენსაციის მიღება ხელშეკრულების შეწყვეტის ადრეულ ეტაპზე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ ძირისა და ძირზე დარიცხული პროცენტის გადახდის პირობები, თუ აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს.

გარდა ამისა, IASB ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვას, რომელიც არის მოდიფიცირებული ან გაცვლილი ისე რომ არ იწვევს უარყოფით შედეგს და შედეგად მოცული დასკვნის საფუძველში. აღნიშნულ პუნქტებში, საბჭო ადგენს, რომ აღნიშნული შემთხვევის აღრიცხვა არის იგივე, როგორიც არის ფინანსური აქტივების მოდიფიკაციისას. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვლება აღნიშნული გამოიწვევს დაუყოვნებელ მოგებას ან ზარალს მოგება-ზარალის უწყისში.

ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

მენეჯმენტი არ თვლის, რომ ცვლილებებს შესაძლოა მოყვეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში ნეგატიური ზეგავლენა რადგან მას არ გააჩნია წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით.

ფასს- ის წლიური გაუმჯობესება 2014-2016 წლებში

ყოველწლიური გამჯობესებები გულისხმობს ფასს 1 და ბასს28-ში ცვლილებების შეტანას, რომლებიც არ არის სავალდებულო კომპანიისთვის. იგი ასევე მოიცავს ცვლილებებს ფასს 12-ში, რომლებიც აუცილებლად ეფექტურ იქნება კომპანიისთვის მიმდინარე წელს - იხილეთ დეტალები სექციაში - ცვლილებები „ფასს“-ში რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციებსა და სხვა მსგავს პირებს შეუძლიათ ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ჩაშენებული ინვესტიციები ასახონ მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, კომპანიას, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მაგრამ გააჩნია წილი ისეთ ასოცირებულ კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც თავად არის საინვესტიციო კომპანია, წილობრივი მეთოდის გამოყენებისას, შეუძლია, გამოიყენოს ამ ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიერ თავის შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილების რეალური ღირებულების გასაზომად გამოყენებული ფორმა. ბასს 28-ის შესწორებები განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება კომპანიამ უნდა მიიღოს ცალ-ცალკე თითოეული ასოცირებული პირისა თუ ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას. შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტიულად და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ფასს 1 და ბასს28-ში შეტანილი ცვლილებები წლის ჭრილში რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვრამდე ან შემდეგ:

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ სტანდარტში შეტანილი ცვილებები მომავალში იქონიებს ნეგატიურ ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში იქონიებს ნეგატიურ ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. რეკლასიფიკაციები

გარკვეული რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრეზენტაციასთან. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული ჯარიმები კლასიფიცირდებოდა სხვა შემოსავალში. რადგან ჯარიმები შინაარსობრივად წარმოადგენს ვადაგადაცილებაში არსებულ ძირზე დაურიცხავი საპროცენტო შემოსავლის კომპენსაციას, მიზანშეწონილია მისი აღქმა, როგორც კორექტირებისა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და კლასიფიცირება საპროცენტო შემოსავალში.

ფინანსური ანგარიშგების მუხლები	ადრე ნაჩვენები 2016	რეკლასიფი-კაციის თანხა	რეკლასიფიცი-რებული 2017
სხვა შემოსავალი	1,119	(1,049)	70
საპროცენტო შემოსავალი	42,201	1,049	43,250

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2017	2016
შემოსავლის საპროცენტო განაკვეთის კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლის მეთოდის გამოყენებით		
კლიენტებზე გაცემული სესხები	53,743	43,201
ფული და ფულის ექვივალენტი	104	49
	53,847	**43,250**
საპროცენტო განაკვეთის დანახარჯები კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის მეთოდის გამოყენებით		
ნასესხები სახსრები	(13,745)	(10,132)
სავალო ფასიანი ქაღალდები	(9)	-
	(13,754)	**(10,132)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი	**40,093**	**33,118**

გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 530 ათას ლარს 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 420 ათას ლარს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. საკომისიო შემოსავალი

	2017	2016
საკომისიო შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	1,449	1,463
საკომისიო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	270	872
	1,719	**2,335**

8. თანამშრომელთა ხარჯები

	2017	2016
ხელფასები და სხვა სარგებელი	13,840	10,827
კაპიტალში გაქვითული წილობრივი გადახდა	194	719
ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმასთან დაკავშირებული ხარჯები	123	233
	14,157	**11,779**

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივი გადახდები

2016 წლის 29 მარტს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა 2016 წლისთვის. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და კომპანიის მენეჯმენტის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალის ზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, კომპანიის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

ა) კომპანიის მნიშვნელოვანი მიზნები -ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 60%,
ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%; და
გ) დისკრეციული - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის გასამრჯელო დამოკიდებულია ზემოთ მოცემული მიზნების შესრულებაზე. მთლიანი გასამრჯელო იყოფა ფულად გადახდებად (გასამრჯელოს - 50%) და სააქციო კაპიტალზე დამყარებულ წილობრივ გადახდად (გასამრჯელოს - 50%).

ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმაში მოცემული ძირითადი პირობების შესრულება განისაზღვრება შესაბამისი კოეფიციენტების მიღწევით, მაგალითად: სესხების რეზერვის, პორტფელის რისკის, აქტივებზე უკუგების, კაპიტალზე უკუგებისა და სხვა კოეფიციენტების შესრულებით.

მენეჯმენტის შეფასებებით, 2017 წლის შედეგებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობის მიერ გეგმა იქნა შესრულებელი და 2016 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ აღიარა წამახალისებელი გემის 50% (რომელიც უნდა იქნეს გადახდილი ნაღდი ანგარიშსწორებით) როგორც აღმასრულებელი გუნდის მიმართ ვალდებულება. წამახალისებელი გეგმის დარჩენილი 50% -ის საფუძველზე კი მოხდა გამოსაშვები ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის დათვლა აქციების ფასზე დაყრდნობით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილობრივი გადახდების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 68 ათასი ლარი და 452 ათასი ლარი და შესაბამისად გამოშვებულ იქნა 3,706 და 27,892 ჩვეულებრივი აქცია. აქციების რეალური ღირებულება უახლოვდება ფასს, რომლის მიხედვითაც განხორციელდა კომპანიის წილების გაყიდვა გაშლილი ხელის პრინციპით.

წილობრივი გადახდის ტრანზაქციის აღიარება ხდება, როგორც წილობრივი გადახდის რეზერვის ზრდა კაპიტალში.

მენეჯმენტის წამახალისებელი გეგმის შესრულება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მენეჯმენტის წამახალისებელი გეგმა წლიური	სტატუსი	ტრანზაქციის საფუძველი	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღი	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა
2016	გასაცემი წილები	კომპანიის ფართო მიზნების შესრულებისთვის	აგვისტო 9, 2017	27,892
2017	გასაცემი წილები	კომპანიის ფართო მიზნების შესრულებისთვის	N/A	3,706

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
საოპერაციო იჯარა	3,239	2,477
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	962	787
საბანკო ხარჯები	673	599
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	492	409
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	455	160
საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობები	433	561
წევრობის საფასური	363	347
საწვავი	343	239
მივლინების ხარჯები	308	204
კადრების მომზადება და გადამზადება	166	112
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	161	114
უსაფრთხოება	149	157
ქველმოქმედება	119	104
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	107	91
დაზღვევა	71	113
ზარალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან	37	10
სხვა	927	445
	9,005	**6,929**

10. დაბეგვრა

	2017	2016
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	2,427	2,170
წინა წლების მიმდინარე საგადასახადო ხარჯის კორექტირება	-	110
	2,427	**2,280**
მოძრაობები გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების წარმოშობის ან / და დროებითი განსხვავებების გამო	(497)	(408)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	**1,930**	**1,872**

მოქმედი საგადასახადო განაკვეთი, მიმდინარე და გადავადებული გადასახადი შეადგენს 15%-ს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის რეკონსილაცია 31 დეკემბრის ბოლოსათვის:

	2017	2016
მოგება მოგების გადასახადამდე	**10,065**	**9,211**
გადასახადი კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით	1,510	1,382
წინა წლების კორექტირება	-	110
დაუბეგრავი შემოსავალი	420	380
	1,930	**1,872**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებები და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული თანხები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები არ ექვემდებარება ჩამოწერას მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებითი განსხვავებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იანვარი 1, 2017	მოგება-ზარალის აღიარება	დეკემბერი 31, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,137	569	1,706
ძირითადი საშუალებები	17	13	30
არამატერიალური აქტივები	(22)	9	(13)
ნასესხები სახსრები	298	67	365
სხვა ვალდებულებები	27	(161)	(134)
	1,457	**497**	**1,954**

	იანვარი1, 2016	მოგება-ზარალის აღიარება	დეკემბერი 31, 2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	755	382	1,137
ძირითადი საშუალებები	16	1	17
არამატერიალური აქტივები	(27)	5	(22)
ნასესხები სახსრები	155	143	298
სხვა ვალდებულებები	77	(50)	27
წილობრივი გადახდის ოპერაცია	73	(73)	-
	1,049	**408**	**1,457**

აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება შემდეგს:

	აქტივები		ვალდებულებები		წმინდა	
	2017	2016	2017	2016	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,706	1,137	-	-	1,706	1,137
ძირითადი საშუალებები	30	17	-	-	30	17
არამატერიალური აქტივები	-	-	(13)	(22)	(13)	(22)
ნასესხები სახსრები	365	298	-	-	365	298
სხვა ვალდებულებები	-	27	(134)	-	(134)	27
წმინდა საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)	**2,101**	**1,479**	**(147)**	**(22)**	**1,954**	**1,457**

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
ნაღდი ფული	9,816	3,026
საბანკო ნაშთები	4,504	7,329
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**14,320**	**10,355**

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებისთვის რეზერვი არ არის აღიარებული. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებს საქართველოში და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ნაშთების უდიდესი ნაწილი შეფასებულია Fitch Ratings- ის შესაბამისად. B კატეგორია (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

12. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		
წარმოებული ფინანსური აქტივები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	1,410	7,657
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	175	-
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**1,585**	**7,657**

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი31, 2016
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	55	-
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	536	-
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	**591**	**-**
წმინდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	**994**	**7,657**

რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს სავალუტო კონტრაქტებს.

ვალუტის გაცვლის კონტრაქტები

კომპანია განიხილავს დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, იქიდან გამომდინარე, რომ ტრანზაქციები (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) გამოიწვევს დერივაციას. დასკვნა ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- ისინი შედიან ძალაში ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით;
- ისინი რეგულირდება ერთი და იმავე კონტრაქტის მიხედვით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე;

უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები

ფორვარდი არის საკონტრაქტო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები გარკვეული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში კომპანია იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ საკონტრაქტო თანხებს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული მოგება და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და ფინანსურ ინტრუმენტებზე მოგება-ზარალში.

	ეროვნული ვალუტა	
	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	32,837	14,399
3-დან 12 თვემდე	42,253	43,302
	75,090	**57,701**
ევროს გაყიდვა ლარის ყიდვა		
3-დან 12 თვემდე	-	4,191
	-	**4,191**
დოლარის გაყიდვა ევროს ყიდვა		
3-დან 12 თვემდე	**-**	**2,382**

13. კლიენტებზე გაცემული სესხები

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
ძირი თანხა	199,467	145,996
დარიცხული პროცენტი	3,969	3,020
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(5,391)	(3,506)
წმინდა გაცემული სესხები	**198,045**	**145,510**
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები		
სექტორის ანალიზი:		
სოფლის მეურნეობა	60,970	43,296
მომსახურება	55,885	40,172
ვაჭრობა	34,562	27,579
სამომხმარებლო	33,730	24,677
სალომბარდე	10,085	7,786
წარმოება	8,204	5,506
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**203,436**	**149,016**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(5,391)	(3,506)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	**198,045**	**145,510**

კლიენტებზე გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები კლასიფიცირებულია ფაქტორების კომბინაციის მიხედვით (ძირითადად სესხის ამღების შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნებისათვის მიღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში (ვაჭრობა, სმომსახურება და სოფლის მეურნეობა) ბიზნეს საქმიანობის ტიპების მიხედვით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:			
სოფლის მეურნეობა	60,970	(2,284)	58,686
მომსახურება	55,885	(1,232)	54,653
ვაჭრობა	34,562	(951)	33,611
სამომხმარებლო	33,730	(679)	33,051
სალომბარდე	10,085	(44)	10,041
წარმოება	8,204	(201)	8,003
სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები	**203,436**	**(5,391)**	**198,045**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:			
სოფლის მეურნეობა	43,296	(1,676)	41,620
მომსახურება	40,172	(717)	39,455
ვაჭრობა	27,579	(588)	26,991
სამომხმარებლო	24,677	(359)	24,318
სალომბარდე	7,786	(28)	7,758
წარმოება	5,506	(138)	5,368
სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:	**149,016**	**(3,506)**	**145,510**

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2017			
	ეტაპი 1 12-თვიანი ECL	**ეტაპი 2** სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	1,174	1,808	524	3,506
ახალი გაცემული სესხების	2,940	-	-	2,940
გადატანა 12-თვიანი ECL-ში	53	(53)	-	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სულ ECL-ში	(1,489)	1,494	(5)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(963)	(932)	1,895	-
დაფარული სესხები	(636)	(661)	(57)	(1,354)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(64)	(68)	(2,593)	(2,725)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	55	13	839	907
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	1,017	226	883	2,126
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	(5)	(1)	(3)	(9)
ბალანსი წლის ბოლოს	**2,082**	**1,826**	**1,483**	**5,391**

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

	2017			
	ეტაპი 1 12-თვიანი ECL	**ეტაპი 2** სრული ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	121,725	26,279	1,012	149,016
ახალი გაცემული სესხები	167,003	-	-	167,003
გადატანა 12-თვიან ECL-ში	4,449	(4,148)	(301)	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(34,560)	34,591	(31)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(3,148)	(2,244)	5,392	-
დაფარული სესხები	(91,409)	(16,096)	(1,826)	(109,331)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(64)	(68)	(2,593)	(2,725)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	55	13	839	907
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(1,142)	(282)	(10)	(1,434)
ბალანსი წლის ბოლოს	**162,909**	**38,045**	**2,482**	**203,436**

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2016			
	ეტაპი 1 12-თვიანი ECL	**ეტაპი 2** სრული ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	686	1,263	349	2,298
ახალი გაცემული სესხები	2,147	-	-	2,147
გადატანა 12-თვიან ECL-ში	13	(13)	-	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(1,295)	1,296	(1)	-
ტრანსფერი საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(393)	(360)	753	-
დაფარული სესხები	(389)	(480)	(39)	(908)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(70)	(48)	(2,305)	(2,423)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	62	7	476	545
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	361	67	1,268	1,696
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	52	76	23	151
ბალანსი წლის ბოლოს	**1,174**	**1,808**	**524**	**3,506**

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

	2016			
	ეტაპი 1 12-თვიანი ECL	**ეტაპი 2** სრული ECL - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** სრული ECL - საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	**სულ**
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	84,930	21,952	750	107,632
ახალი გაცემული სესხები	118,791	-	-	118,791
გადატანა 12-თვიან ECL-ში	856	(731)	(125)	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(18,760)	18,765	(5)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ ECL-ში	(1,620)	(1,171)	2,791	-
დაფარული სესხები	(65,862)	(13,372)	(600)	(79,834)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(70)	(48)	(2,305)	(2,423)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	62	7	476	545
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	3,398	877	30	4,305
ბალანსი წლის ბოლოს	**121,725**	**26,279**	**1,012**	**149,016**

14. ძირითადი საშუალებები

	შენობები	მანქანები	ავეჯი	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვარი	105	349	652	1,628	3,725	2,406	8,865
შესყიდვა	-	338	196	469	913	521	2,437
რეალიზაცია	-	(37)	-	(25)	(147)	(3)	(212)
2017 წლის 31 დეკემბერი	**105**	**650**	**848**	**2,072**	**4,491**	**2,924**	**11,090**
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	(32)	(98)	(361)	(892)	(1,577)	(1,343)	(4,303)
ცვეთის დარიცხვა	(3)	(101)	(121)	(247)	(728)	(422)	(1,622)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	7	-	20	115	2	144
2017 წლის 31 დეკემბერი	**(35)**	**(192)**	**(482)**	**(1,119)**	**(2,190)**	**(1,763)**	**(5,781)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	**70**	**458**	**366**	**953**	**2,301**	**1,161**	**5,309**

	შენობები	მანქანები	ავეჯი	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
ღირებულება							
2016 წლის 1 იანვარი	**95**	**213**	**496**	**1,308**	**2,670**	**1,714**	**6,496**
შესყიდვა	10	169	156	325	1,066	694	2,420
რეალიზაცია	-	(33)	-	(5)	(11)	(2)	(51)
2016 წლის 31 დეკემბერი	**105**	**349**	**652**	**1,628**	**3,725**	**2,406**	**8,865**
დაგროვილი ცვეთა							
2016 წლის 1 იანვარი	(29)	(46)	(251)	(661)	(1,023)	(948)	(2,958)
ცვეთის დარიცხვა	(3)	(61)	(110)	(235)	(565)	(397)	(1,371)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	9	-	4	11	2	26
2016 წლის 31 დეკემბერი	**(32)**	**(98)**	**(361)**	**(892)**	**(1,577)**	**(1,343)**	**(4,303)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 31 დეკემბერი	**66**	**167**	**245**	**647**	**1,647**	**766**	**3,538**
	73	**251**	**291**	**736**	**2,148**	**1,063**	**4,562**

სხვა ძირითადი საშუალებები მეტწილად შედგება უსაფრთხოების სისტემებისა და გენერატორებისგან.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია კაპიტალიზირებული სესხის ხარჯები შესყიდულ ან აშენებულ ქონებაზე.

15. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ღირებულება	
2016 წლის 1 იანვარი	**1,701**
შესყიდვა	237
2016 წლის 31 დეკემბერი	**1,938**
შესყიდვა	432
2017 წლის 31 დეკემბერი	**2,370**
დაგროვილი ამორტიზაცია	
2016 წლის 1 იანვარი	(502)
ამორტიზაციის დარიცხვა	(246)
2016 წლის 31 დეკემბერი	**(748)**
ამორტიზაციის დარიცხვა	(297)
2017 წლის 31 დეკემბერი	**(1,045)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2016 წლის 31 დეკემბერი	**1,190**
2017 წლის 31 დეკემბერი	**1,325**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

16. სხვა აქტივები

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი31, 2016
სხვა მოთხოვნები	1,470	999
მოთხოვნები თანამშრომლებისგან	-	3
სხვა ფინანსური აქტივები სულ	**1,470**	**1,002**
დასაკუთრებული ქონება	643	599
წინასწარი გადახდები	1,502	667
სხვა არაფინანსური აქტივები სულ	**2,145**	**1,266**
სხვა აქტივები სულ	**3,615**	**2,268**

სხვა მოთხოვნების მოკლევადიანი ხასიათის გამო, კომპანიას არ აქვს აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს სწრაფი გადახდის აპარატების კომპანიებისგან მოთხოვნას, რომელიც დაფარულ იქნა ანგარიშგების თარიღის შემდეგ მოკლე ვადაში.

17. ნასესხები სახსრები

ეს შენიშვნა წარადგენს ინფორმაციას სესხების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების შესახებ, იხილეთ 26-ე შენიშვნაში.

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	163,346	129,769
სუბორდინირებული სესხი	4,354	4,373
	167,700	**132,142**

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
ძირი თანხა	164,693	129,787
დარიცხული პროცენტი	3,007	2,355
	167,700	**132,142**

კომპანიის ნასესხები სახსრების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციაა:

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	83,736	60,635
მიმდინარე ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	83,964	71,507
ნასესხები სახსრები სრულად	**167,700**	**132,142**

სუბორდინირებული სესხი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა არა უზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციიდან „KfW"-სგან, რომლის ვადაც იწურება 2019 წელს და შეადგენს 4,354 ათას ლარს და 4,373 ათასი ლარს შესაბამისად, 11% -იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით.

გაკოტრების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების დაფარვა მოხდება კომპანიის სხვა ვალდებულებების სრული დაფარვის შემდეგ.

ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები

ნასესხები სახსრების ვადები და პირობებია:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	მოქმედების ვადა	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2016 საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	USD	5.77% - 8.48%	2018 – 2021	102,568	100,780
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	GEL	9% - 14.75%	2018 – 2024	59,409	24,078
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	EUR	6.5%-8%	2018	1,369	2,911
არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული დავალიანება	GEL	11%	2019	4,354	4,373
საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები სულ				**167,700**	**132,142**

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები

	იანვარი 1, 2017	სესხების მიღება წლის განმავლობაში 2017	სესხის დაფარვა წლის განმავლობაში 2017	დარიცხული პროცენტი წლის განმავლობაში 2017	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი 2017	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში 2017	დეკემბერი 31, 2017
ნასესხები სახსრები	132,142	118,487	(81,371)	13,745	(13,093)	(2,210)	**167,700**

გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები

2017 წლის 7 აპრილს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზს, თიბისი ბანკთან, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება 5,000 ათასი ლარის ათვისება, 2018 წლამდე ვადით.

2017 წლის 12 აპრილს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზს სს "საქართველოს ბანკთან", რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა 500 ათასი ევროს შეძენა 2018 წელს.

2017 წლის მაისში კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს "თი-ბი-სი ბანკთან", რომლის საშუალებითაც მიიღო 5,000 ათასი ლარი, 2018 წლამდე ვადით.

2017 წლის 5 ივნისს კომპანიამ ხელი მოაწერა სასესხო ხელშეკრულებას საქართველოს სს "საქართველოს ბანკთან", რომლის მეშვეობითაც მიიღო 2,000 ათასი აშშ დოლარი, 2018 წლამდე ვადით.

2017 წლის 30 ნოემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა საკრედიტო ხელშეკრულებას სს "პაშა ბანკ ჯორჯიას"-თან, რომლის მეშვეობითაც მიიღო 250 ათასი ევრო, 2018 წლამდე ვადით.

სახელშეკრულებო პირობები - ფინანსური კოვენანტები

კომპანია ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიამ ვერ შეასრულა ფინანსური კოვენანტები, რომლებიც დაწესებული ჰქონდა ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიას.

ბასს 1-ზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციას“ მენეჯმენტმა ნიდერლანდების ფინანსური განვითარების კომპანიისგან ნასესხებ სახსრებს მიანიჭა მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია, 24,445,842 ლარის ოდენობით. აღნიშნული ვალდებულება შევიდა 1 თვიანი ლიკვიდურობის რისკ კატეგორიაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

კომპანიას არ დაურღვევია ფინანსური კოვენანტები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აღნიშნული ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

18. სავალო ფასიანი ქაღალდები

ეს შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების შესახებ, იხილეთ შენიშვნა 26.

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
ძირი თანხა	9,871	-
დარიცხული პროცენტი	9	-
	9,880	**-**

სავალო ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციაა:

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავალო ფასიანი ქაღალდები	9,871	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავალო ფასიანი ქაღალდები	9	-
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები	**9,880**	**-**

კორპორატიული ობლიგაცია

სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კორპორატიულ ობლიგაციას. 2017 წლის 28 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა კორპორატიული ობლიგაციები 10 მილიონი ლარის ღირებულებით. აღნიშნული ობლიგაციების ვადა იწურება 2019 წელს. ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4.5%.

ვადები და ვალის დაფარვა

ვალის დაფარვის პირობები:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადის გასვლის წელი	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2016 საბალანსო ღირებულება
სავალო ფასიანი ქაღალდები	GEL	4.5%+სებ რეფინანსირების საპრ. განაკვ.	2019	9,880	-
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები				**9,880**	**-**

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები

	იანვარი 1, 2017	სესხების მიღება წლის განმავლობაში 2017	სესხის დაფარვა წლის განმავლობაში 2017	დარიცხული პროცენტი წლის განმავლობაში 2017	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი 2017	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში 2017	დეკემბერი 31, 2017
სავალო ფასიანი ქაღალდები	-	9,871	-	9	-	-	**9,880**

კორპორატიული ობლიგაციების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

19. სხვა ვალდებულებები

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი31, 2016
სხვა ვალდებულებები	476	263
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**476**	**263**
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ *	847	573
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	11	165
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	35	-
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	**893**	**738**
სხვა ვალდებულებები სულ	**1,369**	**1,001**

თანამშრომელთა კომპენსაციის დარიცხვა მოიცავს თანამშრომელთათვის გადასახდელ თანხას, რომელიც განისაზღვრება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიხედვით და რომელიც აღიარდა ხარჯად შესაბამისად, ვალდებულება გაიზარდა იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები უპირობოდ მიიღებენ ამ კომპენსაციას.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის დეტალები მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

20. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მეწილეები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არა-გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალი ლარი
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.52%	47.52%	1,450,192
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.23%	37.23%	1,136,157
DWM ფონდები ს.ს.ა.-SICAV SIF	378,157	ჩვეულებრივი	12.41%	12.41%	378,719
კომპანიის მართვა	86,817	ჩვეულებრივი	2.84%	2.84%	86,817
	3,051,885		**100.00%**	**100.00%**	**3,051,885**

წილობრივი კაპიტალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მეწილეები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არა-გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალი ლარი
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.96%	47.96%	1,450,192
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.57%	37.57%	1,136,157
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	ჩვეულებრივი	12.52%	12.52%	378,719
კომპანიის მართვა	58,925	ჩვეულებრივი	1.95%	1.95%	58,925
	3,023,993		**100.00%**	**100.00%**	**3,023,993**

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი და სრულად არის გადახდილი.

ყველა ჩვეულებრივი აქციები თანაბრად კლასიფიცირდება კომპანიის ნარჩენი აქტივების მიმართ.

2016 წლის 20 მაისს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა 45,024 ჩვეულებრივი აქციის გაცემა კომპანიის მენეჯმენტისადმი (27,578 ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც გაიცა კომპანიის მიზნების შესრულებიდან გამომდინარე და 17,446 ჩვეულებრივი აქცია ინდივიდუალური და დისკრეციული მიზნების შესრულებისთვის 2015 წლისთვის).

ამავე პერიოდში გამოიცა 13,902 ჩვეულებრივი აქცია, 2014 წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, როგორც მთლიანად კომპანიის, ასევე ინდივიდუალური და დისკრეციული მიზნების მიღწევისათვის. ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 2015 წლის 4 დეკემბერს.

გარდა ამისა, 2017 წლის 9 აგვისტოს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა კომპანიის მენეჯმენტისადმი 27.892 ჩვეულებრივი აქციის გაცემა (15,629 ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც განისაზღვრა კომპანიის წილობრივი მიზნების მიღწევისათვის და 12,263 ჩვეულებრივი აქცია ინდივიდუალური და დისკრეციული მიზნების მიღწევისთვის წამახალისებელი გეგმა 2016 წლისთვის).

წილობრივი გადახდის რეზერვი

წილობრივი დაფარვის რეზერვში 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზრდა განპირობებული იყო შესაბამისად 68 ათასი ლარისა და 362 ათასი ლარის ოდენობის წილობრივი გადახდით. დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-8 შენიშვნა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული იქნა 2016 წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში გაცემული 27,892 აქცია, რის შედეგადაც შემცირდა წილობრივი გადახდოს რეზერვი და გაიზარდა სააქციო კაპიტალი.

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მანძილზე დარეგისტრირდა 41,480 ჩვეულებრივი აქცია 2015 და 2014 წლების ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმების ფარგლებში, რამაც წილობრივი გადახდის რეზერვის შემცირება და სააქციო კაპიტალის ზრდა გამოიწვია.

დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები და უფლებამოსილი არიან, ყოველწლიურად კომპანიის აქციონერთა კრებაზე მიიღონ ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, როგორც ეს აღწერილია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქციონერთა მიერ მიღებული, 2017 წლის 20 ივნისითა და 2016 წლის 20 მაისით დათარიღებული, გადაწყვეტილებით, გამოცხადდა და გადახდილი იქნა შესაბამისად, 1,000 ათასი ლარი და 374 ათასი ლარი.

21. საოპერაციო იჯარა

იჯარა

ყველა საიჯარო ხელშეკრულებას გააჩნია შეწყვეტის უფლება შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ. გასაფრთხილებელი პერიოდები მერყეობს ერთიდან სამ თვემდე. არასავალდებულო მინიმალური საიჯარო გადასახადი გადაიხდება შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი31, 2016
1 წელზე ნაკლები	**399**	**409**

კომპანია ქირაობს რიგ შენობებს საოპერაციო იჯარით. იჯარა, როგორც წესი, თავდაპირველად გრძელდება სამიდან ხუთ წლამდე, გარიგების გაგრძელება ხორციელდება კონტრაქტის ხელახალი გაფორმების გზით. სალიზინგო გადასახადები, როგორც წესი, იზრდება ყოველ ორ ან სამ წელიწადში. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება შეთანხმებულ ქირაზე მეტის გადახდა, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ საფასო ინდექსზე.

22. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

კომპანია ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ვალდებულების წარმოქმნას არ ექნება ნეგატიური ეფექტი სამომავლო ფინანსურ მდგომარეობასა ან ოპერაციების შედეგებზე.

საგადასახადო შეღავათები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და, შესაბამისად, ხშირად ხდება კანონში, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხშირად არის გაურკვეველი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა სახით ინტერპრეტირებული. საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო წელი რჩება ღიად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საგადასახადო წელი შესაძლოა იყოს ღია უფრო მეტი დროითაც.

ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ის ასრულებს საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც ემყარება მის ინტერპრეტაციას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უფლებამოსილი პირების ინტერპრეტაცია შესაძლოა იყოს განსხვავებული, რამაც შესაძლოა, მოახდინოს ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირები შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის შემუშავებას.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები საქართველოში ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც არის განსხვავებული სხვა განვითარებადი ბაზრებისგან; ბაზრები დგას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ლეგალური და სამართლებრივი რისკების წინაშე. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს,მთავრობის მიერ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. 2016 და 2017

წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გაცილებით მეტია, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

23. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები

მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიის ძირითადი აქციონერია ფონდი კრისტალი 47.52% -ით (შენიშვნა 1).

2017 წელს კომპანიის მშობელი კომპანია და მაკონტროლებელი მხარე იყო კრისტალი ფონდი.

ტრანზაქციები სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პერსონალის გასამრჯელოში გაწეული სრული ანაზღაურება და მენეჯმენტის საკონსულტაციო გადასახადი შემდეგია:

	2017	2016
ხელფასები და პრემიები	729	442
წილობრივი გადახდის ოპერაცია	194	719
მოგების განაწილების გეგმა	123	233
საკონსულტაციო გადახდები	16	327
	1,062	**1,721**

სხვა შრომის ანაზღაურებისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო საფასურის გადახდა, რომელიც შედის სხვა ვალდებულებებში, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016
წილობრივი გადახდის ოპერაცია	194	719
მოგების განაწილების გეგმა	123	233
	317	**952**

სხვა დაკავშირებული მხარეების გარიგებები

	2017	2016	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერიr 31, 2016
სხვა				
სს მობილური საფინანსო სერვისები - საქართველო *	141	84	53	84
	141	**84**	**53**	**84**

* სს "მობილური საფინანსო სერვისები" - საქართველოს ფლობს სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრი.

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება განსაზღვრულია ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტებითი შენიშვნებ"-ის შესაბამისად. „ფასს" რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც საფასურს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული გაყიდული აქტივებიდან ან პასუხისმგებლობის გადაცემიდან საბაზრო მონაწილეებს შორის საანგარიშო თარიღისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციების გზით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულებები იქნა განსაზღვრული კომპანიის მიერ ხელმისაწვდომ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით, სადაც იგი არსებობს და შეესაბამება შეფასების მეთოდოლოგიას. მიუხედვად ამისა, საბოლოო დასკვნის გამოტანა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა მოხდეს საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაცია და განისაზღვროს რეალური ღირებულება. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრისა და ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლების წარმოჩენას, იმისათვის, რომ შეზღუდოს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობის მოცულობა. საბაზრო კვოტაციები შესაძლოა იყოს მოძველებული ან ასახავდეს გაყიდვებს შემცირებულ ფასებში და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებს. მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ბაზარზე, იმისათვის, რომ დაედასტურებინა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.

რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია ზომავს რეალურ ღირებულებას ქვემოთ მოყვანილი რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს გაზომვის დროს გამოყენებული ინფორმაციის მნიშვნელობას:

- დონე 1: კვოტირებული საბაზრო ფასი (შეუცვლელი) აქტიურ ბაზარზე იდენტური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: ფასები, გარდა კვოტირებული ფასებისა, რომელიც მოცეაულია დონე 1-ში და რომლებიც განიხილება ან როგორც პირდაპირი (მაგ. როგორც ფასები) ან როგორც ირიბი (მაგ. მიღებული ფასებისგან). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს რომლებიც შეფასებულია: კვოტირებული საბაზრო ფასებით აქტიურ ბაზრებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; კვოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის ბაზრებზე, რომლებიც ჩათვლილია ნაკლებად აქტიურად; ან შეფასების სხვა ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი აქტივი, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი არის დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების მეშვეობით.
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არის არა ხელმისაწვდომი, ეს კატეგორია მოიცავს ყველა იმ ინსტრუმენტს, სადაც შეფასების ტექნიკა მოიცავს ინფორმაციას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის მეშვეობით და არა ხელმისაწვდომი აქტივები ახდენენ მნიშვნელოვან ეფექტს ინსტრუმენტების შეფასებაზე. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც არის შეფასებული კვოტირებულ ფასებზე დაყრდნობით იმ მსგავსი ინსტრუმენტებისდაგვარად, სადაც მნიშვნელოვანია არა ხელმისაწვდომი კორექტირებები ან აუცილებელია დაშვებები, რათა მოხდეს ინსტრუმენტებს შორის განსხვავების წარმოჩენა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რომლისთვისაც რეალური ღირებულება გათანაბრებულია საბალანსო ღირებულებასთან

ფული და ფულის ექვივალენტები - ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც გათანაბრებულია მათ მიმდინარე რეალურ ღირებულებასთან.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები –სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად არის წარმოდგენილი მოკლე ვადიანი დებიტორული დავალიანებების სახით, შესაბამისად საბალანსო ღირებულება შესაძლოა იქნეს ჩათვლილი რეალური ღირებულების გონივრულ შეფასებად.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არ არის ასახული რეალური ღირებულებით (მაგრამ რეალური ღირებულების განმარტება წარმოადგენს აუცილებლობას).

მომხმარებლებზე გაცემული სესხები –ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულების გაანგარიშება ემყარება მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება მიღებული ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის

გათვალისწინებით მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადასა და საკრედიტო რისკზე.

ნასესხები სახსრები და სავალო ფასიანი ქაღალდები

სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელების შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

გარდა იმ შემთხვევისა, რაც დეტალურადაა მოცემული ცხრილში, მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ტარიფები, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ უწყისში გათანაბრებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

	რეალური ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016	
		საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
სესხები მომხმარებლებს	დონე 3	198,045	201,893	145,510	148,380
ნასესხები სახსრები	დონე 3	167,700	166,448	132,142	129,560
სავალო ფასიანი ქაღალდები	დონე 3	9,880	9,880	-	-

კომპანიის ფინანსური სახსრებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება განმეორებით საფუძველზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ არის ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრული (კერძოდ, შეფასების ტექნიკა (ები) და აქტივები).

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	რეალური ღირებულების იერარქია		რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების ტექნიკა (ები) და ძირითადი კომპონენტი (ები)	მნიშვნელოვანი არადაკვირვება დი კომპონენტები	არადაკვირვება დი კომპონენტები ს გავლენა რეალურ ღირებულებაზ ე
	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016				
მოგება ან ზარალის მეშვეობით მიღებული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულების შესაბამისად	1,585	7,657	დონე 2	სამომავლო ფულადი ნაკადები შეფასებულია ფორვარდულ გადაცვლით კურსზე დაყრდნობით	-	-
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულების შესაბამისად მოგება ან ზარალი	591	-	დონე 2	(ხელშესახები ფორვარდული გადაცვლის კურსებიდან რეპორტინგის პერიოდის ბოლოსთვის)	ფინანსური ვალდებულებე ბი რეალური ღირებულების შესაბამისად მოგება ან ზარალი	591

კომპანია იყენებს ფართოდ აღიარებულ შეფასების მოდელებს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, მაგალითად, როგორიც არის უცხოური ვალუტის

გაცვლის კონტრაქტები და სავალუტო სვოპები, რომლისთვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს მცირე შეფასებებს და გადაწყვეტილებებს მენეჯმენტის მხრიდან.

25. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნების მიმართულებით არის:

- შეუნარჩუნოს კომპანიას უნარი გააგრძელოს აქციონერთათვის ფინანსური სახსრების მიღება; და
- აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით, მომსახურების ღირებულების დადგენის რისკის დონის შესაბამისად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის ოდენობას რისკის პროპორციულად. კომპანია ახდენს კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტს და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური ცვლილებების და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ მოხდეს კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება ან რეგულირება, კომპანიას შეუძლია შეცვალოს დივიდენდების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი აქციონერებისთვის, ასევე კაპიტალის დაბრუნება აქციონერებისთვის, განახორციელოს ახალი აქციების გაცემა ან გაყიდოს აქტივები, დავალიანების შემცირების მიზნით.

კომპანია შეესაბამება მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს - ფულადი სახსრების მინიმალური შენატანი უნდა იყოს არანაკლებ 250 ათასი ლარისა.

კომპანია ასევე აკონტროლებს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს ვალის შესაბამისად, ახდენს კალკულაციას კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. იხილეთ მე-17 შენიშვნა კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ.

26. რისკების მართვის პოლიტიკა

ბიზნესისთვის რისკების მენეჯმენტი არის ფუნდამენტური და წარმოადგენსკომპანიის მუშაობის მთავარ ელემენტს. კომპანიისთვის ძირითად რისკებს წარმოადგენს საბაზრო , საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

რისკის მენეჯმენტის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს, დაადგინოს, გააანალიზოს და განახორციელოს იმ რისკების მართვა, რომელთა წინაშეც დგას კომპანია. შესაბამისად, განსაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და მისი კონტროლის მექანიზმები, განახორციელოს აღნიშნული რისკის დონის მუდმივი მონიტორინგი და აღნიშნული ლიმიტების დაცვა. რისკის მენეჯმენტის პოლიტიკა და პროცედურები უნდა იქნეს რეგულარულად გადახედილი, რათა განხორციელდეს ცვლილებების ასახვა ბაზრის მდგომარეობის შესაბამისად, შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურებების და ასევე საუკეთესო ფასის ჭრილში.

სამეთვალყურეო საბჭო, თავის კომიტეტებთან ერთად, პასუხისმგებელია რისკის მართვის ფარგლების ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკებისა და აღნიშნული რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე, ისევე როგორც მათ დამტკიცებაზე, გადახედვასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტიპასუხისმგებელია რისკების მიგრაციისთვის გასატარებელი ზომების მონიტორინგსა და შესრულებაზე და შემუშავებული რისკების პარამეტრების შესაბამისად კომპანიის მუშაობაზე. რისკების დეპარტამენტის უფროსი პასუხისმგებელია რისკების სრულ მენეჯმენტზე და შესაბამისობის ფუნქციებზე, მიღებული პრინციპების განხორციელების და იდენტიფიკაციის მეთოდების, გასატარებელი ზომების, მენეჯმენტის და როგორც ფინანსური, ასევე არა ფინანსური რისკების რეპორტინგის უზრუნველყოფაზე. ის ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ საბჭოსთან.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკი ერთად და ცალ-ცალკე, ასევე, ტრანზაქციური დონეები, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტის და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის სისტემის მიერ. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, კომპანია ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება, იქნება ეს გარე ფაქტორი, თუ შიდა, ხდება ორგანიზაციის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება რისკების სრული სპექტრის იდენტიფიკაციას და მიმდინარე რისკების შემარბილებელი პროცედურების გარანტიის დონის განსაზღვრას. გარდა სტანდარტული

საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, რისკების დეპარტამენტი ახორციელებს როგორც ფინანსური, ასევე, არა ფინანსური რისკების მონიტორინგს, საოპერაციო მიმართულებებთან რეგულარული შეხვედრების გზით, ექსპერტთა დასკვნების მოსაპოვებლად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის რომელიმე მხარე ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კომპანიას აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს სახით) შესწავლილია და დადასტურებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სესხის საკრედიტო განაცხადების განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- გირავნობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნების ნუსხას;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მონიტორინგის პროცედურებს;

საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია სასესხო განაცხადის როგორც დაკმაყოფილებაზე, ასევე უარყოფაზე. კრედიტები, რომლებიც განსახილველად ეგზავნება კომიტეტს დასამტკიცებლად, ემყარება საკრედიტო პოლიტიკის დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და კორექტულობა არის საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ახორციელებს საკრედიტო განაცხადის თავდაპირველ ფორმირებას, განმცხადებლის ბიზნესის შემოწმების და საკრედიტო რისკების შეფასების გზით, რაც ხორციელდება განმცხადებლის საკრედიტო ქულების გადამოწმებით, სპეციალურად შემუშავებულ მოდელზე დაყრდნობით და განმცხადებლის პერსონალური მონაცემების ვერიფიკაციის პროცდურის გავლით. საკრედიტო კომიტეტის წევრები ადარებენ განმცხადებლის მონაცემებს მიღებული კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტულ უნარიანობა და ა.შ.).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ კრედიტ ოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების მიწოდებას მენეჯმენტისთვის. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის, უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი ტოპ მენეჯმენტის ინფორმირების გზით, ყოველთვიურად. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

რისკის წარმოშობა ასევე არის დარეგულირებული, გირაოსა და პირადი გარანტიების მიღების გზით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ფასდება რისკების დეპარტამენტის მიერ საკრედიტო მიზნებისა და ბაზრის რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება,ზოგადად აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში,

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ყავს დებიტორები ან დებიტორებთან დაკავშირებული ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აჭარბებდეს მაქსიმალური საკრედიტო რისკის დონის 10%-ს.

საკრედიტო რისკების კატეგორიები

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

სესხის გაცემა განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული საკრედიტო ქულაზე დაყრდნობით, რაც შემდგომ აისახება სესხისთვის მისანიჭებელ კატეგორიაზე.

გასაცემი სესხის კატეგორიები:

A > 88 ქულა
B > 82-87 ქულა
C > 71-81 ქულა
C1 არ არის გათვალისწინებული (აგრო ბარათების და სეზონური სესხების შემთხვევაში, რადგან არ არის დამოკიდებული რეიტინგზე)

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

C3 > 1-30 დღიანი ვადაგადაცილება
D > 31-60 დღიანი ვადაგადაცილება
D1 > 61-90 დღიანი ვადაგადაცილება
D2 > 91-120 დღიანი ვადაგადაცილება
D3 > 121-180 დღიანი ვადაგადაცილება
E > 181 დღიანი ვადაგადაცილება

რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიები:

R1 მიმდინარე რესტრუქტურიზაცია და რესტრუქტურიზირებულია 1-90 დღიანი ვადა გადაცილების გამო
R2 რესტრუქტურიზაცია >90 დღეზე მეტი ვადა გადაცილებისთვის

სალომბარდე პორტფელის კატეგორიები:

P მთელი ლომბარდის პორტფელი მოცემულია აღნიშნულ კატეგორიაში

დეფოლტის კატეგორიები:

დეფოლტის კლასები წარმოდგენილია D2, D3, E, R2 კატეგორიებში, რომელთათვისაც სხვადასხვა რეზერვის განაკვეთები გამოიყენება კომპანიის მიერ.

დაკვირვების ქვეშ არსებული სესხები:

C2 კატეგორია წარმოდგენილია სესხებით, რომლებსაც მიენიჭათ D და D1 კატეგორია ბოლო დავალიანების გამო, მაგრამ არ არის იმ მომენტისთვის ვადაგადაცილებაში, R1 (იხილეთ ქვემოთ წესები) და სესხები, რომლებიც გადავიდა C2 კატეგორიაში რისკების დეპარტამენტის მიერ, ქვემოთ მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული ქულებზე).

კატეგორიის ცვლილებები

ნებისმიერი C3 კატეგორიის სესხი, რომელიც აღარ არის ვადაგადაცილებული, გადადის A, B, C და C1 კატეგორიებში.

თუ სესხები, რომლებიც იყო D და D1 კატეგორიაში მაგრამ მიმდინარე მომენტისთვის არ არის ვადაგადაცილებაში, გადადის C2 კატეგორიაში. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდება სესხის დაბრუნება შესაბამის კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ R1 კატეგორიის სესხის გადახდა ხდება დროულად, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში და თუ ყოველწლიური შენატანის მინიმუმ 50% გადახდილია, ხდება დამატებითი ფინანსური ანალიზის წარმოდგენა; რაც დამოკიდებულია რისკების კომიტეტის გადაწყვეტილებაზე და კლიენტის თანხმობაზე რეფინანსირების შესახებ, რაც მისცემს საშუალებას კომპანიას გასცეს ახალი სესხი. ასეთი სახის სესხი მიეკუთვნება C2 კატეგორიას მისი დაფარვისთანავე.

D2, D3, E და R2 სესხები მუდმივად რჩება მოცემულ კლასში.

პარალელური სესხების შემთხვევაში:

- თუ კლიენტს აქვს ერთი ვადაგადაცილებული სესხი, მომხმარებლის ყველა სესხი, იქნება გადასული აღნიშნულ კატეგორიაში, არსებული სესხებისგან ყველაზე დიდი ECL- ის მაჩვენებლით.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს ერთი რესტრუქტურიზებული სესხი, მისი ყველა დანარჩენი სესხი გადადის რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიაში, რესტრუქტურიზებულ სესხს ენიჭება უპირატესობა ვადაგადაცილებულთან შედარებით. აქედან გამომდინარე, თუ მომხმარებელს აქვს 1 რესტრუქტურიზებული სესხი და 1 - ვადაგადაცილებული, ორივე მათგანი გადავა რესტრუქტურიზებული სესხების კატეგორიაში.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, და მათგან არც ერთი არ არის ვადაგადაცილებული, რესტრუქტურიზებული ან არ არის შესული C1, C2 კატეგორიებში, ყველა მათგანს მიენიჭება კატეგორია, რომელიც მას მიენიჭა ბოლო სესხის გაცემის დროს. მაგალითად, თუ მომხმარებელს ქონდა 1 სესხი A კატეგორიაში, რომელიც მან მიიღო 2015 წელს და შემდეგი სესხი აიღო 2018 წელს, რომელსაც მიენიჭა B კატეგორია, ორივე სესხი გაერთიანდება B კატეგორიაში, რადგან ეს არის ბოლოს გაცემული სესხის კატეგორია.
